

საქართველოს უზენაესი სასამართლოს
გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე

2013, №10

განსჯალობა

საბიუბელი

სამოქალაქო განსჯალობა

ადმინისტრაციული განსჯალობა

ტერიტორიული განსჯალობა

საქმის წარმოების განახლების თაობაზე
განცხადების განსჯალობა

აღსრულების გადადების თაობაზე
განცხადების განსჯალობა

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

№ბს-1814-1782(გ-11)

12 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. ქადაგიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა განსჯადობის შესახებ დავა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა-სა და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რომლითაც მოპასუხე – ზ. კ-ისთვის ზიანის ანაზღაურების დავალება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ზ. კ-ე 2005-2009წწ. მუშაობდა ქ. ... საქართველოს გენერალურ საკონსულოში ... თანამდებობაზე. 21.06.08წ. საქართველოს გენერალური საკონსულოს კუთვნილი ავტომობილს – „ფოლკსვაგენ მულტივენს“, იზმირისკენ მიმავალ გზაზე შეემთხვა ავარია. ავტომანქანას მართავდა ზ. კ-ის მძღოლი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ... და მისი ოჯახის წევრების სასტუმროდან წამოყვანა. მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის თაობაზე ზ. კ-ეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის არ უცნობებია. მოპასუხის 02.11.09წ. ახსნა-განმარტების თანახმად, ავტოსაგზაო შემთხვევიდან რამდენიმე დღეში, ავტომანქანის სტამბულში გადაყვანისას იგი ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს დ. მ-ეს და აცნობა მომხდარის შესახებ, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, ვინაიდან მინისტრის მოადგილე აღნიშნულ თანამდებობაზე დაინიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის 09.10.08წ. №289 ბრძანებით, ხოლო ავტოსაგზაო შემთხვევას 21.06.08წ. ჰქონდა ადგილი. შესაბამისად, ავტოსაგზაო შემთხვევიდან რამდენიმე დღეში დ. მ-ისთვის აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელი იყო. ზ. კ-ემ შეცდომაში შეიყვანა გენერალური საკონსულოს ფინანსური მენეჯერიც, რომელმაც ვერ განახორციელა კანონმდებლობით დადგენილი ღონისძიებები მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით.

ზ. კ-ის როტაციის წესით სამუშაო მივლინების ვადის ამოწურვისა და ახალი ... ჩამოსვლასთან დაკავშირებით უნდა მომხდარიყო მისთვის მინდობილი ქონების ჩაბარება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 58-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, რაც მოპასუხე ზ. კ-ის მიერ შესრულებული არ იქნა. 02.10.09წ. ახალი გენერალური კონსულის თ. შ-ის მიერ შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნით გამოვლინდა ავტომობილის რეალური მდგომარეობა. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად ჩამორთმეულ ახსნა-განმარტებაში მოპასუხემ აღიარა თავისი მატერიალური პასუხისმგებლობა და თანხმობა განაცხადა ზიანის ანაზღაურებაზე. აღნიშნული პასუხისმგებლობისა და მის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის მზადყოფნა მოპასუხემ შემდგომშიც არაერთგზის განაცხადა როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით, რაც არ განხორციელებულა სასამართლოში სარჩელის შეტანის დღისათვისაც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 19.11.10წ. განჩინებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სარჩელი მოპასუხე ზ. კ-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენდა საჯარო მოხელის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების გამო მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც გამოიხატება სამსახურეობრივი ავტომანქანის პირადი ინტერესებისათვის გამოყენებასა და საჯარო სამსახურის მიერ მისთვის მინდობილი მატერიალური ფასეულობის დაზიანების თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობაში. შესაბამისად, დავა განეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად დავას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 08.04.11წ. გადაწყვეტილებით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა, ზ. კ-ეს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრა ავტომობილის შეკეთების ხარჯის – 67033 თურქული ლირისა და ავტომობილის ავტოსადგომზე დგომის თანხის – 6800 ლირის, სულ 73833 თურქული ლირის შესაბამისი ექვივალენტის ეროვნულ ვალუტაში გადახდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. კ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.07.11წ. განჩინებით ზ. კ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 08.04.11წ. გადაწყვეტილებაზე საგნობრივი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლი განსაზღვრავს. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად, დგება სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანის შემთხვევაში. ხსენებული კოდექსის 207-ე მუხლის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი დებულებანი. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მოთხოვნა მიმართულია ქ. ... საქართველოს საკონსულტო განვეული ყოფილი ... ზ. კ-ისადმი, რომელიც დავის პერიოდში აღარ ახორციელებდა საჯარო საქმიანობას. ამდენად, სააპელაციო პალატის მოსაზრებით მოცემული დავა, საგნობრივი ხასიათიდან გამომდინარე, ატარებს არა საჯარო-სამართლებრივ, არამედ კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებს, რომლის იურიდიულ ბუნებას არ ცვლის ის გარემოება, რომ მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის საოქმო განჩინებით ზ. კ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 08.04.11წ. გადაწყვეტილებაზე, საქმის მასალებთან ერთად, განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოს საკითხის გადასაწყვეტად, გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. სამოქალაქო საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ გამოყენებას ექვემდებარება არა მხოლოდ სამოქალაქო კანონმდებლობა (სამოქალაქო კოდექსის ზიანის ანაზღაურების თავი), არამედ ასევე საჯარო სამართლის კანონმდებლობა („საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი).

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებების გაცნობის შედეგად, მიაჩნია, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული და შესაბამისად, საქმე საგნობრივი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26-ე მუხლის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელის და მოპასუხის სამართლებრივ შეხედულებებს საქმის განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მართალია დავის საგანს, მოპასუხეს მოსარჩელე განსაზღვრავს, სასამართლო არ არის უფლებამოსილი თავისი ინიციატივით, მოსარჩელის თანხმობის გარეშე განსაზღვროს მოპასუხე, მოახდინოს სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირება, ამასთანავე დაუშვებელია კერძო-სამართლებრივი დავის საჯარო-სამართლებრივ დავად მიჩნევა იმის გამო, რომ მოსარჩელე თავის კერძო-სამართლებრივ მოთხოვნას საჯარო-სამართლებრივი ნორმების მეშვეობით ასაბუთებს. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოპასუხე ფიზიკური პირისაგან ითხოვს ზიანის ანაზღაურებას, დელიქტური ურთიერთობები ძირითადად კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობით, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის ნორმებით წესრიგდება. საქმის განხილვისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს მატერიალური ნორმების რეალიზაციის შესაბამისი პროცესუალური, განსახილველ შემთხვევაში სამოქალაქო საპროცესო ნორმებით.

განსჯადობის გამიჯვნის ზოგადი პარამეტრის მიხედვით ადმინისტრაციულმა პალატამ უნდა გამოიყენოს ძირითადად ადმინისტრაციული სამართლის ნორმები, ხოლო სამოქალაქო საქმეთა პალატამ კერძო-სამართლებრივი ნორმები. აღნიშნულის შესაბამისად სასკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი ზოგადად უთითებს, რომ ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურება სამოქალაქო კოდექსის ნორმებით არის მოწესრიგებული. ზიანის ანაზღაურების შესახებ დავებთან დაკავშირებით მხედველობაშია მასალები აგრეთვე ის გარემოება, რომ სასკ-ის 2.1 მუხლის თანახმად, დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა უკეთეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოს და არა ფიზიკური პირის მიმართ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვისათვის დავის საგანს უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ფიზიკური პირის მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა განეკუთვნება არა ადმინისტრაციულ, არამედ სამოქალაქო საქმეთა კატეგორიას.

განსჯადობის საკითხის გასარკვევად მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული ორგანოს ინტერესის ბუნება. საჯარო სამართალს განეკუთვნებიან ნორმატიული დებულებები, რომლებიც ემსახურებიან საზოგადოებრივ ინტერესს, ხოლო ინდივიდუალური ინტერესების მომსახურე დებულებები კერძო სამართალს. მოცემულ შემთხვევაში იკვეთება ადმინისტრაციული ორგანოს კერძო ინტერესი – მისთვის მიყენებული

მატერიალური ზიანის ანაზღაურება. მართალია, ავტომანქანა „ფოლკსვაგენ მულტივენი“ საჯარო ინტერესების განსახორციელებლად გამოიყენებოდა, მაგრამ მისი დაზიანებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება საჯარო ინტერესის მატარებლად ვერ ჩაითვლება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოპასუხის ქმედების შედეგად ზიანის მიყენების, ზიანსა და ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის, ქმედების მართლწინააღმდეგობის, ბრალის კუმულაციურად არსებობის, როგორც დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების აუცილებელი პირობა, დადგენა შეადგენს არა განსჯადობის, არამედ დავის არსებითი განხილვის საკითხს. რაც შეეხება დავის განხილვის პროცესში სამოქალაქო-სამართლებრივ ნორმებთან ერთად საჯარო-სამართლებრივი ნორმების გამოყენების შესაძლო საჭიროების შექმნას, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლო, რომელიც მის უწყებრივად ქვემდებარე და განსჯად საქმეს იხილავს, ფლობს ამ საქმის განხილვის აბსოლუტურ კომპეტენციას, მათ შორის საქმის განხილვის პროცესში შეუძლია გამოიყენოს და განმარტოს ნებისმიერი ნორმატიული და ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 11.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2, 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სარჩელი მოპასუხე ზ. კ-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

ბ ა ნ წ ი ნ ე ბ ა

№ბს-1394-1377(კ-11) 6 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. ქადაგიძე

დავის საგანი: ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, საიჯარო ქირის, პირგასამტეხლოს, საურავის თანხების დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:
ქ. თბილისის მერიამ 22.09.10წ. სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე შპს „...“ მიმართ, გადაუხდელი საიჯარო ქირის 246.99 ლარის, საურავის – 253.54 ლარისა და პირგასამტეხლოს – 6600 ლარის გადახდევინების დაკისრების მოთხოვნით.
მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 23.02.07წ. ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურსა და შპს „...“ შორის გაფორმდა „სარეკლამო საშუალებების განთავსების უფლების იჯარით გაცემის“ შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მოიჯარე იღებდა სარეკლამო საშუალებების განთავსების უფლებას. ხელშეკრულებით საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრა ყოველთვიურად კონკრეტულ ადგილებზე სარეკლამო საშუალებების იჯარის ან სხვაგვარი გამოყენების შესახებ მესამე პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის 15%-ის ოდენობით. 01.02.09წ. ხელშეკრულებაში შესული ცვლილებით იჯარის ოდენობამ შეადგინა მესამე პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემოსავლის 15%-ი, ანუ 6 ლარი სარეკლამო საშუალებების 1 კვ. მეტრზე. ხელშეკრულება 01.03.07წ. შევიდა ძალაში. შესაბამისად, საიჯარო ქირის გადახდა უნდა დაწყებულიყო 2007 წლის მარტის ბოლოდან. შპს „...“ პირველი გადახდა 01.05.07წ. განახორციელა, რის შემდეგაც მოიჯარე საიჯარო ქირას რეგულარულად იხდიდა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ პირველი გადახდა განხორციელდა 2

თვის დაგვიანებით და გადახდისას მოიჯარეს არ მიუთითებია რომელი თვის საიჯარო ქირას იხდიდა, ყოველი გადახდა ჩაითვალა დაგვიანებულად და თითოეულ თვეზე დაერიცხა პირგასამტეხლო 200 ლარის ოდენობით, რამაც 2007 წლის მარტიდან 2009 წლის ნოემბრის ჩათვლით (33 თვე) შეადგინა 6600 ლარი. ამასთან, მოპასუხეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაერიცხა საურავი – 253.54 ლარი. გარდა აღნიშნულისა, მთელი სახელშეკრულებო ურთიერთობის განმავლობაში გადასახდელი საიჯარო ქირის 7037.37 ლარის ნაცვლად, შპს „...“ მიერ გადახდილ იქნა 6790.38 ლარი. შესაბამისად, მას გადასახდელი დარჩა 246.99 ლარი. ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურსა და შპს „...“ შორის დადებული ხელშეკრულება შეწყდა ქ. თბილისის მთავრობის 07.12.09წ. დადგენილების საფუძველზე.

შპს „...“ წარმოადგინა შესაგებელი, რომელშიც აღნიშნა, რომ საიჯარო ქირას იხდიდა რეგულარულად, პირველი თვის საიჯარო ქირის გადაუხდელობა არ იძლევა ყველა დანარჩენი თვეების გადახდის დაგვიანებულად მიჩნევის საფუძველს. შესაგებელის ავტორმა აღნიშნა აგრეთვე, რომ მოსარჩელეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ მიუმართავს მისთვის წერილობითი გაფრთხილებით ან პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნით, თუმცა ამას 23.02.07წ. ხელშეკრულება ითვალისწინებდა. ყველა შემდეგი გადახდა შპს „...“ მიერ განხორციელებულია საიჯარო ქირის ოდენობის ცვალებადობის გათვალისწინებით. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ 22.09.10წ. მიმართა სასამართლოს 2007 წლის მარტის თვის გადაუხდელობის შესახებ, გასულია სკ-ის 129-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, მათ შორის დამატებითი მოთხოვნისათვისაც. გარდა ამისა აღნიშნა, რომ პირგასამტეხლო და საურავი შეუსაბამოდ მაღალია (სსკ-ის 420-ე მუხ.).

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.11.10წ. გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე – შპს „...“ ქ. თბილისის მერიის სასარგებლოდ დაეკისრა საიჯარო ქირის 246.99 ლარის, საურავის 253.54 ლარისა და პირგასამტეხლოს 6600 ლარის, ჯამში 7100.53 ლარის გადახდა.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე, 317-ე, 361-ე მუხლებზე, რომლებიც ხელშეკრულების დადების, ვალდებულების წარმოშობისა და მისი შესრულების პირობებს ადგენს. ამავე კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, პირგასამტეხლოს შესახებ შეთანხმება მოითხოვს წერილობით თანხმობას. ხელშეკრულების 4.2 მუხლი ითვალისწინებდა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეიჯარისათვის პირგასამტეხლოს სახით 200 ლარის გადახდის ვალდებულებას. ვინაიდან, ხელშეკრულება მოქმედებდა 33 თვის განმავლობაში, შპს „...“ ეკისრებოდა პირგასამტეხლოს სახით 6600 ლარის გადახდა. იმავე მუხლით დადგენილ იქნა საურავი ყოველთვიური საიჯარო ქირის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში, რომელიც შეადგენდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაგვიანებული თანხის 0.05%-ს. ქ. თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის მიერ წარმოებული გამოთვლებით, მოპასუხეს ეკისრებოდა საურავის სახით 253.54 ლარის გადახდა. ხელშეკრულების მე-2.4 მუხლის თანახმად, მოიჯარეს საიჯარო ქირა უნდა გადაეხადა ყოველი თვის ბოლოს. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შპს „...“ არცერთი თვის ბოლოს არ შეუსრულებია ვალდებულება სრულად, შესაბამისად გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის გადასახდელი ჰქონდა საიჯარო ქირის სახით 246.99 ლარი. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.06.11წ. განჩინებით შპს „...“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 30.11.10წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი დასკვნები. სასამართლომ დამატებით მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 387.1 მუხლზე, რომლის თანახმად, თუ მოვალეს ეკისრება კრედიტორისათვის სხვადასხვა ვალდებულებებიდან გამომდინარე ერთმანეთის მსგავსი რამოდენიმე შესრულება და ის, რაც შესრულდა არ არის საკმარისი ყველა ვალის დასაფარავად, მაშინ დაიფარება ის ვალი, რომლის გადახდის ვადაც პირველად დადგა. მართალია, 2007 წლის მარტიდან შპს „...“ საიჯარო ქირას რეგულარულად იხდიდა, მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ გადახდა დაიწყო 2 თვის დაგვიანებით და არცერთი გადახდის დროს არ ყოფილა მითითება თვეზე, ყველა გადახდა უნდა ჩაითვალოს დაგვიანებულად და თითოეულ თვეზე, 2007 წლის მარტიდან დაწყებული, მოიჯარეს დაეკისროს პირგასამტეხლო 200 ლარის ოდენობით.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „...“, რომლითაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.06.11წ. განჩინების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება მოითხოვა. კასატორის განმარტებით სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოიყენებინა, მაგრამ არასწორად განმარტა იგი. სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ საიჯარო ქირის გადაუხდელობისათვის მოიჯარეს უნდა დაეკისრებოდა ორივე – საურავი და პირგასამტეხლო. მართალია, ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია პირგასამტეხლოს დაეკისრება როგორც ჯარიმის, ასევე საურავის სახით, მაგრამ ორი სხვადასხვა შემთხვევისთვის. კერძოდ: პირველი, როცა ადგილი აქვს სარეკლამო საშუალებების განთავსებისგან წარმოშობილი ვალდებულების შეუსრულებლობას და მეორე, როდესაც ადგილი აქვს საიჯარო ყოველთვიური ქირის გადაუხდელობას. კასატორის მითითებით, სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, კერძოდ სსკ-ის 417-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პირგასამტეხლოს გადახდას ვალდებულების შეუსრულებ-

ლობისათვის. საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრული 200 ლარის ოდენობის პირგასამტეხლო მიზნად ისახავდა მეორე მხარისაგან შედეგის და არა მატერიალური სარგებლის მიღებას და იგი წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დამატებით საშუალებას. ამასთან, პირგასამტეხლო ჯარიმის სახით გამოყენებული უნდა იქნეს ერთჯერადად, ერთი კონკრეტული დარღვევისათვის. მოცემული ვალდებულებების დარღვევას ადგილი არ ქონია, შესაბამისად კასატორს პირგასამტეხლო ჯარიმის სახით საერთოდ არ უნდა დაკისრებოდა. სასამართლომ არასწორად განმარტა ხელშეკრულების 4.2 მუხლი, რომლის შინაარსიდანაც იკვეთება, რომ პირგასამტეხლო და ვადაგადაცილებისათვის დაწესებული საურავი სხვადასხვა დარღვევისთვის არის დადგენილი და არ ითვალისწინებს ერთი და იგივე დარღვევისათვის მოიჯარისთვის კუმულატიურად დაკისრების შესაძლებლობას. სასამართლომ, ასევე არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ სსკ-ის მე-8 მუხლი, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეების კეთილსინდისიერებაზე მიუთითებს. იქედან გამომდინარე, რომ საიჯარო ქირა იყო ცვალებადი, მისი დაანგარიშება და გადახდის მოთხოვნის წარდგენა მეიჯარეს ევალებოდა. 2007 წლის მარტის თვის ქირის გადაუხდელობა გამოწვეული იყო თვით მეიჯარის ბრალით, რომელმაც წერილობითი მოთხოვნა წარადგინა 18 თვის დაგვიანებით. ამასთან, ხელშეკრულების მე-3.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, მეიჯარე უფლებამოსილი იყო მოეშალა ხელშეკრულება თუ მოიჯარე ზედიზედ 3 თვის განმავლობაში არ იხდიდა საიჯარო ქირას. აღნიშნული უფლება მეიჯარემ არ გამოიყენა დროულად, ხელშეკრულება მოიშალა 07.12.09წ., რამაც გამოიწვია თანხების გაზრდა. ამასთან, ხელშეკრულების მე-4.2 მუხლის იმპერატულ მოთხოვნას წარმოადგენს მეიჯარის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტა 2 თვის შემდეგ, მოიჯარის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ზემოაღნიშნულის განუხორციელებლობა ასევე მიუთითებს შპს „...“ მიერ თავისი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების ფაქტზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და საჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმე განხილულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლების, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესების დარღვევით, ვინაიდან ქ. თბილისის მერიის სარჩელთან დაკავშირებით წარმოებული საქმე ექვემდებარებოდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილავენ ადმინისტრაციულ სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან თუ კერძო პირთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს არ ქმნის მხოლოდ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, მოცემულ შემთხვევაში ქ. თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახური, ადმინისტრაციული ორგანოა. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, უკეთუ აღნიშნული მისი შეხედულებით უფრო მისაღებია და არ ეწინააღმდეგება საჯარო სამართლებრივ ნორმებს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის კერძო-სამართლებრივი ფორმები და შესაბამისად დადოს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ამდენად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისთანავე, შესრულებისთანა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით (სსკ-ის 25¹ მუხ, სზაკ-ის 65.2, 65¹ მუხ.). საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამდენად, გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისის მერიის ქონების მართვის საქალაქო სამსახურსა და შპს „...“ შორის 23.02.07წ. დადებული სარეკლამო საშუალებების განთავსების უფლების იჯარით გაცემის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა იკისრა ვალდებულება გადაეხადა შესაბამისი საფასური სარეკლამო საშუალებების განთავსების უფლების მიღების სანაცვლოდ. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-

ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით, ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან გამიჯვნისათვის ხელშეკრულების მიზნის და საგნის ანალიზის გარდა, მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ხელშეკრულების დადების შედეგად ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან ქმედების (რეალაქტის) განხორციელების მოვალეობის წარმოქმნა, ხელშეკრულების დადების შედეგად მხარის საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით აღჭურვა. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ რეკლამის სფეროს მომწესრიგებელ კანონმდებლობას არ გააჩნია მკვეთრად გამოსატყუი დარგობრივი კუთვნილება და ის კომპლექსური ხასიათისაა, მასში ასახულია სხვადასხვა დარგობრივი მიმართულების, კერძოდ, როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული დარგის ნორმები (მაგ. პოლიტიკური რეკლამის მომწესრიგებელი დებულებები). საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში დავა არ ეხება გარე რეკლამის განთავსების ნებართვას, რომელიც ადმინისტრაციული კანონმდებლობით რეგულირდება („ლიცენზიების და ნებართვების შესახებ“ კანონის 26¹ მუხ., „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ კანონის 9^{1.2} მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი), დავა არ ეხება მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების და მისი პირობების შესაბამისობას დადგენილ მოთხოვნებთან, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ქ. თბილისის მთავრობის 07.12.096. №32.61.1154 დადგენილებას, სახელმწიფო კონტროლს რეკლამის სფეროში („რეკლამის შესახებ“ კანონის IV თავი), დავის საგანს მოცემულ შემთხვევაში შეადგენს იჯარის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის საიჯარო ქირის, საურავისა და პირგასამტეხლოს დაკისრება, მოსარჩელის მოთხოვნას საფუძველად უდევს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლი (პროცენტის გადახდა ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისათვის), 417-ე მუხლი (პირგასამტეხლოს ცნება) და 387-ე მუხლი (ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობა). ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3 მუხლი). მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა უკავშირდება ხელშეკრულებას, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას განეკუთვნება, შესაბამისად მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე სზაკ-ის 25¹ მუხლის, 65.2, 65¹ მუხლების საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას განეკუთვნება.

„საგულისხმოა აგრეთვე, რომ თავდაპირველად მოცემული საქმის განხილვა მიმდინარეობდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, კერძოდ, საქმის მასალებით ირკვევა, რომ ქ. თბილისის მერიამ 17.02.106. განცხადებით მიმართა საქალაქო სასამართლოს შპს „...“ მიმართ გადახდის ბრძანების გამოცემის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXXIV თავი), მერიის განცხადების დაკმაყოფილების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 19.02.20106. ბრძანება, რომლითაც მონინალმდევე მხარეს – შპს „...“ მერიის სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების თანხა (7100,55ლ.), 19.07.20106. განჩინებით გაუქმდა, მერიის განცხადება გამარტივებული წესით ფულადი დავალიანების გადახდევინების შესახებ დატოვებულ იქნა განუხილველად განცხადებაში შპს „...“ არასწორი მისამართის მითითების და შესაბამისად მასალების ჩაუბარებლობის გამო. სამოქალაქო საქმის წარმოების გამარტივებული სამართლებრივი პროცედურა განპირობებული იყო მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის იურიდიული ბუნებით (კრედიტორ-მოვალის ტიპის სამართალურთიერთობა), რაც დამატებით ადასტურებს საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის საჭიროებას. აღნიშნულის მიუხედავად ქ. თბილისის მერიის სარჩელი იგივე მოთხოვნაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით იქნა განხილული.

საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით საქმის განხილვა თავისთავად უკვე თვით განსჯადობის წესის დარღვევით გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტის გამო, ადასტურებს საქმის უხეში საპროცესო დარღვევით განხილვას და შედეგად იწვევს სამართალწარმოების წესების დარღვევით დავის გადაწყვეტას. სასკ-ის 26-ე მუხლის იმპერატიული დანაწესის თანახმად არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს. ზემოაღნიშნულიან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე განხილვისათვის გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, 26.2 მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.06.116. განჩინება და საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

№ბს-803-787(გ-12)

13 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა სს „ა...“, სს „ი...“, ფ...ის, ტ...ის, კ...ის, ს...ის, დ...ის, ბ...ის, რ...ის, ა...ის, ლ...ის, პ...ის, ბე...ის, ჩ...ის, სა...ის, ფე...ის და მ...ის სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

სს „ა...“, სს „ი...“, ფ...მა, ტ...მა, კ...მა, ს...მა, დ...მა, ბ...მა, რ...მა, ა...მა, ლ...მა, პ...მა, ბე...მა, ჩ...მა, სა...მა, ფე...მა და მ...მა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიმართ. მოსარჩელებმა თბილისის სააღსრულებო ბიუროს 26.06.12წ. ქონების აღწერისა და დაყვადების აქტის ბათილად ცნობა, სს „ქ...“ აქციათა 100%-ზე სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა და აქციების მიმართ დადგენილი სექვესტრის (იძულებითი მართვის) გაუქმება მოითხოვეს.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ საკუთრების უფლებით ერიცხებოდათ სს „ქ...“ აქციათა 100%, აქციონერთა ნაწილმა ნაწილობრივ გაასხვისეს თავიანთი აქციები სანოტარო წესით დამონმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. აღმასრულებლის მიერ 26.06.12წ. დადებული ყადაღის გამო აქციონერები ვერ ახერხებდნენ ცვლილებების შეტანას აქციონერთა რეესტრში. მოსარჩელების განმარტებით, ისინი სააღსრულებო ფურცელში, რომლის აღსასრულებლადაც ყადაღა დაედო სს „ქ...“ და სს „ქა...“ აქციებს, მოვალეობად მითითებული არ არიან. აღმასრულებელი უფლებამოსილი იყო ყადაღა დაედო მხოლოდ მოვალის და არა სხვა პირთა ქონებაზე. მოვალე იყო მხოლოდ ის პირი, რომელსაც აღსასრულებელი გადაწყვეტილება ავალდებულებდა რაიმე ქმედების განხორციელებას, ამასთან, მოვალის ვინაობა დგინდებოდა სააღსრულებო ფურცელში მოცემული რეკვიზიტებით. მოსარჩელებს აღსასრულებელი სასამართლო დადგენილებებით არ ევალებოდათ რაიმე ქმედების განხორციელება. აღმასრულებელმა ყადაღა დაადო მოსარჩელეთა საკუთრებაში არსებულ ქონებას, კერძოდ აქციებს, მაშინ, როდესაც აღსასრულებელი სასამართლო დადგენილებები მათ არ ავალდებულებდა რაიმე ქმედების განხორციელებას. ამასთანავე, ისინი მოვალეობად მითითებულნი არ არიან არც სასამართლოს მიერ გაცემულ სააღსრულებო ფურცელში. შესაბამისად, სს „ქ...“ აქციები არ შეიძლება ყოფილიყო ყადაღის ან/და სხვა სააღსრულებო მოქმედების ობიექტი. მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ აღმასრულებელმა უხეშად დაარღვია „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მოთხოვნები და ყადაღა დაადო არა მოვალის, არამედ მესამე პირთა ქონებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 24.07.12წ. განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის თანახმად, თუ მესამე პირი ამტკიცებს, რომ მას აღსრულების საგანზე გააჩნია უფლება, მაშინ იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ხდება აღსრულება, მესამე პირს შეუძლია აღძრას სარჩელი. ასეთ სარჩელს სასამართლო განიხილავს სასარჩელო წარმოების წესით (სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ). სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველი სარჩელი წარმოადგენდა სარჩელს აქციების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ. ამასთან, ვინაიდან სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა ყადაღისაგან ქონების გათავისუფლება იმ საფუძველით, რომ აღმასრულებლის მიერ ქონების დაყვადების აქტში არასწორად აღირიცხა მესაკუთრე, აღნიშნულ ქონებაზე მესაკუთრის დადგენისა და ყადაღის მოხსნის საკითხების გადაწყვეტა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად უნდა განხორციელებულიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 15.10.12წ. განჩინებით სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საკასაციო სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ სასკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთი-

ერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. განსახილველ შემთხვევაში დავა გამომდინარეობდა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონიდან და მოსარჩელე მოთხოვნას აფუძნებდა აღმასრულებლის მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევებზე. მოცემულ დავაში სააღსრულებო ბიურო წარმოადგენდა ერთადერთ მოპასუხეს, რომელიც ზაკ-ის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენდა, ხოლო მის მიერ შედგენილი დაყადაღების აქტი, რომლის საფუძველზეც ყადაღა დაედო მოსარჩელის ქონებას, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი იყო. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა სასკ-ის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ სს „ა...“, სს „ი...“, ფ...ის, ტ...ის, კ...ის, ს...ის, დ...ის, ბ...ის, რ...ის, ა...ის, ლ...ის, პ...ის, ბე...ის, ჩ...ის, სა...ის, ფე...ის და მ...ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და საქმე უნდა დაექვემდებაროს ხსენებულ კოლეგიას და განხილულ იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის დასკვნას იმის შესახებ, რომ დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული მხოლოდ იმის გამო, რომ მოპასუხეს სარჩელზე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიურო წარმოადგენს, რომელიც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული ორგანოა. მხოლოდ ის გარემოება რომ სასარჩელო მოთხოვნის ადრესატი არის ადმინისტრაციული ორგანო, უპირობოდ არ ადასტურებს განსახილველი დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილებას. მხედველობაში მისაღები ის გარემოება, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა არა მხოლოდ სუბიექტური შემადგენლობის, კერძოდ, მოსარჩელეების მიერ მოპასუხედ თბილისის სააღსრულებო ბიუროს დასახელების გამო, არამედ აგრეთვე სადავო სამართალურთიერთობის საჯარო-სამართლებრივი კანონმდებლობიდან წარმოშობის, სადავო სამართალურთიერთობის ბუნების გამო. სასკ-ის მე-2 მუხლის მიხედვით, სასამართლო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ამდენად, საქმის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის ძირითად ელემენტს დავის საგანი წარმოადგენს. განსახილველ შემთხვევაში სს „ა...“, სს „ი...“, ფ...ის, ტ...ის, კ...ის, ს...ის, დ...ის, ბ...ის, რ...ის, ა...ის, ლ...ის, პ...ის, ბე...ის, ჩ...ის, სა...ის, ფე...ის და მ...ის სასარჩელო მოთხოვნას შეადგენს ყადაღისაგან ქონების გათავისუფლება, სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა სს „ქ...“ აქციითა 100%-ზე და აქციების მიმართ დადგენილი სეკვესტრის (იძულებითი მართვის) გაუქმება. სარჩელი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ აღმასრულებლის მიერ ქონების დაყადაღების აქტში არასწორად აღირიცხა სხვა პირის ვალდებულებების შესრულების მიზნით მოსარჩელეების საკუთრებაში არსებული სს „ქ...“ აქციების 100%. ასეთი სარჩელი განეკუთვნება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიას, რამდენადაც სასამართლომ კერძო სამართლის ნორმების საფუძველზე უნდა დაადგინოს, ყადაღის აქტში შესული ქონების მოსარჩელეთა საკუთრებაში არსებობა. „მენარმეთა შესახებ“ კანონის 51.2 მუხლის თანახმად, აქციონერის საკუთრების უფლება აქციაზე დასტურდება სააქციო საზოგადოების აქციითა რეესტრში ჩანაწერით ან ნომინალური მფლობელის ჩანაწერით, აღნიშნულზე აქციონერს მიეცემა ამონაწერი საზოგადოების აქციითა რეესტრიდან. ამდენად, მოცემული დავის გადანყევტა საჭიროებს დაყადაღებული აქციების მესაკუთრის დადგენას და მოსარჩელეების მოქმედების კერძო სამართლებრივი კანონმდებლობის ნორმების შესაბამისობის განსაზღვრას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლით რეგლამენტირებულია მესამე პირის მიერ სარჩელის წარდგენის შესაძლებლობა, სხვისი ვალის გამო დაყადაღებული ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ. მითითებული ნორმის თანახმად, ასეთ სარჩელს სასამართლო განიხილავს სასარჩელო წარმოების წესით (სარჩელი ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების შესახებ). სარჩელის დაკმაყოფილების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს მოსარჩელეების მიერ დაყადაღებულ აქციებზე საკუთრების უფლების დადასტურება. ასეთი სარჩელი თავისი ბუნებით სანივთო-სამართლებრივია, მის ბუნებას არ ცვლის ის გარემოება, რომ მოპასუხედ მოსარჩელეების მიერ მოცემულ შემთხვევაში დასახელებულია სააღსრულებო ბიურო. მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნები ემყარება იმ გარემოებას, რომ მოსარჩელეები არ წარმოადგენენ სააღსრულებო წარმოებაში მოვალეებს, პრეტენზია ემყარება იმას, რომ დაყადაღებული აქციები მოსარჩელეებს ეკუთვნით. აღნიშნული გარემოება განასხვავებს ყადაღისაგან ქონების გათავისუფლების მოთხოვნას აღმასრულებლის მოქმედების გასაჩივრებისაგან, ასეთი სარჩელი სამოქალაქო საქმეთა რიგს განეკუთვნება და მისი განხილვა სსკ-ის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა განხორციელდეს, მით უფრო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სასარჩელო მოთხოვნის ნაწილის, კერძოდ, აქციების მიმართ სეკვესტრის (იძულებითი მართვის) გაუქმების მოთხოვნის მიმართ არსებობს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 26.07.12წ. განჩინება, რომლითაც დაკმაყოფილდა თბილისის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის შუამდგომლობა და სს „ქ...“ 100% აქციების იძულებითი მართვა შეწყდა სწორედ სამოქალაქო სასამართლო წარმოების წესით. ამდენად, საკასაციო სასამარ-

თლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს სასკ-ის 2.1. მუხლით განსაზღვრული რომელიმე პირობა, შესაბამისად დავა სამოქალაქო სასამართლონარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

ზემოაღნიშნულთან ერთად საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ასევე იმ გარემოებაზე, რომ საქმეში დაცული თბილისის სააღსრულებო ბიუროს 26.07.12წ. წერილით სს „ქ...“ მიმართ დასტურდება, რომ ვინაიდან მოვალის მიერ სრულად იქნა დაფარული №4/ა-129-12 და №4/ა-131-12 სააღსრულებო ფურცლებით დაკისრებული თანხა, აღსრულების ეროვნული ბიუროს 26.06.12წ. შედგენილი „ქონების აღწერი-სა და დაყვადების აქტის“ საფუძველზე დადებული ყადაღა სს „ქ...“ აქციათა 100%-ზე გაუქმებულია. ამასთანავე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 26.07.12წ. განჩინებით სს „ქ...“ აქციათა იძულებითი მართვა შეწყდა და იძულებითი მმართველი გათავისუფლდა დაკავებული თანამ-დებობიდან. ვინაიდან დავის განსჯადობას დავის საგანი განაპირობებს, უმართებულოა დავის საგნის ზუსტად დადგენის გარეშე საქმის განსჯადობის სადავოდ გახდენა. ამდენად, თბილისის საქალაქო სასა-მართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა იქონიოს მსჯელობა და-ვის საგნის, საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლის არსებობის თაობაზე, რაც სცილდება განსჯადობის შესახებ დავის ფარგლებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 399-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. სს „ა...“, სს „ი...“, ფ...ის, ტ...ის, კ...ის, ს...ის, დ...ის, ბ...ის, რ...ის, ა...ის, ლ...ის, პ...ის, ბე...ის, ჩ...ის, სა...ის, ფე...ის და მ...ის სარჩელი მოპასუხე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს თბილისის სააღსრულებო ბიუ-როს მიმართ განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

№ბს-41-36(გ-13)

7 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. სილაგაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 23 ოქტომბერს სს „ქ...“ განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს და სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, ქ. გორში, ... ქ. №26-ში მდებარე უძრავ ქონებასა და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე ყადაღის დადება მოითხოვა.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ 2012 წლის 22 ოქტომბერს მიმართა შიდა ქართლის სახელმწიფო ქონე-ბის აღრიცხვისა და პრივატიზაციის სამხარეო სამმართველოს სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, 2010 წლის 21 დეკემბერს ხელშეკრულებით ნაჩუქარი უძრავი ქონების დაბრუნები-სა და პრივატიზაციის შეჩერების თაობაზე. განმცხადებლის განმარტებით, აღნიშნული მოთხოვნა განაპი-რობა იმ გარემოებამ, რომ სს „ქ...“ ერიცხებოდა საგადასახადო დავალიანება, რის გამოც აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში. კერძოდ, გორის რეგიონული ცენტრის 2010 წლის 20 სექტემბრის №6283, 2010 წლის 18 ოქტომბრის №7307, 2010 წლის 25 ოქტომბრის №7583 ბრძანებების საფუძველზე, კონტროლის სამმართვე-ლოს საგადასახადო შემონმების განყოფილების მიერ ჩატარდა სს „ქ...“ კამერალური საგადასახადო შემონ-მება, რომელმაც მოიცვა 2004 წლის 1 იანვრიდან 2009 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდი. შემონმების შედე-გად გორის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2010 წლის 12 ნოემბერს გამოიცა №82/6679 საგადასახადო მოთხოვნა და სს „ქ...“ დაერიცხა გადასახადი. არსებულმა დავალიანებამ 75 000 ლარს გადააჭარბა. აღნიშ-ნული საგადასახადო მოთხოვნა სს „ქ...“ მიერ 2011 წლის 24 ნოემბერს გასაჩივრდა შემოსავლების სამსა-ხურში, თუმცა საჩივარი არ დაკმაყოფილდა. შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 31 იანვრის №229 ბრძანება სს „ქ...“ გაასაჩივრა დავების განხილვის საბჭოში. საბჭოს 2011 წლის 11 აპრილის №03/6019 გა-დანყვეტილობით სს „ქ...“ საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი შემოსავლების სამსახურის 2011 წლის 31 იანვრის №229 ბრძანება და საჩივარი არსებითი განხილვისათვის დაუბრუნდა შემოსავლების სამსახურს, ხოლო საგადასახადო სამართალდარღვევის შესახებ გორის რეგიონული ცენ-ტრის 2010 წლის 29 ოქტომბრის №065582 ოქმის ნაწილში საჩივარი დარჩა განუხილველი. დავების განხილ-ვის საბჭოს გადაწყვეტილება ნაწილობრივ გასაჩივრდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრა-

ციულ საქმეთა კოლეგიაში სს „...“ მიერ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით სს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 19 დეკემბრის განჩინებით.

განმცხადებელმა აღნიშნა, რომ სს „...“ აპირებდა სასამართლოში სარჩელის აღძვრას 2010 წლის 21 დეკემბრის ხელშეკრულებით ნაჩუქარი უძრავი ქონების დაბრუნებისა და პრივატიზაციის შეჩერების მოთხოვნით, რის გამოც მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღის დადება გაჩუქებამდე სს „...“ სახელზე რიცხულ უძრავ ქონებაზე – მდებარე ქ. გორი, ... ქ. №26, შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის სამხარეო სამმართველოს მიერ უძრავი ქონების სს „...“ საკუთრებაში დაბრუნებისა და პრივატიზაციის შეჩერების საკითხის გადაწყვეტამდე.

გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით სს „...“ განცხადება დაკმაყოფილდა; სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო სახელმწიფოს სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას – მდებარე ქ. გორი, ... ქ. №26, საკადასტრო კოდით ... და მასზე არსებულ შენობა-ნაგებობებს.

2012 წლის 30 ოქტომბერს სს „...“ გორის რაიონულ სასამართლოს მიმართა განცხადებით და მოითხოვა 2012 წლის 24 ოქტომბრის განჩინებაში უსწორობის გასწორება, კერძოდ, განჩინებით ყადაღა დაედო მხოლოდ ქ. გორში, ... ქ. №26-ში მდებარე უძრავ ქონებას საკადასტრო კოდით ..., რომელთან ერთად ასევე მითითებული უნდა ყოფილიყო უძრავი ქონება საკადასტრო კოდით –

2012 წლის 30 ოქტომბერსვე სს „...“ გორის რაიონულ სასამართლოს მიმართა სასარჩელო განცხადებით მოპასუხე – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს პრივატიზების დეპარტამენტის შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის მიმართ, რომლითაც მოითხოვა ქ. გორში, ... ქ. №26-ში მდებარე, 2010 წლის 21 დეკემბრის ხელშეკრულებით ნაჩუქარი უძრავი ქონების დაბრუნება და პრივატიზაციის შეჩერება, ასევე სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღის დადება ქ. გორში, ... ქ. №6-ში მდებარე უძრავ ქონებაზე და ნაჩუქარი უძრავი ქონების რეალიზაციის განუხორციელებლობა.

გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სს „...“ უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე. ამავე განჩინებით გაუქმდა გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და სახელმწიფოს სახელზე რიცხული უძრავი ქონება, მდებარე ქ. გორი, ... ქ. №26, საკადასტრო კოდით ... და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობანი გათავისუფლდა ყადაღისაგან.

გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 7 ნოემბრის განჩინებით სს „...“ უარი ეთქვა უსწორობის გასწორების თაობაზე განცხადების დაკმაყოფილებაზე.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 2012 წლის 6 ნოემბერს საჩივრით გაასაჩივრა ყადაღის დადების შესახებ გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 24 ოქტომბრის განჩინება.

გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 7 ნოემბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საჩივარზე შეწყდა საქმის წარმოება დავის საგნის არ არსებობის გამო.

სს „...“ კერძო საჩივრებით გაასაჩივრა უსწორობის გასწორებაზე უარის თქმის შესახებ გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 7 ნოემბრის განჩინება, ასევე 2012 წლის 31 ოქტომბრის განჩინება სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 28 ნოემბრის განჩინებით სს „...“ კერძო საჩივრები გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 31 ოქტომბრისა და 2012 წლის 7 ნოემბრის განჩინებებზე, განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან განსახილველ დავაში მოსარჩელე სს „...“ მოითხოვდა სს „...“ და შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს შორის დადებული 2010 წლის 21 დეკემბრის ჩუქების ხელშეკრულებით საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების უკან დაბრუნებას.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ასევე მიუთითა, რომ განსახილველი დავის შემთხვევაში სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა სამოქალაქო კანონმდებლობა. სასამართლოს განმარტებით, სადავო სამართალურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მოცემული დავა კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე უნდა გადაწყვეტილიყო, ვინაიდან სადავო ურთიერთობა გამომდინარეობდა ჩუქების ხელშეკრულებიდან, რომელიც კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებას წარმოადგენდა. შესაბამისად, დავა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის საფუძველზე, სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯად დავას წარმოადგენდა და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო.

გარდა აღნიშნულისა, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განმარტებით, დავის იურიდიულ ბუნებას არ ცვლიდა ის გარემოება, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს წარმოადგენდა, რამდენადაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობა კვალიფიცირდება არა ურთიერთობის სუბიექტების, არამედ ურთიერთობის სამართლებრივი მოწეს-

რიგების სისტემის მიხედვით. ამდენად, მოცემული დავა ატარებს არა საჯარო-სამართლებრივ, არამედ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებს, რის გამოც ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადასცემოდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 31 დეკემბრის განჩინებით სს „...“ კერძო საჩივრები განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა პალატა არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის დასკვნას დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის შესახებ და აღნიშნა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებაა. სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია ხელშეკრულება აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარედ ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა, თუმცა აღნიშნული საკმარისი არ არის და სამართალსუბიექტობასთან ერთად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მითითებული ნორმა კუმულაციურად ითხოვს ხელშეკრულების დადებით საჯარო უფლებამოსილების მიზნის განხორციელებას. სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებით, ასევე მნიშვნელოვანია და ადმინისტრაციული წესით საქმის განხილვისათვის ერთ-ერთ ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ ატარებდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ შინაარსს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე დავებს. ამდენად, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ განსახილველი დავა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან.

სამოქალაქო პალატის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვდა სახელმწიფოსთან დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობას და გადაცემული ქონების უკან დაბრუნებას. პალატამ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე პირდაპირ გამომდინარეობდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტიდან და ადმინისტრაციული ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნას წარმოადგენდა. სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ჩუქების ხელშეკრულების დადება მოხდა საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, რამდენადაც იგი მოქმედებდა საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში, სხვაგვარად იგი ამ ხელშეკრულებას ვერ დადებდა. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გარიგების დადებისა და ამ გარიგებით განსაზღვრული შედეგის საჯარო რეესტრში აღრიცხვის ფაქტი თავისთავად წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედების პრეზუმფციას.

სამოქალაქო საქმეთა პალატამ ასევე მიუთითა, რომ დავის სწორად გადაწყვეტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა იმ ფაქტს, რომ დასაჩუქრებული ადმინისტრაციული ორგანო გახლდათ. ამასთანავე, უმთავრესი იყო ჩუქების მიზანი, მოტივი და დანიშნულება. ხელშეკრულება 2010 წლის 21 დეკემბერს გაფორმდა, როდესაც კამერალური საგადასახადო შემონმების შედეგად გორის საგადასახადო ინსპექციას სს „...“ მიმართ საგადასახადო მოთხოვნა გამოცემული ჰქონდა. ამდენად, სს „...“ სახელმწიფო ორგანოს წილი მაშინ აჩუქა, როდესაც მის წინააღმდეგ საგადასახადო მოთხოვნა უკვე გამოცემული იყო.

გარდა აღნიშნულისა, პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ საკითხზე, რომ მოსარჩელე ასევე ითხოვდა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით პრივატიზების შეჩერებას; ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებისა და 29-ე მუხლის საფუძველზე პრივატიზებასთან დაკავშირებული დავები ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ განსახილველი დავა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას ექვემდებარებოდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის პირ-

ველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში კი მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურ თიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურ თიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა არა მარტო საქმეში მონაწილე სუბიექტები (მხარეები), არამედ დავის საგანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

მოცემულ შემთხვევაში სს „...“ სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე სარჩელით ითხოვდა შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამსახრო სამმართველოსთან 2010 წლის 21 დეკემბერს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე სახელმწიფოსათვის გადაცემული უძრავი ქონების მჩუქებლისთვის დაბრუნებას, ასევე პრივატიზაციის შეჩერებას. აღნიშნული მოთხოვნა ფაქტობრივად დაკავშირებულია მხარეებს შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებასთან და ნაჩუქარის დაბრუნებასთან. შესაბამისად, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად უნდა შეფასდეს მითითებული ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევის განმსაზღვრელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, ისე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი, როგორც სუბიექტის მონაწილეობა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სასამართლოთა შეფასებას იმის თაობაზე, რომ დავაში მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა განმსაზღვრელი არ არის დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹ მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ასეთ შემთხვევაში მასზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები. საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს სამოქალაქო საქმეთა პალატის დასკვნას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას მხარეთა შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების ადმინისტრაციულად მიჩნევის თაობაზე, რომ ხელშეკრულების დადება ემსახურებოდა საჯარო მიზნის განხორციელებას. მოცემულ შემთხვევაში საქმე გვაქვს კერძო სამართლის სუბიექტის მიერ მის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან, კერძოდ, გაჩუქებასთან. მხოლოდ ის გარემოება, რომ ნაჩუქარი ქონება გადაეცა სახელმწიფოს, არ წარმოადგენს ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების განმსაზღვრელ ფაქტორს.

საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი გულისხმობს არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტას, არამედ ძირითადი, უშუალო ფუნქციის განსახორციელებლად ხელშეკრულების დადებას. სხვაგვარად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას მიენიჭებოდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სტატუსი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა არა სახელმწიფო ქონების მართვა-განკარგავასთან დაკავშირებული ურთიერთობა, რაც „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 1-ლი მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას განეკუთვნება, არამედ კერძო სამართლის სუბიექტის მიერ მის საკუთრებაში რიცხული ქონების სახელმწიფოსათვის ჩუქება, რაც კერძო სამართლებრივი ხასიათის ურთიერთობაა.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს სამოქალაქო საქმეთა პალატის მსჯელობას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გარიგების დადებისა და ამ გარიგებით განსაზღვრული შედეგის საჯარო რეესტრში აღრიცხვის ფაქტი თავისთავად წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედების პრეზუმფციას. საჯარო რეესტრში უძრავი ქონების მესაკუთრედ სახელმწიფოს აღრიცხვა წარმოადგენს სანივთო უფლების წარმოშობის საფუძველს და არა საჯარო უფლებამოსილების განხორციელების დადასტურებას, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის შესაბამისად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემქმნე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, უძრავი ნივთების რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარება საკუთრების უფლება. ამდენად, საჯარო რეესტრში სახელმწიფო საკუთრებად ჩუქებით მიღებული ქონების რეგისტრაცია არ ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო ხელშეკრულების დადებისას მოქმედებდა საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, რამდენადაც საჯარო რეესტრში სანივთო უფლებების რეგისტრაცია ამ უფლებების წარმოშობისა და არსებობის დადასტურებაა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. მოთხოვნა დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის ნორმებზე. სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობანი. კერძოდ, სადავო ურთიერთობა გამომდინარეობს ჩუქების ხელშეკრულებიდან, რომელიც კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს და რომლის დადების დროისთვისაც უცილობლად გამოყენებულ იქნებოდა სამოქალაქო სამართლის ნორმები. წარმოდგენილი სარჩელით სს „...“ ითხოვს სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად მძიმე მდგომარეობის გამო გაჩუქებული ქონების დაბრუნებას. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი კერძო-სამართლებრივია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სს „...“ მოთხოვნაზე პრივატიზაციის პროცესის შეჩერებასთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოთხოვნა ფაქტობრივად ძირითადი მოთხოვნის – ნაჩუქარი ქონების დაბრუნების აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ მოთხოვნას წარმოადგენს, რამდენადაც სარჩელის მიზანი გაჩუქებული ქონების დაბრუნებაა. საქმეში არსებული მასალებით საერთოდ არ დგინდება დაწყებულია თუ არა პრივატიზაციის პროცესი, ან მიღებულია თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება პრივატიზაციის განხორციელების შესახებ და ამაზე არც მოსარჩელე აპელირებს, შესაბამისად, მოთხოვნა პრივატიზაციის შეჩერებაზე პრევენციულ ხასიათს ატარებს და განხილულ უნდა იქნეს უზრუნველყოფის ღონისძიების გატარების შესახებ მოთხოვნა, რაც არ ცვლის დავის არსს. მოსარჩელეს არ დაუყენებია მოთხოვნა პრივატიზაციის პროცესის კანონიერებაზე (რომლის მიმდინარეობაც საქმის მასალებით არ დასტურდება), ასეთის განხორციელების პირობებში, შესაბამისად, უსაფუძვლოა სამოქალაქო საქმეთა პალატის მითითება, რომ პრივატიზაციის შესახებ დავები ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას განეკუთვნება, რის გამოც მოცემული საქმე ადმინისტრაციული წესით განხილვას უნდა დაექვემდებაროს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განმარტავს, რომ წინამდებარე სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, სასარჩელო მოთხოვნა ეხება კერძო სამართლის სუბიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის არსებული კერძო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც მოცემული საქმე არ განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი დავაა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. სს „...“ კერძო საჩივრები განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-844-828(გ-12)

4 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა ნ. გ-ის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატასა და სამოქალაქო საქმეთა პალატას შორის წარმომოხილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

მოსარჩელე ნ. გ-მა 04.06.12წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 04.05.12წ. №68699 და 12.04.12წ. №12049112/3 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა.

სარჩელში აღნიშნულია, რომ შპს „...“ პარტნიორთა კრებამ 17.10.11წ. მიიღო გადაწყვეტილება საზოგადოების პარტნიორთა მიერ კუთვნილი წილების გასხვისების თაობაზე, შესაბამისად, 17.10.11წ. გაფორმდა წილის გასხვისების შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელემ მოითხოვა საზოგადოების რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებით დადგენილ იქნა ხარვეზი მასზე, რომ დამატებით წარსადგენი იყო საზოგადოების ერთ-ერთი პარტნიორის წების დამდგენი დოკუმენტი უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე უარის თქმის შესახებ და შესაბამისი წესით შედგენილი და დამონებული გადაწყვეტილება ელექტრონული მისამართის რეგისტრაციასთან დაკავშირებით. 12.04.12წ. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, საზოგადოების რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანის განცხადებაზე დადგენილ იქნა ხარვეზი და შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება, 04.05.12წ. გადაწყვეტილებით კი არ დაკმაყოფილდა განმცხადებლის ადმინისტრაციული საჩივარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 07.06.12წ. განჩინებით ნ. გ-ის სარჩელი განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ცვლილების შეტანა, რაც არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, ვინაიდან ადმინისტრაციულ ორგანოთა გადაწყვეტილება მატერიალური თვალსაზრისით შემონეშებას ექვემდებარება კერძო სასამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით, კერძოდ კი, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ცვლილების შეტანა რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმებით. სასამართლოს მოსაზრებით, მხოლოდ ის გარემოება, რომ განსახილველ დავაში მონაწილეობს ადმინისტრაციული ორგანო, ვერ შეცვლის დავის კერძო სასამართლებრივ ხასიათს და ვერ განაპირობებს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოცემული დავის განხილვას. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ცვლილების შეტანის საკითხთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება ვერ მიიჩნევა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, ვინაიდან არ გამოიცემა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, არამედ მას საფუძველად უდევს კერძო სამართლის კანონმდებლობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განიხილა საქმე და 30.07.125. გადაწყვეტილებით ნ. გ-ის სარჩელი მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანის თაობაზე არ დააკმაყოფილა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 30.07.125. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. გ-მა, რომელმაც 30.07.125. გადაწყვეტილების გაუქმება და მოპასუხისათვის სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების განხორციელების დავალდებულება მოითხოვა, კერძოდ 17.10.116. გაფორმებული წილის გასხვისების ხელშეკრულების საფუძველზე ე. პ-ის და ი. მ-ის კუთვნილი წილების ნაწილის გასხვისების აღრიცხვა ნ. გ-შვილზე და ი. მ-იზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 07.11.125. განჩინებით ნ. გ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 30.07.125. გადაწყვეტილებაზე, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტის მიზნით, საქმის მასალებთან ერთად, გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ნ. გ-ის სარჩელი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ არ განეკუთვნებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ საქმეთა რიგს, რომლებსაც სასამართლოები განიხილავენ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიუთითა „მენარმეთა შესახებ“ კანონში 24.06.116. შეტანილ ცვლილებაზე, რომლის შესაბამისად, მენარმე სუბიექტთა სამენარმეო რეესტრში რეგისტრაცია ხორციელდება ადმინისტრაციული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე. ცვლილების თანახმად, „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-14².1 მუხლის 1-ლი პუნქტით, რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება ჩაითვალოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად და დადგინდა მისი გაუქმების შესაძლებლობა საქართველოს კანონმდებლობით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმებისათვის დადგენილი წესით. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მითითებული დავა არ უნდა გადაწყდეს სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და განსჯადობის თაობაზე სასამართლოთა მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, მიიჩნევს, რომ ნ. გ-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადობა, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ხსენებულ პალატას და განხილულ იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ცვლილების შეტანა. სამენარმეო იურიდიული პირების რეგისტრაცია, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, განეკუთვნება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო არის იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი მარეგისტრირებელი ორგანო. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა არა მხოლოდ სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობის ანუ იმის გამო, რომ მოთხოვნის ადრესატი არის ადმინისტრაციული ორგანო, არამედ აგრეთვე სადავო სამართალურთიერთობის საჯარო-სამართლებრივი კანონმდებლობიდან წარმოშობის, სადავო სამართალურთიერთობის ბუნების გამო. განსჯადობის სუბიექტთა თეორია, მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად გამოიყენება გამიჯვნის კრიტერიუმად, ფორმალურია და მოკლებულია სამართალურთიერთობის გაანალიზების, მისი არსის წვდომის უნარს. განსჯადობის საკითხში კანონმდებელმა გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა სადავო სამართალურთიერთობის ბუნებას და არა მის მონაწილეებს. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ამავე კოდექსის 2.2 მუხლი კიდევ უფრო აკონკრეტებს ადმინისტრაციული დავის საგანს (ტაქსაცია). აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული (ენუმერაცია).

კანონმდებლის მითითება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს. სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში: იმ შემთხვევაში, თუ სამართალურთიერთობა რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის ან სხვა კერძო-სამართლებრივი წყაროს ნორმებით, დავა სამოქალაქო კატეგორიისაა, უკეთეს ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმა მოცულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ან საჯარო სამართლის სხვა წყაროთი, დავა ადმინისტრაციულ კატეგორიას განეკუთვნება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ნ. გ-ის სასარჩელო მოთხოვნა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რამდენადაც სამენარმეო რეესტრში ცვლილების შეტანა რეგულირდება „მენარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისი ნორმებით. სამენარმეო საქმიანობა „მენარმეთა

შესახებ“ კანონით მოწესრიგებული კერძო-სამართლებრივი საქმიანობის ფორმაა. სამენარმეო ურთიერთობის მონაწილეებს, როგორც კერძო სამართლებრივი ბრუნვის სუბიექტებს, შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება. „მენარმეთა შესახებ“ კანონის 46.3 მუხლის მიხედვით შპს-ს პარტნიორებს უფლება აქვთ გაასხვისონ თავიანთი წილი (მიმოქცევადი უფლება) საზოგადოების კაპიტალში. ამრიგად, შპს-ს პარტნიორთა მიერ წილების გასხვისება სამოქალაქო სამართლებრივი მოქმედებაა, რომელიც შეეხება პარტნიორთა და მესამე პირთა ინტერესებს.

დაუსაბუთებელია თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილების თაობაზე. სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ „მენარმეთა შესახებ“ კანონის მე-14¹.1 მუხლის 1-ლ პუნქტზე მითითებით, რომლის მიხედვითაც რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებული ორგანოს გადაწყვეტილება არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სააპელაციო პალატამ არ იმსჯელა დავის შინაგან, იმპანენტურ ბუნებაზე, რომლითაც დეტერმინირებულია დავის განსჯადობის საკითხი. მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით ხდება სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანა, საკასაციო სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს აქტის შინაარსს და მიუთითებს, რომ სადავო სამართალურითობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რამდენადაც შპს-ს სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანა რეგულირდება „მენარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისი ნორმებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, ისევე, როგორც კერძო სამართლის სხვა იურიდიული პირების დაფუძნება-რეგისტრაციის, პარტნიორთა უფლება-მოვალეობებისა და საზოგადოების მართვის საკითხები, სამართლებრივად წარმოადგენს კორპორაციულ ურთიერთობებს, რომლებიც კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე რეგულირდება. ამდენად, სადავო სამართალურითობა შეეხება კერძო სამართლის იურიდიული პირის რეგისტრაციის (სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანის) პირობებს სამენარმეო კანონმდებლობის საფუძველზე. სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანის მოთხოვნას საფუძველად უდევს სანოტარო წესით დამონებული 17.10.2011წ. კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება შპს „...“ პარტნიორების და ი. მ-ის მიერ სანესდებო კაპიტალში შპს-ს წილის გასხვისების შესახებ. სადავო სამართალურითობის გადაწყვეტა უკავშირდება წილის უპირატესი შესყიდვის უფლებას, რომელიც კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობით, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის ნორმებით და საზოგადოებაში წილის დათმობის შესახებ საზოგადოების წესდების დებულებით არის მოწესრიგებული, რაც ასევე მიუთითებს დავის კერძო-სამართლებრივ ბუნებაზე.

საკასაციო სასამართლოს თვლის, რომ მოცემულ სამართალურითობას არ გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი – დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რის გამოც არ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა არ იზიარებს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას სააპელაციო საჩივრის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსჯადობის თაობაზე და მიიჩნევს, რომ სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებული სამოქალაქო კატეგორიის დავა.

აღნიშნულის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ნ. გ-ის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 399-ე მუხლებით და

და ა ა ღ ი ნ ა:

1. ნ. გ-ის სააპელაციო საჩივარი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

№ბს-17-13(2კ-13)

18 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: პირგასამტეხლოს ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 12 ივლისს ქ. თბილისის მერიამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – შპს „...“ მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მერიას საკუთრების უფლებით გადაეცა ქ. თბილისში, ... ქ. №7-ში მდებარე შენობა-ნაგებობა მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთით. აღნიშნულის შესაბამისად, 2006 წლის 9 ოქტომბერს ცვლილებები განხორციელდა საქართველოს ... კავშირების გაერთიანების ... სამმართველოსა და შპს „...“ შორის 2004 წლის 1 დეკემბერს დადებულ ქირავნობის ხელშეკრულებაში. 2006 წლის 9 ოქტომბრის ხელშეკრულების თანახმად, შპს „...“ გადაეცა ქ. თბილისში, ... ქ. №7-ში მდებარე, ქ. თბილისის მერიის შენობის ტექნიკურ სართულზე არსებული 10,5 კვ.მ ფართის ოთახი, ასევე უფლება მიეცა შენობის სახურავზე განეთავსებინა 2 ანტენა. ხელშეკრულების 2.1 პუნქტის მიხედვით, ქირის ოდენობა განისაზღვრა ყოველთვიურად 130 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხით ეროვნულ ვალუტაში. საიჯარო ქირის გაზრდასთან დაკავშირებით მხარეთა შეთანხმების შედეგად, ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 22 ივლისის №19.29.818 დადგენილებით ცვლილებები იქნა შეტანილი 2006 წლის 9 ოქტომბრის ხელშეკრულებაში. დადგენილების თანახმად, ქირავნობის უფლების მოქმედების ვადა დადგინდა 2012 წლის 1 იანვრამდე. დადგენილებით თანდართული ქირავნობის პირობების 5.1 პუნქტის მიხედვით, საიჯარო თანხა განისაზღვრა 15600 ლარით, ხოლო 12.1 პუნქტის თანახმად, ქირის გადაუხდელობის ან გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო განისაზღვრა ქირის 0,1%-ის მაგრამ არა ნაკლებ 1 ლარის ოდენობით, დარღვევის დღიდან ყოველ გადაუხდელობაზე დღეზე. ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2012 წლის 12 იანვრის №07-8/489 წერილით შპს „...“ ეცნობა, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გავლის გამო, 2012 წლის 1 იანვრიდან შეწყდა 2006 წლის 9 ოქტომბერს გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება. მასვე ეთხოვა დაკავებული ფართის გამოთავისუფლება და ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის წინაშე არსებული ფინანსური ვალდებულებების შესრულება, კერძოდ, ქირავნობის საფასურისა და პირგასამტეხლოს გადახდა.

მოსარჩელის მითითებით, შპს „...“ და ქ. თბილისის მერიას შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რამდენადაც ხელშეკრულება დადებული იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მისთვის მინიჭებული საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე ქმედების შესრულება. ამავე კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის) უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. ამავე კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად კი, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა 2006 წლის 9 ოქტომბრის ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების გამო შპს „...“ დარიცხული პირგასამტეხლოს – 24 299,63 ლარის გადახდის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 13 ივლისის განჩინებით სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით ყადაღა დაედო შპს „...“ საკუთრებაში არსებულ, ქ. ბათუმში, ... ქ. №5/..... ქ. №7-ში მდებარე, მშენებარე საცხოვრებელი სახლის მე-2 სართულზე არსებულ 39,7 კვ.მ ფართის №3 ბინას.

მოპასუხემ – შპს „...“ სარჩელი ნაწილობრივ ცნო, კერძოდ, აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მერიას პირგასამტეხლოს მოთხოვნის უფლება ჰქონდა მხოლოდ 2009 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე პერიოდზე, ხოლო 2006 წლის 9 ოქტომბრიდან 2009 წლამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს გადახდის შესახებ მოთხოვნა იყო ხანდაზმული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; შპს „...“ ქ. თბილისის მერიის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს სახით დაეკისრა 19451.08 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2006 წლის 9 ოქტომბერს, იმის გათვალისწინებით, რომ ქ. თბილისის მერიას საკუთრების უფლებით გადაეცა ქ. თბილისში, ... ქ. №7-ში მდებარე შენობა-ნაგებობა და მასზე ნილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი, ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს ... კავშირების გაერთიანების ... სამმართველოსა და შპს „...“ შორის 2004 წლის 1 დეკემბერს დადებულ ხელშეკრულებაში, რომლის საფუძველზეც ქ. თბილისის მერიამ შპს „...“ იჯარით გადასცა ქ. თბილისში ... ქ. №7-ში მდებარე შენობა-ნაგებობის ტექნიკურ სართულზე არსებული 10,5 კვ.მ ფართის ოთახი, ასევე კომპანის მიენიჭა შენობის სახურავზე 2 ანტენის განთავსების უფლება. ხელშეკრულების 4.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2007 წლის 1 იანვრამდე, თუკი ვადის გასვლამდე 30 კალენდარული დღით ადრე მხარეები წერილობით არ მოითხოვდნენ ვადის გასვლის გამო ხელშეკრულების შეწყვეტას, ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდებოდა მომდევნო 1 წლის ვადით. ანალო-

გიური წესი გამოიყენებოდა ყოველ მომდევნო ვადის გაგრძელებაზე. ხელშეკრულების 2.1 პუნქტით საიჯარო ქირა განისაზღვრა 130 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხით ეროვნულ ვალუტაში, რომელიც მოიჯარეს უნდა გადაეხადა გადახდის დღისთვის ქ. თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დაფიქსირებული ოფიციალური კურსის შესაბამისად. ხელშეკრულების 2.2 პუნქტით განისაზღვრა საიჯარო ქირის გადახდის წესი, რომლის თანახმად, დამქირავებელი გასული თვის ქირა უნდა გადაეხადა ყოველი მომდევნო თვის დაწყებიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში. საიჯარო პირობების 2.4 პუნქტის თანახმად, საიჯარო პირობების 2.2 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მოიჯარეს დაეკისრებოდა 2.4 პუნქტებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო – 0.3% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

საქალაქო სასამართლომ ასევე დადგინებულა მიიჩნია, რომ 2011 წლის 9 ივნისს ქ. თბილისის მერიის მიერ შპს „...“ გაეგზავნა №07-8/6437 წერილი, რომლის თანახმად, მოპასუხემ მიიღო შეთავაზება საიჯარო ქირის გაზრდასთან დაკავშირებით 2006 წლის 9 ოქტომბრის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რაზეც 2011 წლის 28 ივნისს №07-8/6437 პასუხით კომპანიამ განაცხადა თანხმობა. ქ. თბილისის მთავრობის 2011 წლის 22 ივლისის №19.29.818 დადგენილებით ცვლილება განხორციელდა ქ. თბილისის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახურსა და შპს „...“ შორის 2006 წლის 9 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ცვლილების თანახმად, საიჯარო ქირის გადახდა უნდა განხორციელებულიყო ყოველ ექვს თვეში ერთხელ, არა უგვიანეს ყოველი ექვსთვიანი პერიოდის გასვლის უკანასკნელ დღეს. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 1 იანვრამდე. ქირავნობის პირობების 12.1 მუხლის თანახმად, ქირის გადაუხდელობის ან გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო განისაზღვრა ქირის 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მაგრამ არანაკლებ 1 ლარისა. 2012 წლის 1 იანვარს შპს „...“ და ქ. თბილისის მერიას შორის 2006 წლის 9 ოქტომბერს დადებული ქირავნობის ხელშეკრულება შეწყდა მოქმედების ვადის ვადის გასვლის გამო.

2010 წლის 25 ოქტომბერს ქ. თბილისის მერიამ №07-8/11902 წერილით მიმართა შპს „...“ და ეთხოვა საიჯარო ქირის გადახდის დამადასტურებელი საბუთების წარდგენა, რაზეც 2010 წლის 3 ნოემბრის №02/50-140 წერილით „...“ ქ. თბილისის მერიას წარუდგინა 2006 წლის 9 ოქტომბრიდან 2010 წლის 3 ნოემბრამდე საიჯარო ქირის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. წარდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, 2007 წლის 19 აპრილიდან 2010 წლის 20 იანვრამდე შპს „...“ მიერ გადარიცხული საიჯარო თანხა ასახული იყო სხვა სახაზინო კოდზე.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 327-ე, 581-ე, 361-ე, 128-ე, 130-ე, 417-ე, 418-ე, 144-ე მუხლებით და აღნიშნა, რომ სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება და შეწყვეტა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საიჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ამდენად, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მერიასა და შპს „...“ შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხემ არაფეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რამდენადაც შპს „...“ მიერ საიჯარო ქირის გადახდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ ხორციელდებოდა ან ხორციელდებოდა არა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ანგარიშზე, არამედ სხვა ანგარიშზე, რაც მხარეთა შორის ხელშეკრულებით არ იყო განსაზღვრული. ამასთან, ადგილი არ ჰქონია მხარეთა შორის შეთანხმებას ანგარიშის შეცვლის თაობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ მიიჩნია, რომ სხვა ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა ვერ ჩაითვლებოდა ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებად.

საქალაქო სასამართლომ ხანდაზმულობის გამო არ გაიზიარა მოსარჩელის მოთხოვნა შპს „...“ 2006 წლის 9 ოქტომბრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს სახით 24299,63 ლარის გადახდის დაკისრების თაობაზე და აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავე კოდექსის 129-ე მუხლის მიხედვით, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო ხანდაზმულობის ვადა იმ მოთხოვნებისა, რომლებიც წარმოიშობა პერიოდულად შესასრულებელი ვალდებულებებიდან, სამი წელია. სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. ასეთად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო, ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამავე კოდექსის 144-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ პერიოდულად შესასრულებელი თითოეული ვალდებულების დარღვევა ცალ-ცალკე წარმოშობს მოთხოვნის უფლებას და ხანდაზმულობის ვადის ათვლა თავიდან იწყება. შესაბამისად, ამგვარ მოთხოვნებზე შესაძლებელია მხოლოდ სარჩელის აღძვრამდე ბოლო სამი წლის კუთვნილი თანხის ანაზღაურება. მოცემულ შემთხვევაში, 2006 წლის 9 ოქტომბრის იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა აღიძრა 2012 წლის 12 ივლისს, შესაბამისად, საქალაქო სასამართლომ ხანდაზმულად მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნა 2006 წლიდან 2009 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანახმად, პირგასამტეხლო არის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. ამავე კოდექსის 418-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულებით მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლომ 2009 წლის იანვრიდან 2012 წლის იანვრამდე პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ მოთხოვნა, რომლის ოდენობა შეადგენდა 19451,08 ლარს, საფუძვლიანად მიიჩნია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს „...“ და ქ. თბილისის მერიამ.

შპს „...“ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ნაწილობრივ, კომპანიისათვის პირგასამტეხლოს სახით 12541,95 ლარის დაკისრების ნაწილში და ქ. თბილისის მერიის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს სახით მხოლოდ 6909,13 ლარის დაკისრება მოითხოვა.

ქ. თბილისის მერიამ მოითხოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება ნაწილობრივ, სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 6 სექტემბრის განჩინებით ქ. თბილისის მერიისა და შპს „...“ სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 9 აგვისტოს გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა რაიონული სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ შპს „...“ მხრიდან აღგილი ჰქონდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებას.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის – შპს „...“ მოსაზრება, რომ საქალაქო სასამართლომ 2009 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის იანვრამდე პერიოდზე გაანგარიშება არასწორად მოახდინა არა ნულოვანი ბალანსით, არამედ უკვე დაგროვილი დავალიანებით, რის გამოც პირგასამტეხლოს ოდენობამ შეადგინა 19451.08 ლარი. სააპელაციო პალატის მითითებით, საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების შესაბამისად სწორად მოხდა თანხის გაანგარიშება, რომელმაც 2009 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის იანვრამდე პერიოდზე შეადგინა 19451.08 ლარი. სააპელაციო პალატამ ასევე სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა და აღნიშნა, რომ თბილისის მერიისა და შპს „...“ შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქ. თბილისის მერიამ და შპს „...“.

ქ. თბილისის მერიამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 6 სექტემბრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორმა დაუსაბუთებლად მიიჩნია სააპელაციო სასამართლოს განჩინება. კასატორის მითითებით, სასამართლოებმა არასწორად გაავრცელეს აღნიშნულ სამართალურთიერთობაზე მოთხოვნის ხანდაზმულობის 3 წლიანი ვადა, ვინაიდან, უძრავ ნივთებთან დაკავშირებით სახელშეკრულებო მოთხოვნისათვის დადგენილია ხანდაზმულობის 6-წლიანი ვადა. კასატორის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლით განსაზღვრული უფლების დარღვევის მომენტი დადგა ხელშეკრულების შეწყვეტისა და მხარის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შეუსრულებლობის შედეგად. ხელშეკრულება მოქმედებდა 2012 წლის 1 იანვრამდე, რა დრომდეც მხარეები იმყოფებოდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობაში.

გარდა აღნიშნულისა, კასატორმა მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლით, რომლის მიხედვით ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებულები პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. შპს „...“, მართალია ვადის დარღვევით, მაგრამ საიჯარო ქირას იხდიდა 2006 წლიდან 2009 წლამდე. ბოლო გადახდა განხორციელდა 2012 წელს. შესაბამისად, კომპანიის მიერ ხდებოდა თანხის გადახდა და ყოველი გადახდის შემდეგ არ გასულა 3-წლიანი ვადა. ყოველი გადახდა გულისხმობს მოვალის მიერ მოთხოვნის აღიარებას და ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას.

შპს „...“ მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 6 სექტემბრის განჩინების გაუქმება ნაწილობრივ და ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს სახით 6909,13 ლარის დაკისრება.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება, რომ 2009 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის იანვრამდე პირგასამტეხლოს ოდენობა არასწორად იქნა გაანგარიშებული, არა ნულოვანი ბალანსით, არამედ უკვე დაგროვილი დავალიანებით. შესაბამისად, პირგასამტეხლოს ოდენობამ არასწორად შეადგინა 19451,08 ლარი. 2009 წლის იანვრიდან 2012 წლის იანვრამდე პირგასამტეხლოს ოდენობის გაანგარიშება უნდა დაწყებულიყო 2009 წლის მხოლოდ იანვარში გადასახდელი საიჯარო თანხიდან (217,49 ლარი) და არა 2006 წლიდან მოყოლებული პერიოდიდან, რადგან 2006 წლიდან 2009 წლამდე პერიოდისათვის მოთხოვნა ხანდაზმული იყო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 მარტის განჩინებით დასაშვებად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მერიისა და შპს „...“ საკასაციო საჩივრები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მერიისა და შპს „...“ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის უპირველესი, უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ამდენად კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა არა მარტო საქმეში მონაწილე სუბიექტები (მხარეები), არამედ დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისის მერიისა და შპს „...“ შორის დადებული ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა, კერძოდ, ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულების გამო პირგასამტეხლოს დაკისრება. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ უნდა შეფასდეს აღნიშნული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, რამდენადაც მარტოდენ ის გარემოება, რომ ქალაქ თბილისის მერია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, არ ქმნის განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს.

გარდა აღნიშნულისა, თავდაპირველად ქირავნობის ხელშეკრულება დაიდო საქართველოს ... კავშირების გაერთიანების ... სამმართველოსა და შპს „...“ შორის, ხოლო 2006 წელს ქონების მესაკუთრის შეცვლის გამო ხელშეკრულებაში განხორციელდა ცვლილება და ... კავშირების გაერთიანების ... სამმართველოს ნაცვლად ხელშეკრულება გაფორმდა ახალ მესაკუთრესთან – ქ. თბილისის მერიასთან. ამდენად, თავდაპირველად ხელშეკრულების მხარეს წარმოადგენდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, ხოლო ხელშეკრულებაში ცვლილების შემდეგ მას ჩაენაცვლა ადმინისტრაციული ორგანო – ქ.თბილისის მერია, რაც არ ცვლის ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დავაში მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა განმსაზღვრელი არ არის დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹ მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ასეთ შემთხვევაში მასზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები. საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული ქირავნობის ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რამდენადაც იგი დაიდო საჯარო უფლებამოსილების განხორციელების

მიზნით. განსახილველ შემთხვევაში სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მის საკუთრებაში არსებული ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობა და მხოლოდ ის გარემოება, რომ გაქირავებული ქონება არის ადმინისტრაციული ორგანოს საკუთრება არ წარმოადგენს ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების განმსაზღვრელ ფაქტორს, მით უფრო, რომ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანამდე გამქირავებელი იყო კერძო სამართლის სუბიექტი – საქართველოს ... კავშირის გაერთიანების ... სამმართველო და ხელშეკრულების მხარედ ადმინისტრაციული ორგანო მხოლოდ ქონების მის საკუთრებაში გადასვლის გამო ჩაენაცვლა, რის შედეგადაც არ შეცვლილა ხელშეკრულების შინაარსი, მისი კერძო სამართლებრივი ბუნება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი გულისხმობს არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტას, არამედ ძირითადი, უშუალო ფუნქციის განსახორციელებლად ხელშეკრულების დადებას. სხვაგვარად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას მიენიჭებოდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სტატუსი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა არა, ქ. თბილისის მერიის მიერ საჯარო უფლებამოსილებიდან გამომდინარე რაიმე მოქმედების განხორციელება, არამედ ფაქტობრივად მის მიერ მის საკუთრებაში გადასულ ქონებაზე დადებული ხელშეკრულების ვადის გაგრძელება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. მოთხოვნა დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის ნორმებზე. სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მონესრიგებული ურთიერთობანი. სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ქირავნობის ხელშეკრულებიდან, რომელიც კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს. წარმოდგენილი სარჩელით ქ. თბილისის მერია ითხოვს ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცემაზე დადებული პირგასამტეხლოს დაკისრებას. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არ არიან აღჭურვილი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოვალეობებით და სარგებლობენ სამოქალაქო ხელშეკრულებისათვის მახასიათებელი ნების ავტონომიურობის პრინციპით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი დავაა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. ქ. თბილისის მერიისა და შპს „...“ საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2012 წლის 6 სექტემბრის განჩინება და საქმე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

ბანჩინება

№ბს-297-289(გ-13)

27 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 8 დეკემბერს მ. ა-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სსიპ შემოსავლების სამსახურისა და მესამე პირის – რ. ა-ის მიმართ.

მოსარჩელემ მისი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და რ. ა-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 14 ნოემბრის №850 ბრძანების, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2008 წლის 27 ივნისის №16608/005-06/6-02 ბრძანების ბათილად ცნობაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 10 სექტემბრის №2119 ბრძანების, „...“ სარეგისტრაციო მონაცემებში (სამეწარმეო რეესტრში) ცვლილებების რეგისტრაციის შესახებ ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2008 წლის 23 ივნისის №16529/005-06/6-02 და 2008 წლის 27 ივნისის №16608/005-06/6-02 ბრძანებების და ამ ბრძანებების საფუძველზე „...“ დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის ბათილად ცნობა, სამეწარმეო რეესტრში „...“ არსებული სარეგისტრაციო მონაცემების – 2008 წლის 8 თებერვლამდე მდგომარეობით აღდგენა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის მ. ა-ის ხელმძღვანელობით „...“ გამგეობის რეგისტრაციაში გატარების დავალდებულება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით საქმე – მ. ა-ის სარჩელისა გამო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სსიპ შემოსავლების სამსახურისა და რ. ა-ის მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლსა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლზე და განმარტა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა ის გარემოება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად დაფუძნებოდა საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს და კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები წარმოშობილიყო ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის ძირითად მოთხოვნას „...“ სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების განხორციელების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოების შესაბამისი აქტების (ბრძანებების) ბათილად ცნობა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის „...“ სარეგისტრაციო მონაცემებში, „...“ სამეწარმეო რეესტრის რეგისტრაციის 2008 წლის 8 თებერვლამდე არსებული მდგომარეობით აღდგენის დავალდებულება წარმოადგენდა. სასარჩელო განცხადებას მხარე აფუძნებდა იმ გარემოებაზე, რომ თბილისის რეგიონულ ცენტრში (საგადასახადო ინსპექციაში) განცხადება და დოკუმენტები „...“ სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების განხორციელების შესახებ წარადგინეს არაუფლებამოსილმა პირებმა, ვინაიდან, რ. ა-ე და მასთან ერთად არჩეული გამგეობა, იმ პერიოდში არ წარმოადგენდნენ „...“ ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს. მოსარჩელის მოსაზრებით, თბილისის საგადასახადო ინსპექციას სარეგისტრაციოდ წარდგენილი დოკუმენტები არ აძლევდა იმის საფუძველს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ გადაწყვეტილება „...“ არსებული რეგისტრაციის გაუქმებისა (შეცვლის) და ძველი რეგისტრაციის აღდგენის თაობაზე, ვინაიდან, თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ სადავო რეგისტრაციის განხორციელებამდე ძალაში იყო თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 17 მარტის №3839/005 ბრძანებით განხორციელებული რეგისტრაცია. თავის მხრივ, 2006 წლის 17 მარტის რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენდა „...“ საბჭოს 2006 წლის 10 მარტის XII კრების გადაწყვეტილება, სადაც განხილულ იქნა რ. ა-ის განცხადება უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ და არჩეულ იქნა „...“ გამგეობის ახალი 13 კაციანი შემადგენლობა მ. ა-ის ხელმძღვანელობით. მოსარჩელის განმარტებით, აღნიშნული კრების ოქმი სადავო არ გამხდარა რ. ა-ის მიერ და საგადასახადო ორგანოსათვის წარდგენილი არ ყოფილა არცერთი დოკუმენტი, რომელიც შეეხებოდა „...“ განხორციელებული საბჭოს 2006 წლის 10 მარტის XII კრების ოქმისა და მის საფუძველზე განხორციელებული 2006 წლის 18 მარტის რეგისტრაციის გაუქმებას. მოსარჩელის მოსაზრებით, რ. ა-ესა და მის გამგეობას 2008 წლის 8 თებერვლიდან მოყოლებული „...“ წარმომადგენლობაზე არანაირი უფლებამოსილება არ გააჩნდათ, როგორც მინიმუმ მათ ხელახლა რეგისტრაციამდე. შესაბამისად, ასეთი უფლებამოსილება არ არსებობდა 16 მაისის მდგომარეობით, როდესაც ჩატარდა „...“ ყრილობა და საბჭოს სხდომა. აქედან გამომდინარე, ამ თარიღით გაფორმებული „...“ ყრილობისა და სხდომის ოქმიც იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტებს არ წარმოადგენდნენ. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში 2008 წლის 23 ივნისის რეგისტრაცია განხორციელდა იმ დოკუმენტაციის საფუძველზე, რომლის შინაარსი არ აძლევდა საგადასახადო ინსპექციას შესაძლებლობას შეეცვალა 2006 წლის 10 მარტის XII ყრილობის საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაცია, ხლო 2008 წლის 27 ივნისის სადავო ბრძანება მიღებული იყო არაუფლებამოსილი პირების მიერ ჩატარებული და ხელმოწერილი 2008 წლის 16 მაისის ყრილობისა და საბჭოს ოქმების საფუძველზე. ამდენად, ცალსახა იყო, რომ მოსარჩელე ექვემდებარებოდა „...“ თავმჯდომარე რ. ა-ისა და მისი გამგეობის წევრების არჩევის კანონიერებას და ამ პირებს მიიჩნევდა არაუფლებამოსილ პირებად, რომლებიც არ იყვნენ უფლებამოსილნი განცხადება შეეტანათ და მოეთხოვათ ცვლილების განხორციელება.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მითითებით, იმისათვის, რომ დადგენილიყო რ. ა-ე და გამგეობის წევრები წარმოადგენდნენ თუ არა „...“ ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს, საქირო იყო იმ გარემოების დადგენა, რამდენად სწორად ჩატარდა ყრილობა და რამდენად სწორად იქნენ არჩეული ისინი გამგეობის წევრებად. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა იმის დადგენა, რ. ა-ე და ამ პერიოდში არჩეული გამგეობის წევრები წარმოადგენდნენ თუ არა ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ „...“ ყრილობის ჩატარებისა და მასზე გამგეობის წევრების არჩევის კანონიერების საკითხის შეფასება არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას. კოლეგიამ განმარტა, რომ „...“ – „...“ არ წარმოადგენდა ადმინისტრაციულ ორგანოს, მის მიერ ყრილობის ჩატარებას და გადაწყვეტილების მიღებას საფუძველად არ ედო ადმინისტრაციული კანონმდებლობა. აღნიშნული საკითხი რეგულირდებოდა კერძო სამართლის კანონმდებლობით.

ამასთან, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 8 მაისის №419 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადის გადამხდელის სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის/ აღრიცხვის, იურიდიულ ფილიალთა სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის წესის შესახებ“ ინსტრუქციის პირველი მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მართალია ფორმალური თვალსაზრისით გასაჩივრებული აქტები გამოცემული იყვნენ ადმინისტრაციული აქტების (ბრძანებების) ფორმით, მაგრამ არა ადმინისტრაციული, არამედ სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე. შესაბამისად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა წარმოადგენდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით მ. ა-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ა-ემ. აპელანტმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 მარტის განჩინებით მ. ა-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება; საქმე მ. ა-ის სარჩელისა გამო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სსიპ შემოსავლების სამსახურისა და რ. ა-ის მიმართ, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხებოდა სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი. ხსენებული მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი იყო ის სამოქალაქო საქმეები, რომლებსაც სასამართლო განიხილავდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავდა საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც სასამართლოებისადმი სამოქალაქო საქმეთა უწყებრივი დაქვემდებარების განსაზღვრის პრინციპად დავის შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობას აღიარებდა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებული იყო სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი იყო, თუ რა შეიძლება ყოფილიყო ადმინისტრაციული დავის საგანი სასამართლოში, ანუ კონკრეტულად იყო განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიები და დადგენილი იყო, თუ რომელი საქმეები შეიძლება განხილულიყო ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში, კერძოდ, მითითებული მუხლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება ყოფილიყო: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილებოდა სხვა საქმეებიც, იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მ. ა-ის სასარჩელო მოთხოვნას – მ. ა-ის საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და რ. ა-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 14 ნოემბრის №850 ბრძანების, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2008 წლის 27 ივნისის №16608/005-06/6-02 ბრძანების ბათილად ცნობაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 10 სექტემბრის №2119 ბრძანების, „...“ სარეგისტრაციო მონაცემებში (სამწარმო რეესტრში) ცვლილებების რეგისტრაციის შესახებ ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2008 წლის 23 ივნისის №16529/005-06/6-

02 და 2008 წლის 27 ივნისის №16608/005-06/6-02 ბრძანებების და ამ ბრძანებების საფუძველზე „...“ დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებების სამენარმეო რეესტრში რეგისტრაციის ბათილად ცნობა, სამენარმეო რეესტრში „...“ არსებული სარეგისტრაციო მონაცემების – 2008 წლის 8 თებერვლამდე მდგომარეობით აღდგენა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახური-სათვის მ. ა-ის ხელმძღვანელობით „...“ გამგეობის რეგისტრაციაში გატარების დავალდებულება წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის დავად მიჩნევისათვის არსებითი და გადამწყვეტი იყო სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული ნორმატიული ელემენტი – დავის გამომდინარეობა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. თუ სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს კერძო სამართლის კანონმდებლობიდან, სახეზე იქნება სამოქალაქო სამართლის იურისდიქციის სასამართლოს მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი საქმე. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, მ. ა-ის სარჩელზე მოპასუხეებად მონაწილეობდნენ ადმინისტრაციული ორგანოები, კერძოდ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონული ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია), მაგრამ დავაში ადმინისტრაციული ორგანოს მხოლოდ მონაწილეობა არ იყო საკმარისი დავის ადმინისტრაციული წესით განსახილველად მიჩნევისათვის, არამედ ამისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სადავო სამართალურ ურთიერთობის არსს, შინაარსსა და დავის საგანს, ანუ იმ გარემოებას, თუ სამართლის რომელი დარგის ნორმებზე იყო დაფუძნებული მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ამდენად, მართალია, მოცემულ შემთხვევაში, სასარჩელო მოთხოვნას ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობა წარმოადგენდა და სარჩელიც ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ იყო აღძრული, მაგრამ წინამდებარე დავის ადმინისტრაციული წესით განსჯად დავის კატეგორიად მიჩნევისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების მართლზომიერების შეფასებას ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტების გამოცემისას და იმ კანონმდებლობას, რომელიც აღნიშნულ ქმედებათა მართლზომიერების შემოწმების მიზნებისათვის გამოიყენებოდა.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირის რეგისტრაციის საკითხები რეგულირდებოდა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით, რომელიც წარმოადგენდა კერძო სამართლის საკანონმდებლო აქტს, ანუ კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნება-ლიკვიდაციის რეგისტრაციისა და სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების შეტანის საკითხები უშუალოდ, პირდაპირ გამომდინარეობდა მატერიალური, კერძო სამართლის კანონმდებლობიდან და რეგულირდებოდა ამ კანონმდებლობით. შესაბამისად, აღნიშნული კანონმდებლობიდან გამომდინარე დავები რეგულირდებოდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. თუმცა, მითითებული კატეგორიის დავების ადმინისტრაციულ თუ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსჯად დავათა კატეგორიად კვალიფიკაციის მიზნებისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დავის არსს, მოთხოვნის საფუძველს. განსახილველ შემთხვევაში, მ. ა-ის მოთხოვნა ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის თაობაზე ეფუძნებოდა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ არასწორად განმარტა სასამართლო გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები და მისი გადაწყვეტილება (ადმინისტრაციული აქტი) დააფუძნა უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილის არასწორ ინტერპრეტაციას, რამაც საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემებში არასწორი ცვლილების რეგისტრაცია განაპირობა, კერძოდ, წინამდებარე დავის ამოსავალი ნერტილი, ანუ დავის წარმოშობისა და შემდგომი განვითარების საწყისი მდგომარეობა იმაში, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სასამართლოს განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების უპირობო სამართლებრივ შედეგად მიიჩნია „...“ გამგეობისა და მისი თავმჯდომარის, იმ მდგომარეობით რეგისტრაცია, რაც უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებამდე არსებობდა, მაშინ როდესაც აღნიშნული მდგომარეობა „...“ საბჭოს გადაწყვეტილებით უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების ეტაპზე უკვე შეცვლილი იყო და არც უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე გამოტანილი განჩინება შეიცავდა ამგვარ მონესრიგებას. ნიშანდობლივი იყო, რომ ყველა ზემდგომი ორგანოს ადმინისტრაციული აქტი, რომლითაც ძალაში დარჩა ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოების ადმინისტრაციული აქტები, მითითებულ განმარტებას ეფუძნებოდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან სასამართლოს განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების სამართლებრივი შედეგების ერთგვაროვანმა გაგებამ გამოიწვია სამომხმარებლო კოოპერატივ „...“ დღეის მდგომარეობით არსებული სამართლებრივი მდგომარეობა. აღნიშნული დასკვნა გამომდინარეობდა საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ქრონოლოგიური და სისტემური ანალიზით.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული მსჯელობის ნათელყოფისა და განზოგადების მიზნებისათვის, მიზანშეწონილი იყო ერთმანეთისაგან გამიჯნულიყო ორი სამართლებრივი შემთხვევა (კაზუსი), კერძოდ, პირველი, როდესაც საწარმოს რეგისტრაციის, სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის ბათილობის თაობაზე მოთხოვნა ეფუძნებოდა ფაქტს იმის თაობაზე, რომ რეგისტრაციის საფუძველი, მაგალითად, კრების გადაწყვეტილება არ იყო ნამდვილი. ასეთ შემთხვევაში, კრების გადაწყვეტილების, როგორც მრავალმხრივი სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების მიმართ

მოქმედებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესები და აღნიშნული კრების გადაწყვეტილების ბათილობის თანმდევი შედეგი იყო სანარმოს რეგისტრაციის ან კიდევ ცვლილების რეგისტრაციის გაუქმება. ასეთი სამართლებრივი შემთხვევის არსებობის პირობებში ადმინისტრაციულ ორგანოში რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნა სამოქალაქო წესით განსჯად საკითხს წარმოადგენდა, ვინაიდან, შესაფასებელი იყო სამოქალაქო სამართლებრივი კატეგორიის – გარიგების მართლზომიერება. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული მაგალითი განსხვავდებოდა მეორე სამართლებრივი შემთხვევისაგან, კერძოდ, როდესაც მოთხოვნა კვლავ სანარმოს რეგისტრაციის, სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების რეგისტრაციის გაუქმებას წარმოადგენდა, თუმცა, მოთხოვნის საფუძველი არა კრების გადაწყვეტილების, როგორც მრავალმხრივი გარიგების ბათილობა, არამედ რეგისტრაციის განხორციელებისას მარეგისტრირებელი ორგანოს ქმედების არამართლზომიერება იყო. განსახილველ შემთხვევაში სწორედ მეორე სამართლებრივ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, ვინაიდან, ადმინისტრაციული აქტების ბათილობის საფუძველად მითითებული იყო მარეგისტრირებელი ორგანოს ქმედების არამართლზომიერება და არა კრების გადაწყვეტილების ბათილობა.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა მოსარჩელის მიერ ადმინისტრაციული სარჩელის აღძვრის იურიდიულ ინტერესზე. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივი იყო იმ ფაქტის მხედველობაში მიღება, რომ თუ არ დადასტურდებოდა ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან უზრუნველყოფის ღონისძიების განჩინების სამართლებრივი შედეგების არასწორად გაგების ფაქტი, ანუ თუ არ დადგინდებოდა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტების ბათილობის ნინაპირობები, რ. ა-ისა და „...“ გამგეობის სადავო შემადგენლობით მოწვეული ყველა კრება მხოლოდ ამ საფუძველით გასაჩივრების შემთხვევაში ლეგიტიმურად ჩაითვლებოდა, შესაბამისად, აღნიშნული დავის სამართლებრივი შედეგი სწორედ, რომ არაუფლებამოსილი პირების მიერ მოწვეულ კრებებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა ბათილობა იყო, რაც შემდგომში თავისი არსით, სამოქალაქო წესით განსჯადი იქნებოდა. თუმცა, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ადმინისტრაციული ორგანოების ქმედებების მართლზომიერებაზე მსჯელობა ამავე ორგანოების მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ბათილობის ნინაპირობების შემომსახველის კონტექსტში სამოქალაქო სამართალწარმოების ფარგლებს სცილდებოდა, ვინაიდან, სარჩელის მიხედვით, ადმინისტრაციული აქტების ბათილობის ნინაპირობა არა სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება იყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ა-ის მოთხოვნა ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის თაობაზე იყო ადმინისტრაციული წესით განსჯადი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილზე და საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გადმოუგზავნა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეგზავნოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. ამასთან, ამავე განჩინებით უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 მარტის განჩინება – მ. ა-ის სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმების ნაწილში.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 ოქტომბრის განჩინებით საქმე – მ. ა-ის სარჩელისა გამო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სსიპ შემოსავლების სამსახურისა და რ. ა-ის მიმართ, განსჯადობით წესით განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით მ. ა-ის სარჩელი (მისი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და რ. ა-ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2008 წლის 14 ნოემბრის №850 ბრძანების, ქ. თბილისის სავადასახადო ინსპექციის 2008 წლის 27 ივნისის №16608/005-06/6-02 ბრძანების ბათილად ცნობაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 10 სექტემბრის №2119 ბრძანების, „...“ სარეგისტრაციო მონაცემებში (სამეწარმეო რეესტრში) ცვლილებების რეგისტრაციის შესახებ ქ. თბილისის სავადასახადო ინსპექციის 2008 წლის 23 ივნისის №16529/005-06/6-02 და 2008 წლის 27 ივნისის №16608/005-06/6-02 ბრძანებების და ამ ბრძანებების საფუძველზე „...“ დაკავშირებით განხორციელებული ცვლილებების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის ბათილად ცნობის, სამეწარმეო რეესტრში „...“ არსებული სარეგისტრაციო მონაცემების – 2008 წლის 8 თებერვლამდე მდგომარეობით აღდგენისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისის სარეგისტრაციო სამსახურისათვის მ. ა-ის ხელმძღვანელობით „...“ გამგეობის რეგისტრაციაში გატარების დავალდებულების თაობაზე) არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა მ. ა-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 მარტის განჩინებით მ. ა-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება; საქმე მ. ა-ის სარჩელისა გამო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სსიპ შემოსავლების სამსახურისა და რ. ა-ის მიმართ, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც, იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის ძირითად მოთხოვნას „...“ სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების განხორციელების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოების შესაბამისი აქტების (ბრძანებების) ბათილად ცნობა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის „...“ სარეგისტრაციო მონაცემებში, „...“ სამენარმეო რეესტრის რეგისტრაციის 2008 წლის 8 თებერვლამდე არსებული მდგომარეობით აღდგენის დავალდებულება წარმოადგენს. სასარჩელო განცხადებას მხარე აფუძნებს იმ გარემოებაზე, რომ თბილისის რეგიონულ ცენტრში (საგადასახადო ინსპექციაში) განცხადება და დოკუმენტები „...“ სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილების განხორციელების შესახებ წარადგინეს არაუფლებამოსილმა პირებმა, ვინაიდან, რ. ა-ე და მასთან ერთად არჩეული გამგეობის წევრები, იმ პერიოდში, არ წარმოადგენდნენ „...“ ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილ პირებს. მოსარჩელის მითითებით, 2008 წლის 23 ივნისის რეგისტრაცია განხორციელდა იმ დოკუმენტაციის საფუძველზე, რომლის შინაარსი არ აძლევდა საგადასახადო ინსპექციას შესაძლებლობას შეეცვალა 2006 წლის 10 მარტის XII ყრილობის საფუძველზე განხორციელებული რეგისტრაცია, ხოლო 2008 წლის 27 ივნისის სადავო ბრძანება მიღებული იყო არაუფლებამოსილი პირების მიერ ჩატარებული და ხელმოწერილი 2008 წლის 16 მაისის ყრილობისა და საბჭოს ოქმების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მ. ა-ის სასარჩელო მოთხოვნა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან, „...“ – „...“ – სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებების შეტანა რეგულირდება „მენარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისი ნორმებით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ბრძანებები არ წარმოადგენენ ადმინისტრაციულ აქტებს, რამდენადაც არ შეიცავენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული აქტის დეფინიციის განმსაზღვრელ აუცილებელ ელემენტს, კერძოდ: სადავო სამართლებრივი ურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული /საჯარო/ სამართლის კანონმდებლობიდან; შესაბამისად მოცემული დავა ექვემდებარება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას, რამდენადაც სადავო სამართალურთიერთობა რეგულირდება კერძო სამართლის კანონმდებლობით, კერძოდ, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (ამჟამად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო), ახორციელებდა რა მენარმე სუბიექტის რეგისტრაციას ან სამენარმეო რეესტრში ცვლილების რეგისტრაციას, ამონებდა წარდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას „მე-

წარმეთა შესახებ“ კანონის მოთხოვნებთან, შესაბამისად, სადავო ბრძანებები მატერიალური თვალსაზრისით შემომწმებას ექვემდებარება კერძოსამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული ორგანო სადავო სამართალურთიერთობას ანესრიგებს გადაწყვეტილების /ბრძანების/ გამოცემის გზით დავას არ განაკუთვნებს ადმინისტრაციულ კატეგორიას, რამდენადაც ურთიერთობა გამომდინარეობს კერძო სამართლის კანონმდებლობიდან, ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას სწორედ კერძო სამართლის კანონმდებლობის – „მეწარმეთა შესახებ“ კანონის საფუძველზე იღებს. შესაბამისად, ეს გარემოება ვერ გავდება დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევის საფუძველი.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, სარჩელი აღძრულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ, რომლებიც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის დეფინიციიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოებს წარმოადგენენ, მაგრამ მათი დავაში მხოლოდ მონაწილეობა საკმარისი არ არის დავის ადმინისტრაციული წესით განსახილველად მიჩნევისათვის, ამისათვის, არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სამართალურთიერთობის არსს, შინაარსსა და დავის საგანს, ანუ იმ გარემოებას, თუ სამართლის რომელი დარგის ნორმებზეა დაფუძნებული მხარეთა შორის წარმოშობილი დავა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განმარტავს, რომ წინამდებარე სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, რის გამოც მოცემული საქმე არ განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ უზენაეს სასამართლოში დღემდე არსებული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მსგავსი კატეგორიის დავები სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას მიეკუთნება (საქმე №ბს-913-875(გ-07) 30.08.07 განჩინება; საქმე №844-828(გ-12) 04.04.13 განჩინება).

რაც შეეხება, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 მარტის განჩინების ნაწილობრივ გაუქმების საკითხს, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, იმ პირობებში, როდესაც სადავოდ ხდოდა მოცემული საქმის განსჯადობის საკითხს, არ უნდა გაეუქმებინა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება; სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტის შემდეგ შეეძლო არსებითად განეხილა და გადაეწყვიტა საქმე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 მარტის განჩინება უნდა გაუქმდეს – მ. ა-ის სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმების ნაწილში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 25 მარტის განჩინება – მ. ა-ის სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმების ნაწილში;

2. საქმე – მ. ა-ის სარჩელისა გამო, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, სსიპ შემოსავლების სამსახურისა და რ. ა-ის მიმართ, განსახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

3 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

№ბს-424-413(გ-13)

31 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა შპს „...“ სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმომოხილი დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და მცხეთის რაიონულ სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „ქ...“ 20.09.12წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შპს „ტ...“ მიმართ, მოსარჩელემ მოითხოვა მის მფლობელობაში არსებულ სასაქონლო ნიშანზე („...“) განსაკუთრებული უფლებების დარღვევის შეწყვეტა, რადგან მოპასუხის მიერ გამოყენებულ სასაქონლო ნიშანში („...“) ჩართული სიტყვები მოსარჩელის კუთვნილი სასაქონლო ნიშნების მსგავსი იყო, რაც მოსარჩელის აზრით, წარმოადგენდა მათი აღრევის საფუძველს. მომხმარებელი ვერ აცნობიერებს, რომ იძენს არა მოსარჩელის, არამედ სხვა მწარმოებლის პროდუქციას, „...“ და „...“ საგრძნობლად მსგავსი სიტყვათა წყობაა, ამასთანავე მოპასუხის მიერ წარმოებული პროდუქციის ფასი მოსარჩელის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე დაბალია, რაც განაპირობებს მოპასუხის პროდუქციის შეძენას.

მოპასუხე შპს „ტ...“ 01.11.12წ. აღძრა შეგებებული სარჩელი, რომლითაც შპს „ქ...“ სახელზე რეგისტრირებული სიტყვიერი სასაქონლო ნიშნების ბათილად ცნობა და „საქპატენტის“ მიერ სასაქონლო ნიშნების რეესტრში ყველა კომპინირებულ სასაქონლო ნიშანში სიტყვიერი ჩანაწერების დისკლამაციაზე ჩანაწერის შეტანა მოითხოვა.

შპს „ქ...“ წარმომადგენელმა 30.11.12წ. შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს, რომელშიც აღნიშნა, რომ შპს „ქ...“ არ იყო სათანადო მოპასუხე შეგებებულ სარჩელში, რადგან „საქპატენტი“ წარმოადგენდა იმ ორგანოს, ვის მიმართაც უნდა განხორციელებულიყო ძირითადი სარჩელის მოპასუხის შეგებებული სარჩელის მოთხოვნა, სადაც თავდაპირველი მოსარჩელე ჩაერთვებოდა მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგებებულ სარჩელზე მოპასუხემ მოითხოვა საქმის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისთვის განსახილველად გადაცემა და ძირითადი სარჩელის შეგებებული სარჩელისგან დამოუკიდებლად სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 11.12.12წ. საოქმო განჩინებით შპს „ქ...“ წარმომადგენლის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, შპს „ტ...“ შეგებებულ სარჩელზე მოპასუხე შპს „ქ...“ შეიცვალა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრით „საქპატენტით“, ხოლო შპს „ქ...“ ჩაბმულ იქნა საქმეში მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე. რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობის თაობაზე შპს „ტ...“ შეგებებული სარჩელის გამო საქმე მოპასუხე – „საქპატენტის“, მესამე პირის - შპს „ქ...“ მიმართ, გამოეყო ძირითად სარჩელს და განსჯადობით გადაეგზავნა „საქპატენტის“ ადგილმდებარეობის მიხედვით – მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ თუ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შემდეგ დავა ეხება ადმინისტრაციულ ორგანოს – „საქპატენტის“ უფლებამოსილებებს, კერძოდ, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ვადის გაგრძელებას, რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანას, „საქპატენტის“ მიერ რეგისტრაციის გაუქმებას, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობას ანუ საბოლოო ჯამში ადმინისტრაციული ორგანოს – სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, ასეთი დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნას განხილული. მოცემულ შემთხვევაში შპს „ქ...“, როგორც არასათანადო მოპასუხე, შეიცვალა სათანადო მოპასუხით – სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტით“, რის გამოც საქმე მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია, ვინაიდან მოსარჩელე მხარე მოითხოვს „საქპატენტის“ მიერ გაცემული სასაქონლო ნიშნის ბათილად ცნობას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 18.12.12წ. საოქმო განჩინებით შეჩერდა წარმოება საქმეზე შპს „ქ...“ სარჩელზე მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული წესით განსახილველ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 05.06.13წ. საოქმო განჩინებით სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ მიჩნეულ იქნა არასათანადო მოპასუხედ, მესამე პირი შპს „ქ...“ მოსარჩელის თანხმობით საქმეში ჩაერთო მოპასუხედ. მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 05.06.13წ. განჩინებით საქმე შპს „ტ...“ სარჩელისა გამო განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 11.12.12წ. საოქმო განჩინების მითითება იმის შესახებ, რომ დავა ეხება „საქპატენტის“ უფლებამოსილებებს ანუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელე სადავოდ არ ხდის სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ აქტებს, ამასთან მოპასუხედ მიიჩნევს შპს „ქ...“. დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, უკეთუ დაინტერესებული პირი ასაჩივრებს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებას ჯერ შემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, შემდეგ კი სასამართლოში. მოსარჩელეს არც სარჩელში და არც შემდგომ საქმის განხილვის ეტაპზე არ მიუ-

თითები რაიმე ბათილად საცნობი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ის გარემოება, რომ მოსარჩელე შპს „ქ...“ საკუთრებაში არსებული სასაქონლო ნიშნების ბათილად ცნობას ითხოვს, არ ნიშნავს, რომ ის ასაჩივრებს „საქპატენტის“ მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. მოსარჩელე ითხოვს სასაქონლო ნიშნების როგორც საკუთრების გაუქმებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და მცხეთის რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ შპს „ტ...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში დავა ეხება როგორც საგნობრივ, ასევე ტერიტორიულ განსჯადობას. ტერიტორიული განსჯადობის საკითხი წყდება მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. სასამართლო თავისი ინიციატივით მოპასუხეს ვერ შეცვლის. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეზე სასამართლოებს შორის განსჯადობაზე დავის დასაშვებობა არ ათავისუფლებს სასამართლოს სსკ-ის 85-ე მუხლის მოთხოვნების დაცვისაგან, რომლის თანახმად სასამართლოს შეუძლია მოსარჩელის თანხმობით და არა თავისი ინიციატივით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მცხეთის რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის“ აქტების კანონიერება, ამასთან, მოპასუხედ მიიჩნია რა შპს „ქ...“, მცხეთის რაიონული სასამართლოს 05.06.136. საოქმო განჩინებით „საქპატენტი“ შეიცვალა სათანადო მოპასუხით, შესაბამისად შპს „ქ...“ საქმეში ჩაერთო მოპასუხედ. ამასთანავე, საქმის მასალებით არ დასტურდება მოპასუხედ მითითებული შპს „ქ...“ არასათანადოობა. საკასაციო პალატა არ იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 11.12.126. საოქმო განჩინებაში მოყვანილ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ დავა ეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით სასაქონლო ნიშანი არის სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც გამოისახება გრაფიკულად და განასხვავებს ერთი საწარმოს საქონელს ან/და მომსახურებას მეორე საწარმოს საქონლის ან/და მომსახურებისაგან. ამდენად, სასაქონლო ნიშანი არის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთან დაკავშირებით დავები ძირითადად ეხება ობიექტზე უფლების მოპოვებას ან უფლებათა დარღვევას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული დავებისათვის დამახასიათებელია პროცესუალური ორგვაროვნება, ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავა ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი მიმართულებისაა, ერთ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს (სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“) მიმართ გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის შესახებ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივია და შესაბამისად დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული, ხოლო მეორეს მხრივ დაინტერესებული პირის მიერ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე უფლების დაცვის მოთხოვნა სამოქალაქო-სამართლებრივია. პროცედურა, რომელსაც ატარებს „საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარებას, ექსპერტიზა ორ ეტაპად იყოფა, პირველ ეტაპზე მოწმდება ფორმალური მოთხოვნების შესრულება (საგანაცხადო მასალის სისრულის შემოწმება, საფასურის გადახდა, წარმომადგენლობის საბუთის არსებობა და სხვ.), მეორე ეტაპზე ტარდება არსობრივი ექსპერტიზა – მოწმდება სასაქონლო ნიშნის შესაბამისობა კანონით დადგენილ კრიტერიუმებთან, მოწმდება ნიშნის სიახლე. კანონმდებლობა ითვალისწინებს ორივე ეტაპის გასაჩივრების შესაძლებლობას. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონი ითვალისწინებს ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის და არსობრივი ექსპერტიზის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების განმცხადებლის (ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ითხოვს მოწმობის გაცემას) მიერ სამი თვის ვადაში გასაჩივრების შესაძლებლობას (კანონის მე-16 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები; საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 23.08.99წ. №63 ბრძანებით დამტკიცებული „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენისა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის 17.1 და 22.1 მუხ.). „საქპატენტის“ მიერ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე წარმოშობილი დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი იქნება. უკეთუ პალატამ დააკმაყოფილა საჩივარი, ე.ი. მიიღო გადაწყვეტილება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ ანდა არსობრივი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება, განაცხადის მონაცემები სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში უნდა გამოქვეყნდეს ერთი თვის ვადაში, ბიულეტენი ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი პირისათვის. ჩგანაცხადის მონაცემების ბიულეტენში გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ეძლევა საპელაციო პალატაში გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა („სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 16.4 მუხ., „სასაქონლო ნიშანზე განაცხადის წარდგენასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ“ ინსტრუქციის 24-ე მუხ.). ასეთ შემთხვევაში შედავება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება, შედავება ასეთ შემთხვევაში უშუალოდ შეეხება სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებას. აღნიშნულ შემთხვევებში პრეტენზია თავდაპირველად გა-

ნიხილება „საქპატენტში“, მისი სპეციალური ორგანოს – სააპელაციო პალატის მიერ. საქართველოს მთავრობის 03.07.106. დადგენილებით დამტკიცებული „საქპატენტის“ დებულების მიხედვით საქპატენტის ძირითადი ფუნქციაა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთან დაკავშირებით განმცხადებლისა და მესამე პირების საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება „საქპატენტთან“ არსებულ სააპელაციო პალატაში, რომლის გადაწყვეტილება, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 16.6 მუხლის თანახმად, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. საქპატენტო კანონის 40²-ე მუხლის მე-6 პუნქტი პირდაპირ უთითებს, რომ „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისთვის კანონით დადგენილ ვადაში, რაც ადასტურებს ამ კატეგორიის დავების ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას. ამდენად, განაცხადის მონაცემების ბიულეტენში გამოქვეყნებიდან სამი თვის ვადაში ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს „საქპატენტთან“ არსებულ სააპელაციო პალატაში გასაჩივროს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, ვპრეტენზიის წარდგენის შემთხვევაში ის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება. თუ სამი თვის ვადაში სააპელაციო პალატაში არ იქნება შეტანილი სააპელაციო საჩივარი, „საქპატენტი“ ახდენს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციას სასაქონლო ნიშნების რეესტრში და მონაცემებს რეგისტრირებული ნიშნის შესახებ აქვეყნებს ბიულეტენში. სასაქონლო ნიშნების რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ „საქპატენტი“ ვასცემს მონაშობას სასაქონლო ნიშანზე, რომლითაც დასტურდება სიმბოლოს რეგისტრაცია სასაქონლო ნიშნად, ნიშნის პრიორიტეტის თარიღი, მფლობელის განსაკუთრებული უფლება ნიშანზე, რეგისტრაციის მოქმედების ვადა. სასაქონლო ნიშანს „...“ არაერთგზის აქვს გავლილი აღნიშნული პროცედურა (საქმის მასალების თანახმად ძალაშია რამდენიმე სასაქონლო ნიშანი), ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურები არ გასაჩივრებულა. უფრო მეტიც, საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2004 წელს შპს „ტ...“ უარი ეთქვა სასაქონლო ნიშნის – „...“ რეგისტრაციაზე, ექსპერტიზამ მიიჩნია, რომ სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშანი მსგავსია შპს „ქ...“ კუთვნილი სასაქონლო ნიშნისა „...“, აღნიშნულის გამო „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სასაქონლო ნიშნის დარეგისტრირებაზე შპს „ტ...“ უარი ეთქვა.

შპს „ქ...“, როგორც „...“ (ქართულ, ინგლისურ, რუსულ ენებზე) სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების მქონე პირი, სკ-ის 1102-ე მუხლის საფუძველზე ითხოვს შპს „ტ...“ მიერ მსგავსი ნიშნის („...“) გამოყენების აკრძალვას, თავის მხრივ, შპს „ტ...“ უარყოფს შპს „ქ...“ მიერ სასაქონლო ნიშანზე („...“) განსაკუთრებული უფლების დარღვევას, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ სარჩელი აღძრულია როგორც დაცვითი საშუალება მოპასუხის მიერ აღძრული სარჩელის მიმართ, შპს „ტ...“ სარჩელში მოპასუხედ დასახელებული არა ადმინისტრაციული ორგანო – „საქპატენტი“, არამედ შპს „ქ...“. მოსარჩელე თვლის, რომ სიტყვების „...“ გამოყენება შეუძლია ყველა პირს, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია თბილისთან, არავის არ აქვს უფლება სასაქონლო ნიშანზე რეგისტრაციით მოიპოვოს განსაკუთრებული უფლება ტერიტორიულ დასახელებაზე („...“), აუკრძალოს მისი გამოყენება სხვა პირებს, ამასთანავე სასაქონლო ნიშანი „...“ მიაწვდის 2007 წლიდან თბილისის ადმინისტრაციულ რაიონს, ხოლო ისტორიულ რაკურსში ის არის თბილისის კონცეფტუალური მოდელი ადამიანთა აღქმაში. მოსარჩელის აზრით, თუ „...“ დაემატება სიტყვა „...“, ამით ის არ კარგავს ტერიტორიული დასახელების შინაარსს, ამით აღინიშნება იგივე ტერიტორიული დასახელება დროის ადრეული პერიოდისათვის, ხსენებული გამორიცხავს განსაკუთრებულ უფლებას სიტყვაზე „...“ და სიტყვათა კომბინაციაზე – „...“, შესაბამისად მის მიერ გამოშვებულ პროდუქციაზე ნიშნის გამოყენება არ არღვევს რაიმე უფლებას. მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნა ეხება სასაქონლო ნიშნის გამოყენების წესის დაცვის დარღვევას, ნიშანზე განსაკუთრებული უფლების არსებობას, მისი დაცვის შესაძლებლობას (სკ-ის 1102-ე მუხ.), ნიშანზე განსაკუთრებული უფლების ფარგლებს (მე-7 მუხ.), კანონმდებლობის მოთხოვნებთან ნიშნის შესაბამისობას („სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი), საბოლოო ჯამში დისკლამაციის (სასაქონლო ნიშნის გარკვეული ელემენტის დაცვაზე უარის თქმის) დადასტურებას. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოთხოვნები არ უკავშირდება ადმინისტრირებას, საჯარო სამართალს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების სამთვინიანი ვადის გასვლა არ გამორიცხავს სასაქონლო ნიშნის მფლობელისადმი, როგორც ინტელექტუალური ობიექტის მესაკუთრისადმი, შედავების წარდგენის შესაძლებლობას. კანონმდებლობა ითვალისწინებს სასამართლოს მიერ უკვე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმებას („სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 27-ე, 28-ე მუხ.), რაც ადასტურებს საქპატენტის სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენში მოთხოვნის გამოქვეყნებიდან სამი თვის გასვლის და რეესტრში სასაქონლო ნიშნის შეტანის შემდეგ სასაქონლო ნიშანთან, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთან, დაკავშირებით შედავების წარდგენის შესაძლებლობას. რეგისტრაციის და „საქპატენტის“ მიერ სასაქონლო ნიშანზე მონაშობის გაცემის შემდეგ რეგისტრაციასთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები დასრულებულად ითვლება, რეესტრში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეგისტრაცია ადასტურებს ობიექტის პირის საკუთრებაში ყოფნას, რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლების წარმოშობას ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან, რეგისტრაციიდან სასაქონლო ნიშანი სამრეწველო საკუთრებას წარმოადგენს და როგორც საკუთრების ობიექტი მონაწილეობს სამოქალაქო ბრუნვაში. ასეთ შემთხვევაში დავა სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებით, კერძოდ სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის ქმედების შეწყვეტა, დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების, რეგისტრირებული ნიშნის ყველა იმ გამოსახულების, ეტიკეტის, ანაბეჭდის, შეფუთვის, შესაფუთი მასალისა და სარეკლამო განცხადების განადგურების, აგრეთვე ნიშნის დასამცხადებლად

განკუთვნილი კლიშეების, მატრიცების, საქონლის განადგურების მოთხოვნა (კანონის 45-ე მუხ.), ისევე როგორც სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლებიდან გამომდინარე სამოქალაქო ბრუნვაში მესამე პირის მიერ სასაქონლო ნიშნის გამოყენების აკრძალვის მოთხოვნის უფლების არარსებობის „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონით გათვალისწინებული (მე-7 მუხ.) შემთხვევებიდან გამომდინარე დავები არ უკავშირდება ადმინისტრირების პროცესს და კერძოსამართლებრივ დავათა კატეგორიას განეკუთვნება, რის გამო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შემდეგ წარმოშობილი დავა შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციული კატეგორიის საქმედ უკეთუ დავა უშუალოდ შეეხება ადმინისტრაციულ ორგანოს – „საქპატენტის“ უფლებამოსილების საკითხს (მაგ. სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ვადის გაგრძელებას (მე-20 მუხ.), საქპატენტის ინიციატივით სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გაუქმების შესაძლებლობას (27-ე მუხ.) და გასაჩივრებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილ ვადაში. სხვა შემთხვევაში, ინტელექტუალურ-საკუთრებითი ურთიერთობიდან გამომდინარე ორ კერძო სუბიექტს შორის არსებული დავა თავისი ბუნებით კერძო-სამართლებრივია და სასამართლო მას განიხილავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამდენად, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ სასაქონლო ნიშანი იქცევა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტად და საკუთრებითი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა, „საქპატენტის“ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების ვადის გასვლის შემთხვევაში, განხილულ უნდა იქნას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ხოლო საქპატენტი, როგორც რეგისტრაციის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე და მის აღსასრულებლად, შეიტანს შესაბამის ცვლილებას რეესტრში. დავის განსჯადობის საკითხს არ ცვლის ის გარემოება, რომ კერძო სუბიექტებს შორის დავის გადაწყვეტამ შესაძლოა გამოიწვიოს „საქპატენტის“ მიერ რეგისტრაციის შეცვლა, ასეთ შემთხვევაში რეგისტრაციის ცვლილება არ არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინიცირებული, მას არ აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ის არ არის წარმოშობილი ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე და დეტერმინირებულია კერძო-სამართლებრივი ურთიერთობებით.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს სადავო სამართალურითობაში მოპასუხედ დასახელებული ჰყავს ის პირი, რომლის საკუთრებაშიც იმყოფება ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი და არა რეგისტრაციის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო, დავა ეხება საკუთრებაში მყოფ ობიექტს და არა ადმინისტრაციული აქტის გაუქმებას, რეალაქტის განხორციელებას, ადმინისტრირებას. კერძოდ, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე – შპს „ტ...“ მოპასუხედ დასახელებს არა სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს – „საქპატენტს“, არამედ შპს „ქ...“, მოსარჩელე არ ითხოვს „საქპატენტის“ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობას. მოსარჩელეს საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე არ მოუთხოვია საქპატენტის რომელიმე კონკრეტული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, მოსარჩელის მიერ მოპასუხის შპს „ქ...“ საკუთრებაში არსებული სასაქონლო ნიშნების ბათილად ცნობის მოთხოვნა ნიშნავს სასაქონლო ნიშნების როგორც საკუთრების გაუქმების მოთხოვნას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელზე უფლება არის დისპოზიციური, სახელდობრ მოსარჩელე განსაზღვრავს დავის საგანს და დასახელებს მოპასუხეს, ამასთანავე, სსკ-ის მე-11 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ იურიდიულ პირებს შორის საქმეებს სასამართლო განიხილვას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განსახილველი დავა ტერიტორიული განსჯადობით არ მიეკუთვნება მცხეთის რაიონული სასამართლოს იურისდიქციას, დავა უნდა იქნეს განხილული მოპასუხის – შპს „ქ...“ ადგილმდებარეობის მიხედვით სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, შესაბამისად, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა ა ღ ი ნ ა :

1. შპს „ტ...“ სარჩელი მოპასუხე შპს „ქ...“ მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
 შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
 ლ. მურუსიძე,
 მ. ვაჩაძე

დავის საგანი: შესრულებული სამუშაოების მიღება, შეუსრულებელ სამუშაოზე პირგასამტეხლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...“ 02.02.12 წ. სარჩელით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ 01.09.11წ. №122 ხელშეკრულების შესაბამისად მოპასუხისთვის შესრულებული სამუშაოების მიღების და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დავალების მოთხოვნით. მოსარჩელემ მიუთითა, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოცხადდა ტენდერი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოების შესრულების შესახებ. ტენდერში მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა შპს „...“. მხარეებს შორის 01.09.2011წ. გაფორმდა №122 ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად შესასრულებელ სამუშაოთა ღირებულებამ შეადგინა 114 999 ლარი, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2011 წლის 1 სექტემბრიდან 55 კალენდარული დღე. სამუშაოების მიმდინარეობისას აღმოჩნდა, რომ რეალურად შესასრულებელი იყო 104 420,48 ლარის ღირებულების სამუშაო, ობიექტის – ადმინისტრაციული შენობის ფართი აღმოჩნდა გათვალისწინებულზე ნაკლები, რის შედეგადაც შემცირდა შესასრულებელ სამუშაოთა ღირებულება და სხვაობამ შეადგინა 10 578,51 ლარი. ამასთან, მოსარჩელემ მეტალოპლასტმასის ფანჯრის ქვეშ მოაწყო პლასტმასის რაფები, რაც გათვალისწინებული არ იყო ხარჯთაღრიცხვით. მოსარჩელის მითითებით ვერ მოხერხდა შესასვლელის საჩრდილობის გადახურვა გამჭვირვალე ფილით, ვინაიდან მოპასუხემ შპს-ს მოთხოვნის მიუხედავად არ წარადგინა სათანადო ტექნიკური დოკუმენტაცია. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო მოსარჩელემ შეასრულა 12 დღის ვადაგადაცილებით, რაზედაც მას დაეკისრა პირგასამტეხლო 2759,88 ლარი. სამუშაოთა შესრულების შემდგომ მოსარჩელემ მოპასუხისგან არაერთგზის მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით სამუშაოთა მიღება, რაზეც ქარელის მუნიციპალიტეტმა უარი განაცხადა იმ საფუძველით, რომ მოსარჩელეს გადასახდელი ჰქონდა ჯარიმა 19834,10 ლარის ოდენობით. აღნიშნული ჯარიმიდან მოსარჩელე აღიარებს ვადაგადაცილების გამო დაკისრებულ 2759,88 ლარის ჯარიმას.

ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 27.03.12წ. სარჩელით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე შპს „...“ მიმართ მოპასუხისთვის პირგასამტეხლოს სახით 19 834,10 ლარის დაკისრების მოთხოვნით. მოსარჩელემ მიუთითა, რომ ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოცხადდა ტენდერი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოების შესრულების თაობაზე. ტენდერში მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა შპს „...“, მხარეებს შორის 01.09.2011წ. გაფორმდა №122 ხელშეკრულება, რომლის შესაბამისად სამუშაოთა ღირებულებამ შეადგინა 114 999 ლარი, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 55 დღე. შპს-მ 06.12.11წ. განცხადებით მიმართა საკრებულოს და აღნიშნა, რომ მის მიერ შესრულებული იყო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება, თუმცა შპს-ს მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი არ დაემთხვა შესასრულებელ სამუშაოთა ოდენობას. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ ნაცვლად 114 999 ლარისა 104420,48 ლარი შეადგინა. წარმოდგენილი სსიპ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო – ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის დანართში კონკრეტულად არის ჩამოთვლილი თუ რაში გამოიხატა სამუშაოთა შეუსრულებლობა, კერძოდ, ნაცვლად 13 კარისა, მოეწყო 11; კაბინეტის საკვანძო „არკო კრანი“ 6-ის ნაცვლად, მოეწყო 1; ლამინირებული იატაკი უნდა მოეწობილიყო 101,78 კვ.მ-ზე, თუმცა მოეწყო 73,8 კვ.მ-ზე და ა.შ. ამასთანავე, შპს-ს არ გადაუხურავს შესასვლელის საჩრდილობელი გამჭვირვალე ფილით. მუნიციპალიტეტმა განიხილა შპს-ს წერილი, ექსპერტიზის დასკვნა და 01.09.2011წ. ხელშეკრულების მე-14 მუხლის შესაბამისად შპს-ს განესაზღვრა 19 834,10 ლარის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდა, საიდანაც 12694,22 ლარი არის შეუსრულებელი ნაწილის 120%, 4380 ლარი შესასვლელი საჩრდილობის გადახურვის შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლო 120%, ხოლო 2759 ლარი არის ჯარიმა 12 დღის ვადაგადაცილებით სამუშაოს დასრულებისათვის. მუნიციპალიტეტის მხრიდან შპს-ს მიერ განხორციელებული სამუშაოების გათვალისწინებით შედგა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის ხელმოწერაზეც შპს „...“ უარს აცხადებს.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 27.04.12წ. განჩინებით ზემოაღნიშნული ორი საქმე გაერთიანდა ერთ წარმოებად, საქმეში მესამე პირად ჩაება შპს „...“.

დავის პირველ ინსტანციაში განხილვისას ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა შპს „...“ 18 681 ლარის დაკისრება.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 25.06.12წ. გადაწყვეტილებით შპს „...“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შპს „...“ ქარელის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ დაეკისრა 14 301 ლარის გადახდა.

რაიონულმა სასამართლომ, სზაკ-ის 65-ე მუხლის საფუძველზე მიიჩნია, რომ მხარეთა შორის 01.09.11წ. დაიდო ადმინისტრაციული ხელშეკრულება საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია-

სა და რემონტთან დაკავშირებით. შპს „...“ მიერ წარდგენილი საინჟინრო-ტექნიკური ექსპერიზის დასკვნის, ექსპერტების ჩვენებებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დეფექტურ აქტში მითითებული მოცულობები რიგ შემთხვევაში არ შეესაბამებოდა რეალობას შენობის საერთო მოცულობის სიმცირის გამო, თუმცა შპს-ს მიერ შეუსრულებელი იყო ისეთი სამუშაოებიც, რომლებიც არ იყო დაკავშირებული შენობის მოცულობასთან. ამასთან, სამუშაოების წარმოების პროცესში შპს-მ არ მიმართა ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამუშაოთა სრულად შესრულების შეუძლებლობის შესახებ. საქმეში დაცული საექსპერტო დასკვნების საფუძველზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შეუსრულებელ სამუშაოთა ღირებულება შეადგენდა 9618,51 ლარს. სასამართლომ სკ-ის 361-ე, 429-ე მუხლების საფუძველზე მიუთითა, რომ ვინაიდან შპს „...“ მასზე დაკისრებული ვალდებულება არაჯეროვნად შეასრულა, ამიტომ არ არსებობს შესრულებულ სამუშაოთა მიღების თაობაზე ქარელის მუნიციპალიტეტის დავალდებულების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი. რაც შეეხება საჩრდილობის გამჭვირვალე ფილით გადახურვის ვალდებულებას, სასამართლომ აღნიშნა, რომ მის შესასრულებლად საჭირო იყო შესაბამისი ტექნიკური დოკუმენტაცია, რაც შპს-ს არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად არ იქნა წარდგენილი ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, რის გამოც საზოგადოებამ აღნიშნული სამუშაო ვერ შეასრულა. სკ-ის 369-ე მუხლზე მითითებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან შპს-ს მიერ აღნიშნული ქმედების განხორციელება დამოკიდებული იყო კონტრაქტის გარკვეულ მოქმედებაზე, რომელიც არ შესრულდა, ამიტომ ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოთხოვნა ვალდებულების შეუსრულებლობის გამო შპს-თვის პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ აღნიშნულ ნაწილში მიჩნეულ იქნა დაუსაბუთებლად და არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ სკ-ის 416-ე, 417-ე, 418-ე მუხლების საფუძველზე და მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ შპს „...“ ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისთვის ქარელის მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 14 301 ლ. პირგასამტეხლოს გადახდა, საიდანაც 11542 ლ. არის შეუსრულებელი სამუშაოს 120%, 2759 ლ. 12 ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლო.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 25.06.125. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა შპს „...“ მიერ მისთვის 11 542 ლარის დაკისრების ნაწილში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.10.125. განჩინებით შპს „...“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ხაშურის რაიონული სასამართლოს 25.06.125. გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათი სამართლებრივი შეფასება და მიუთითა, რომ ლ.სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 22.11.2011წ. საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, ქარელის მუნიციპალიტეტის შენობის სამშენებლო სარემონტო სამუშაოებზე ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობები და რაოდენობები არ შეესაბამებოდა წარმოდგენილ ფორმა №2-ში მოცემულ სამუშაოთა მოცულობებსა და რაოდენობებს. ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოთა რაოდენობა შეადგენდა 104 420,48 ლარს, ნაცვლად ფორმა №2-ში მოცემული 114 999 ლარისა, სხვაობა ნაკლებობით შეადგენდა 10578,51 ლარს. ლ.სამხარაულის სახელობის 14.04.2012წ. საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით კი მხარეებს შორის 01.09.2011წ. გაფორმებული ხელშეკრულების დეფექტური აქტი საერთო ჯამში არ შეესაბამებოდა რეალობას. ამავე დასკვნაში მითითებულია, რომ ვინაიდან ექსპერტიზისთვის არ იყო წარდგენილი გეგმა-ნახაზი, სადაც ნაჩვენებია იქნებოდა შესრულებული სამუშაოების სპეციფიკა სათავსოების მიხედვით, მთელ რიგ საკითხებზე მსჯელობა ვერ მოხდა. ამასთან, დასკვნაში მიუთითა, რომ კედლების და ქერის შეფიხვნა-შეღებვა ემულსიის საღებავით სამივე სართულზე უნდა მომხდარიყო 4050 კვ.მ-ზე, თუმცა მითითებული სამუშაო შესრულდა მხოლოდ 3410,80 კვ.მ-ზე. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ შპს „...“ მიერ შეუსრულებელია ისეთი სამუშაოებიც, რომლებიც არ არის დაკავშირებული შენობის ფართობთან. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ შპს-ს სამუშაოების წარმოების პროცესში არ მიუმართავს ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის ნაკისრი ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის შესახებ. შპს „...“ მიერ შეუსრულებელ სამუშაოთა ღირებულებამ შეადგინა 9618,51 ლარი. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ არსებობს შპს-თვის შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 120%-ის დაკისრების პირობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 31.10.125. განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრდა შპს „...“ მიერ. კასატორი აღნიშნავს, რომ ადგილი აქვს არა შპს-ს მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობას, არამედ დეფექტურ აქტში მითითებულ მონაცემებსა და სარემონტო ობიექტის რეალურ მონაცემებს შორის სხვაობას, რამაც გამოიწვია სატენდერო წინადადებაში გაცხადებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვასა და რეალურად შესრულებულ სამუშაოთა ფასთა შორის სხვაობა. სასამართლომ სამუშაოთა შეუსრულებლობა დაადგინა არასწორი ფასთა სხვაობის მიხედვით. კასატორის მითითებით ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო ჯარიმა შეუსრულებელი ვალდებულების 120%-ის ოდენობით. სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა აღნიშნული, შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლოს შემცირებასთან დაკავშირებით. შპს-მ აღნიშნა, რომ სხვაობა შესასრულებელ და შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებებს შორის გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ადმინისტრაციული შენობის ფართი აღმოჩნდა გათვალისწინებულზე ნაკლები. ხელშეკრულების დადებისას წარმოდგენილი არ ყოფილა შენობის ტექნიკური მახასიათებლების ამსახველი დოკუმენტაცია, რითაც ქარელის მუნიციპალიტეტმა წინასწარ აღიარა, რომ შესაძლოა ყოფილიყო ცდომილებები ხარჯთაღრიცხვასა და რეალურად შესრულებულ სამუშაოთა შორის. ამასთანავე, კასატორმა მიუთითა, რომ საკრებულოს წარმომადგენლების მიერ შემოწმდა სამუშაოთა მო-

ცულობები და შედგა შესრულების ინსპექტირების აქტი №205, რომლის თანახმად შპს „...“ მიერ სამუშაოები სრულად არის შესრულებული, გარდა შენობის მთავარი შესასვლელის გამჭვირვალე ფილით გადახურვისა. აღნიშნული ნაწილი სასამართლომ მიიჩნია, რომ საკრებულოს მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე შპს მოკლებული იყო შესასვლელის გადახურვის შესაძლებლობას, რაც სადავოდ არ გამხდარა. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარდგენილი საქსპერტო დასკვნების საფუძველზე, კასატორი თვლის, რომ უდავოდ დასტურდება მის მიერ ვალდებულებათა სრულად შესრულება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და საჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმე განხილულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლების, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესების დარღვევით, ვინაიდან საქმე ექვემდებარებოდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან თუ კერძო პირთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს არ ქმნის მხოლოდ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, მოცემულ შემთხვევაში ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადმინისტრაციული ორგანოა. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, უკეთუ აღნიშნული მისი შეხედულებით უფრო მისაღებია და არ ეწინააღმდეგება საჯარო სამართლებრივ ნორმებს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის კერძო-სამართლებრივი ფორმები და შესაბამისად დადოს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით (სასკ-ის 25¹ მუხ, სზაკ-ის 65.2, 65¹ მუხ.). საჯაროსამართლებრივი და კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვეკლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების მიღება. ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა იკისრა ვალდებულება შეესრულებინა უძრავი ნივთის სარემონტო სამუშაოები სათანადო საფასურის გადახდის სანაცვლოდ. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით. ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებისაგან გამიჯვნისათვის, ხელშეკრულების მიზნის და საგნის ანალიზის გარდა, მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ხელშეკრულების დადების შედეგად ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან ქმედების (რეალაქტის) განხორციელების მოვალეობის წარმოქმნას, ხელშეკრულების დადების შედეგად მხარის საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით აღჭურვას. მოცემულ შემთხვევაში ასეთს ადგილი არ აქვს, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოს დაეკისრა შესრულებულ სამუშაოთა მიღების და თანხის გადახდის ვალდებულება, ამდენად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ წარმოქმნის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას. დავის საგანს მოცემულ შემთხვევაში შეადგენს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო პირგასამტეხლოს დაკისრება და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების მიღება. მოსარჩელე – ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო მოთხოვნას საფუძველად უთითებს სამოქალაქო კოდექსის 417-ე (პირგასამტეხლოს ცნება), 418-ე (პირგასამტეხლოს განსაზღვრის ფორმა), 317-ე (ვალდებულების წარმოშობის საფუძველები), 361-ე (ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია) მუხლებს, ხოლო მოსარჩელე შპს „...“ სასარჩელო მოთხოვნა ეფუძნება სამოქალაქო კოდექსის 317-ე (ვალდებულების წარმოშობის საფუძ-

ვლები), 361-ე (ვალდებულების არსებობის პრეზუმფცია), 427-ე (ვალდებულების შეწყვეტა კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებით) და 429-ე (ვალდებულების შესრულების მიღება) მუხლებს. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3 მუხლი). მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა უკავშირდება ხელშეკრულებას, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას განეკუთვნება, შესაბამისად მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე სზაკ-ის 25¹ მუხლის, 65.2, 65¹ მუხლების საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას განეკუთვნება.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელის შპს „...“ წარმომადგენელი პ. ა-ე, დავის პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვისას აყენებდა განსჯადობის საკითხს, რაზედაც სასამართლომ არ მოახდინა სათანადო რეაგირება. 15.03.126. განჩინებით სასამართლომ, სასკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და სზაკ-ის 65-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე მითითებით, მიიჩნია, რომ საკრებულოს და შპს „...“ შორის დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რადგან მხარეებს შორის 01.09.116. №122 ნასყიდობის ხელშეკრულება საჯარო ხელისუფლების ჯეროვანი განხორციელების მიზნით არის დადებული და ემსახურება ადმინისტრაციული სამართლის ნორმების შესრულებას. აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა შპს „...“ სარჩელის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის შესახებ, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის განხილვა უნდა წარიმართოს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. საქმის განსჯადობის წესის დარღვევით განხილვაზე შპს „...“ ყურადღებას ამახვილებდა აგრეთვე სააპელაციო საჩივარშიც. აპელანტის ერთ-ერთ მოთხოვნას შეადგენდა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის განსჯადობის წესის დაცვით განხილვა, თუმცა დავის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას კასატორმა აღარ განაგრძო დავა განსჯადობის შესახებ. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ აპელანტის მიერ სააპელაციო საჩივრის განხილვის პროცესში განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით დავის წარმოებაზე უარის თქმა, არ ათავისუფლებდა სააპელაციო სასამართლოს განსჯადობის დაცვით საქმის განხილვისგან, განსჯადობის საკითხის თავისი ინიციატივით შემოწმებისგან, ვინაიდან განსჯადობის საკითხი არ არის დამოკიდებული მხარეთა მოსაზრებებზე. სასკ-ის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. აღნიშნულს არ ცვლის სსკ-ის 21-ე, 377.5 მუხლები, დაუშვებელია არაგანსჯადი სასამართლოს განსჯადად მიჩნევა მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე, რადგან განსჯადობის დადგენილი წესები საჯარო სფეროში უფლების დაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტიას წარმოადგენს. კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება საქმე. ამდენად, სასამართლოს, რომელსაც არ გააჩნია საქმის განხილვის იურისდიქცია, არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა განაცხადოს ამის შესახებ, მაშინაც კი, როდესაც განსჯადობის საკითხს არც ერთი მხარე არ აყენებს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო საქმეს არსებითი განხილვისათვის გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს. ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესი, რომლის თანახმად სასამართლო ვალდებულია სარჩელი გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს და დასაშვებია სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხზე დავა, განსჯადობის საკითხის სირთულის გათვალისწინებით, შესაძლებლობას აძლევს სასამართლოს მხარისგან დამოუკიდებლად დააყენოს განსჯადობის საკითხი სადავო სამართალურთიერთობის კვლევის შემდგომ ეტაპებზე, მათ შორის შემდგომ ინსტანციებში განხილვის პროცესშიც. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში განსჯადობის საკითხს ენიჭება არა დისპოზიციური, არამედ იმპერატიული ხასიათი, განსჯადობა განიხილება საჯარო წესრიგის (ორდრე პუბლიც) შემადგენელ ნაწილად. სასამართლოს განსჯადობაზე მხარეებს შორის შეთანხმება (პროროგაცია) ან რომელიმე სასამართლო იურისდიქციის გამორიცხვა (დეროგაცია) ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ წარმოადგენს განსჯადობის იმპერატიული წესის დარღვევის აღმომფხვრელ გარემოებას.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ზემოაღნიშნული პრინციპის დაცვას და თვლის, რომ განსჯადობის აღრევა იწვევს საქმის განხილვას განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესით, რაც, თავის მხრივ, ასახვას ჰპოვებს მხარეთა უფლებებზე. ამასთანავე, საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით საქმის განხილვა თავისთავად, უკვე თვით განსჯადობის წესის დარღვევით გადაწყვეტილების გამოტანის ფაქტის გამო, ადასტურებს საქმის უხეში საპროცესო დარღვევით განხილვას და შედეგად იწვევს სამართალწარმოების წესების დარღვევით დავის გადაწყვეტას. სასკ-ის 26-ე მუხლის იმპერატიული დანაწესის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე განხილვისათვის გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 და 26.2 მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „...“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 31.10.12წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს განსჯად სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
3. მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების გადანაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

№ბს-486-482 (გ-11)

28 სექტემბერი, 2011 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა განსჯადობის შესახებ დავა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა-სა და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

29.11.10 წ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მიმართა შპს „...“, მოპასუხის – სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიმართ, რომლითაც „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 12.10.10 წ. №1146 გადაწყვეტილების გაუქმება და სს „...“ სახელზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის – „...“ ბათილად ცნობა მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 15.05.08 წ. შპს „...“ განცხადებით მიმართა „საქპატენტს“ და მოითხოვა წარდგენილი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია. 04.05.09 წ. №146805 გადაწყვეტილებით შპს „...“ ეთქვა უარი სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, ვინაიდან სარეგისტრაციოდ წარდგენილი ნიშანი მსგავსი იყო სს „...“ სასაქონლო ნიშნებისა „...“ და „...“, რომლებიც რეგისტრირებულია საქპატენტში მე-6 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვალისათვის.

„საქპატენტის“ გადაწყვეტილება გასაჩივრდა „საქპატენტის“ სააპელაციო პალატაში, რომლის 12.10.10წ. №1146 გადაწყვეტილებით შპს „...“ მთლიანად ეთქვა უარი სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე და ძალაში იქნა დატოვებული ექსპერტიზის 04.05.09წ. №146805 უარყოფითი გადაწყვეტილება. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ შპს „...“ საქართველოში დარეგისტრირდა 2006 წელს, ხოლო 18.05.08 წ. უკვე წარადგინა განაცხადი სასაქონლო ნიშნის დარეგისტრირების შესახებ. „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 2.4 მუხლის თანახმად, საქართველოში საყოველთაოდ ცნობილი სასაქონლო ნიშნები დაცულია რეგისტრაციის გარეშე პარიზის კონვენციის მე-6 ბის მუხლის შესაბამისად. „საქპატენტის“ მიერ სს „...“ სახელზე 2008 წელს სადავო სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციისას, შპს „...“ უკვე წარმოადგენდა საყოველთაოდ ცნობილ სანარმოს საქართველოში და „საქპატენტი“ ვალდებული იყო მოეძია შესაბამისი ინფორმაცია და ეს გარემოება გაეთვალისწინებინა სარეგისტრაციო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელემ მოითხოვა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 28-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სს „...“ სახელზე სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობა.

12.01.11 და 09.02.2011წ. სასამართლო სხდომებზე მოსარჩელემ დააზუსტა მოთხოვნა, კერძოდ „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ 12.10.10 წ. №1146 გადაწყვეტილების, „საქპატენტის“ სახელმწიფო ექსპერტიზის“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე 04.05.09 წ. №146805 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა. მოსარჩელემ მოითხოვა აგრეთვე „საქპატენტის“ სახელმწიფო ექსპერტიზის 16.07.08 წ. №113630 და №113627 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, რომლითაც სს „...“ დაურეგისტრირდა სასაქონლო ნიშანი „...“ და „...“. ამავე სხდომაზე საქმეში მესამე პირად ჩაერთო სს „...“.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.02.11 წ. საოქმო განჩინებით შპს „...“ სასარჩელო მოთხოვნა „საქპატენტის“ სახელმწიფო ექსპერტიზის 16.07.08 წ. №113630 და №113627 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის ნაწილში გამოიყო ცალკე წარმოებად და განსჯადობით გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. ადმინისტრაციულმა კოლეგიამ მიიჩნია, რომ აღნიშნულ მოთხოვნას არ გააჩნდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მეორე მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის, ვინაიდან ამისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დავის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს. სარჩელის სა-

ფუძვლიდან გამომდინარე, განსახილველი ურთიერთობა მიეკუთვნებოდა ინტელექტუალური საკუთრების ურთიერთობიდან გამომდინარე დავას, რაც განხილული და გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 25.02.11 წ. განჩინებით შპს „...“ სარჩელი მოპასუხე „საქპატენტი“-ს და მესამე პირის სს „...“ მიმართ „საქპატენტის“ სახელმწიფო ექსპერტიზის 16.07.08 წ. №113630 და №113627 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობაზე დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოქალაქო კოლეგიამ აღნიშნა, რომ დავის საგანია „საქპატენტის“ სახელმწიფო ექსპერტიზის 16.07.08 წ. №113630 და №113627 გადაწყვეტილებები, რომლებითაც სს „...“ დაურეგისტრირდა სასაქონლო ნიშანი „...“ და „...“. „საქართველოს საპატენტო კანონის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში მოქმედი დამოუკიდებელი ორგანოა. ამავ კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქპატენტი ატარებს განაცხადის საპატენტო ექსპერტიზას, რომლის საფუძველზედაც იღებს გადაწყვეტილებას პატენტის გაცემის შესახებ. მოცემულ დავაში მოპასუხეს წარმოადგენს სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ – ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც სახელმწიფო ექსპერტიზის გადაწყვეტილებების გამოცემისას ახორციელებდა საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. ამდენად, სარჩელი მათი ბათილად ცნობის შესახებ განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლო შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ შპს „...“ სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად დავას წარმოადგენს, შესაბამისად, საქმე საგნობრივი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ კოლეგიას და განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ დაზუსტებული სასარჩელო მოთხოვნით სადავოდ გახადა საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის“ სახელმწიფო ექსპერტიზის 04.05.09 წ. №146805 უარყოფითი გადაწყვეტილება, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის 12.10.10 წ. №1146 გადაწყვეტილება კომპანია „...“ სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, აგრეთვე „საქპატენტის“ 07.16.08 წ. №113627 და 07.16.08 წ. №113630 გადაწყვეტილებები, რომლითაც სხვა განმცხადებლის სახელზე რეგისტრაციაში გატარდა სასაქონლო ნიშანი „...“ და „...“. ხსენებული გადაწყვეტილებებიდან დავას არ იწვევს ექსპერტიზის 04.05.09 წ. №146805 და „საქპატენტის“ 12.10.10 წ. №1146 გადაწყვეტილებების განსჯადობა, აღნიშნულ აქტებთან დაკავშირებული დავა საქალაქო სასამართლოს კოლეგიის მიერ ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით განხილვას დაექვემდებარა, სადავოა „საქპატენტის“ სახელმწიფო ექსპერტიზის 07.16.08 წ. №113627 და 07.16.08 წ. №113630 გადაწყვეტილებების საგნობრივი განსჯადობის საკითხი, ხსენებული გადაწყვეტილებები თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.02.11 წ. საოქმო განჩინებით გამოეყო ცალკე წარმოებად და განსჯადობით დაექვემდებარა სამოქალაქო პალატას, უკანასკნელმა სადავოდ გახადა მისთვის განსჯადობით საქმის ამ ნაწილში განსახილველად გადაცემა და სასამართლოებს შორის დავის გადასაწყვეტად სასკ-ის 26.3 მუხლის საფუძველზე მიმართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასაქონლო ნიშანი არის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთან დაკავშირებით დავები ძირითადად ეხება ობიექტზე უფლების მოპოვებას ან უფლებათა დარღვევას. ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე უფლებათა დარღვევის შესახებ დავის განხილვის დროს მოპასუხე მხარე ეჭვქვეშ აყენებს უფლებათა მოპოვების მართებულობას, მოცემულ შემთხვევაში სავაჭრო ნიშნის რეგისტრაციის კანონიერებას. ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული დავებისათვის დამახასიათებელია პროცესუალური ორგანოვნება, ინტელექტუალური საკუთრებითი ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავა ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მიმართულებისაა, ერთ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს („საქპატენტის“) მიმართ გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის შესახებ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივია და შესაბამისად დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული, ხოლო მეორე მხრივ მესამე პირის მიერ ინტელექტუალური საკუთრების ობიექტზე უფლების დაცვის მოთხოვნა სამოქალაქო-სამართლებრივია. პროცედურა, რომელსაც ატარებს „საქპატენტი“ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარებას, ექსპერტიზა ორ ეტაპად იყოფა, პირველ ეტაპზე მოწმდება ფორმალური მოთხოვნების შესრულება (საგანაცხადო მასალის სისრულის შემოწმება, საფასურის გადახდა, წარმომადგენლობის საბუთის არსებობა და სხვ.), მეორე ეტაპზე ტარდება არსობრივი ექსპერტიზა – მოწმდება სასაქონლო ნიშნის შესაბამისობა კანონით დადგენილ კრიტერიუმებთან, მოწმდება ნიშნის სიახლე, კანონმდებლობა ითვალისწინებს ორივე ეტაპის გასაჩივრების შესაძლებლობას. „საქპატენტის“

მიერ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციამდე წარმოშობილი დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი იქნება. ადმინისტრაციულ-სამართლებრივია აგრეთვე დავა იმ შემთხვევაში უკეთეს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შესახებ დავა აღიძვრება განაცხადის მონაცემის ბიულეტენში გამოქვეყნებიდან სამი თვის განმავლობაში, ასეთ შემთხვევაში პრეტენზია თავდაპირველად განიხილება „საქპატენტში“, მისი სპეციალური ორგანოს – სააპელაციო პალატის მიერ. საქართველოს მთავრობის 03.07.106. დადგენილებით დამტკიცებული „საქპატენტის“ დებულების მიხედვით საქპატენტის ძირითადი ფუნქციაა ინტელექტუალური საკუთრების ობიექტთან დაკავშირებით განმცხადებლისა და მესამე პირების სააპელაციო საჩივრის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება „საქპატენტთან“ არსებულ სააპელაციო პალატაში, რომლის გადაწყვეტილება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 16.6 მუხლის თანახმად შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. საგულისხმოა, რომ საქპატენტო კანონის 40³ მუხლის მე-6 პუნქტი პირდაპირ უთითებს, რომ „საქპატენტის“ სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილ ვადაში, რაც ცალსახად ადასტურებს ამ კატეგორიის დავების ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას. რეგისტრაციის და „საქპატენტის“ მიერ სასაქონლო ნიშანზე მონმოების გაცემის შემდეგ რეგისტრაციასთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილი პროცედურები დასრულებულად ითვლება, საჯარო რეესტრში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის რეგისტრაცია ადასტურებს პირის საკუთრებაში ობიექტის ყოფნას, რეგისტრაციით დაცულ სასაქონლო ნიშანზე მფლობელის განსაკუთრებული უფლების წარმოშობას ამ ნიშნის რეგისტრაციის დღიდან, რეგისტრაციიდან სასაქონლო ნიშანი სამრეწველო საკუთრებას წარმოადგენს და როგორც საკუთრების ობიექტი სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილეობს, ასეთ შემთხვევაში დავა სასაქონლო ნიშანთან დაკავშირებით (კერძოდ, კანონის 45-ე მუხლით გათვალისწინებულ სხვა პირის მიერ ნიშნის გამოყენების აკრძალვა, გადაცემა, სალიცენზიო ხელშეკრულების შესრულება, სასაქონლო ნიშანზე განსაკუთრებული უფლების დარღვევის შეწყვეტა, მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ყველა იმ გამოსახულების, ეტიკეტის, ანაბეჭდის, შეფუთვის, შესაფუთი მასალის და სარეკლამო განცხადების განადგურება, რომელიც შეიცავს რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს, მის ასლს ან იმიტაციას, აგრეთვე სასაქონლო ნიშნის დასამზადებლად განკუთვნილი კლიშეების, მატრიცების, ხოლო თუ სასაქონლო ნიშნის საქონლისაგან განცალკევება შეუძლებელია, თვით ამ საქონლის განადგურება) არ განეკუთვნება ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული, ვინაიდან დავა ეხება საკუთრებაში მყოფ ობიექტს, დავა არ ეხება ადმინისტრაციული აქტის გაუქმებას, რეალაქტის განხორციელებას, ადმინისტრირებას. ამასთანავე, უკეთეს სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის შემდეგ დავა ეხება ადმინისტრაციული ორგანოს – „საქპატენტის“ უფლებამოსილებებს, კერძოდ, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ვადის გაგრძელებას (მე-20 მუხ.), რეგისტრაციაში ცვლილების შეტანას, „საქპატენტის“ მიერ რეგისტრაციის გაუქმებას (27-ე მუხ.), სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის ბათილად ცნობას (28-ე მუხ.), ანუ საბოლოო ჯამში ადმინისტრაციული ორგანოს – სსიპ ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მიერ გამოცემულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტს, ასეთი დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს სადავო სამართალურთიერთობაში მოპასუხედ დასახელებული ჰყავს „საქპატენტი“ და არა ის პირი, რომლის სახელზეც არის რეგისტრირებული საჯარო ნიშანი, „საქპატენტი“ სსკ-ის 85-ე მუხლის საფუძველზე არ ყოფილა სასამართლოს მიერ დავის ამ ნაწილში ცნობილი არასათანადო მოპასუხედ, ამასთანავე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის კანონით განსაზღვრულ ვადაში დასმის საკითხი არ ცვლის დავის საგნობრივ განსჯადობას, მითუფრო, რომ მოსარჩელე მოთხოვნას სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე ამყარებს სადავო ნიშნის საერთაშორისო რეგისტრაციაზე მითითებით, რაც ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ საერთაშორისო აქტებით („ნიშნების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ“ მადრიდის შეთანხმება, „სამრეწველო საკუთრების დაცვის შესახებ“ პარიზის კონვენცია) გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის შემთხვევაში, ინვესტ საერთაშორისო რეგისტრაციის მომენტიდან ტერიტორიულ დაცვას და საერთაშორისო რეგისტრაციის პრიორიტეტული უფლებით სარგებლობას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე ითხოვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციების ბათილად ცნობას, მისი მოთხოვნა არ ეხება „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ კანონის 45-ე მუხლით გათვალისწინებულ საკითხებს, რომელთა განხილვა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით მიმდინარეობს. ვინაიდან მოსარჩელე ასაჩივრებს ადმინისტრაციულ ორგანოს („საქპატენტის“) ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს (07.16.085. №113627; 07.16.085. №113630) და ითხოვს მათ ბათილად ცნობას, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ სარჩელზე უფლება არის დისპოზიციური, სახელდობრ მოსარჩელე განსაზღვრავს დავის საგანს და ასახელებს მოპასუხეს, ამასთანავე ამ აქტების ბათილად ცნობის საკითხი, რომელთა საგნობრივი განსჯადობა სადავოდ არის გამხდარი, უკავშირდება იმ აქტების (04.05.096. №146805, 12.10.106. №1146) ბათილად ცნობას, რომელთა შესახებ დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით იხილება, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დავის განსახილველი ნაწილი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2, 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „...“ სარჩელი მოპასუხე „საქპატენტი“-სა და მესამე პირის სს „...“-ს მიმართ „საქპატენტი“-ს სახელმწიფო ექსპერტიზის 16.07.08 წ. №113630 და №113627 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

№ბს-824-808 (გ-12)

4 აპრილი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა ლ. ჩ-ის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ჩ-მა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას იურიდიული მნიშვნელობის მქონე – უფლების დამდგენი საბუთის კუთვნილების ფაქტის დადგენის თაობაზე. საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვის დროს საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა თბილისის მერია, რომლის წარმომადგენელიც არ დაეთანხმა განმცხადებლის მოთხოვნას და აღნიშნა, რომ მინის ნაკვეთი, რომელიც მითითებულია 05.03.93წ. მიღება-ჩაბარების აქტში და რომლის კუთვნილების ფაქტის დადგენასაც ითხოვს განმცხადებელი, დღეის მდგომარეობით თვითმმართველობას აქვს დარეგისტრირებული საკუთრებაში და აღნიშნულ მინის ნაკვეთთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მიმდინარეობს დავა თბილისის მერიასა და განმცხადებელს შორის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 28.03.12წ. დადგენილებით ლ. ჩ-ის განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე – უფლების დამდგენი საბუთის კუთვნილების ფაქტის დადგენის თაობაზე დარჩა განუხილველი. მაგისტრმა მოსამართლემ მიიჩნია, რომ მის მიერ განსახილველ საქმეში დაინტერესებული პირი არ არის თანახმა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის, კერძოდ 05.03.93წ. მიღება-ჩაბარების აქტის ლ. ჩ-ისადმი კუთვნილების დადგენაზე. ვინაიდან დაინტერესებულმა პირმა აღძრა დავა უდავო წარმოებით საქმის განხილვისას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 311-ე მუხლის საფუძველზე, განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე – უფლების დამდგენი საბუთის კუთვნილების ფაქტის დადგენის თაობაზე დარჩა განუხილველად. ამასთანავე, განმცხადებელს განემარტა, რომ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს კვლავ მიმართოს სასამართლოს საერთო წესების დაცვით, სასარჩელო განცხადებით.

მოსარჩელე ლ. ჩ-მა 22.06.12 წ. დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, სადაც მოპასუხედ – ქ. თბილისის მერიასთან ერთად მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა დაასახელა და 05.03.93 წ. ლ. ჩ-ის სახელზე გაცემული №134 მიღება-ჩაბარების აქტის, როგორც უფლების დამდგენი დოკუმენტის, ლ. ჩ-ის კუთვნილ დოკუმენტად აღიარება მოითხოვა.

სარჩელში აღნიშნულია, რომ ლ. ჩ-ი სოფელ ... საკუთრების უფლებით ფლობს 1500 კვ.მ. მიწის ფართობს, რომელიც საკუთრებაში გადაეცა 05.03.93 წ. მიწების რეფორმის მსვლელობისას გაცემული №134 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე და რომელიც ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 11.05.11 წ. №06-8/5107 მიმართვის საფუძველზე 19.05.11 წ. დარეგისტრირდა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში.

ლ. ჩ-მა 13.01.12 წ. განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს და მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაზუსტებული მონაცემებით დარეგისტრირება მოითხოვა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 18.01.12 წ. №882012015678-03 გადაწყვეტილებით, შეჩერდა სარეგისტრაციო წარმოება, შეჩერების საფუძველად მიეთითა ის გარემოება, რომ: 1) წარმოდგენილი და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის არსებობს ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება; 2) მიწის ნაკ-

ვეთზე უფლების დამდგენი დოკუმენტი, მიღება-ჩაბარების აქტი, გაცემულია ლ. ჩ-ის სახელზე, ხოლო პირადობის მონმობის მიხედვით, მოსარჩელე არის ლ. ჩ-ი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 20.08.12 წ. განჩინებით საქმე განსახილველად განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით ადმინისტრაციული წესით სასამართლოში დავა განიხილება იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ხოლო ამავე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი. მოცემულ შემთხვევაში ლ. ჩ-ი სასარჩელო მოთხოვნას აფუძნებს იმ გარემოებაზე, რომ მიღება-ჩაბარების აქტში სახელის ნაცვლად ინიციალის მითითებით, ირღვევა მისი, როგორც მესაკუთრის უფლებები, რის გამოც ვერ ხერხდება დაზუსტებული მონაცემებით საჯარო რეესტრში მინის ნაკვეთის დარეგისტრირება. სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინის რეესტრისა და მინის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტი შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 20.01.92წ. №50 დადგენილებით, „საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინის რეფორმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992.01.18, №48 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მიწათსარგებლობისა და მიწათმონყობის მთავარი სამმართველოს ბაზაზე. მოცემულ შემთხვევაში მიღება-ჩაბარების 05.03.93 წ. აქტი, რომლის უფლების დამდგენ დოკუმენტად აღიარებასაც ითხოვს მოსარჩელე, წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით შექმნილი მინის რეფორმის კომისიის მიერ გამოცემულ აქტს, რომლითაც პირს გადაეცა 0.13 ჰა მინის ნაკვეთი. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ დავის საგანი – მიღება-ჩაბარების აქტის, როგორც უფლების დამდგენი დოკუმენტის, ლ. ჩ-ის კუთვნილ დოკუმენტად აღიარება არ გამომდინარეობს სამოქალაქო კანონმდებლობიდან, ვინაიდან ადმინისტრაციულ ორგანოთა გადაწყვეტილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით შემომწმებას ექვემდებარება მხოლოდ მატერიალური თვალსაზრისით კერძო სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რადგან აღნიშნული აქტი არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო მასში რაიმე ცვლილების შეტანა ან იმის განსაზღვრა, რომ მასში მითითებული „ლ. ჩ-ი“, ნამდვილად არის მოსარჩელე „ლ. ჩ-ი“, შეადგენს ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას და არა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უფლებსა თუ სამართლებრივი ურთიერთობების არსებობა-არარსებობის დადგენასა და დოკუმენტების ნამდვილობის აღიარებას სასამართლოს მიერ. ჩსამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ასევე მიუთითა, რომ მოცემულ აღიარებით სარჩელზე მოპასუხეებს წარმოადგენენ – ქ. თბილისის მერია და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, რაც განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლოს აზრით, დამატებით უნდა იქნეს გათვალისწინებული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას, კოლეგიის 31.10.12 წ. განჩინებით საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ მიუთითა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპების გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის თანახმად, აღიარებითი სარჩელი წარმოადგენს სარჩელის ერთ-ერთ სახეს, რომლითაც დგინდება უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის ფაქტი და უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა, სამართლებრივ ურთიერთობაში მოიაზრება საჯარო სამართლის ნორმიდან გამომდინარე კონკრეტული შინაარსის ურთიერთობა როგორც კონკრეტული პირისა სხვა პირთან, ასევე კონკრეტული საგნის მიმართ. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში უფლების დამდგენი დოკუმენტი, მიღება-ჩაბარების აქტი სახეზეა და მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენს უფლების დამდგენი დოკუმენტის მისდამი კუთვნილების დადგენა და არ არის სადავო უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის ფაქტი, რაც თავის მხრივ, სცილდება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრული აღიარებითი სარჩელის მიზანს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ ლ. ჩ-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადობა შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით საგნობრივი განსჯადობის საკითხის გარკვევისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სამართალურთიერთობის შინაარსს, დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობას. საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. უკეთეს ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმა მოცულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით ან სხვა საჯარო სამართლის წყაროთი, დავა ადმინისტრაციულ კატეგორიას განეკუთვნება. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის ინტერესს შეადგენს ლ. ჩ-ის სახელზე გაცემული №134 მიღება-ჩაბარების აქტის, როგორც უფლების დამდგენი დოკუმენტის, მოსარჩელის კუთვნილ დოკუმენტად აღიარება, რის საფუძველზეც მას სურს 05.03.93წ. მიწის რეფორმის გატარების შედეგად გადაცემული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში დაზუსტებული მონაცემებით თავის სახელზე დარეგისტრირება. ლ. ჩ-ის ინტერესის დაკმაყოფილება შესაძლებელი იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, უდავო წარმოების წესით. ხსენებული წესით საქმის განხილვისას საქმეში დაინტერესებულ პირად ჩაბმული მერია არ დაეთანხმა რა ლ. ჩ-ის მოთხოვნას, ლ. ჩ-ის განცხადება დარჩა განუხილველი და მხარეებს განემარტათ, რომ მათ ჰქონდათ სარჩელის საერთო საფუძველზე წარდგენის შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ უდავო წარმოების წესით განცხადების განსჯადობა შესაძლოა არ დაემთხვეს სარჩელის განსჯადობას, ამდენად მოცემულ შემთხვევაში სარჩელის აღძვრამდე განცხადების სამოქალაქო სამართალწარმოების წესით სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ განხილვა არ გამორიცხავს დავის წარმოქმნის შედეგად აღძრული სარჩელის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის შესაძლებლობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უფლების დამდგენი დოკუმენტი – მიღება-ჩაბარების აქტი თავისი ბუნებით არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება და შეწყვეტა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული ხელშეკრულება. ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული, თუ ის ადმინისტრაციული ნორმების შესრულებას ემსახურება, მისი დადების შედეგად ადმინისტრაციული ორგანოს წარმოემოხა ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან რეალაქტის განხორციელების ვალდებულება. მინისტრთა კაბინეტის 28.06.1993წ. №503 დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი არის მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო აქტის გაცემის ძირითადი საფუძველი. ამდენად, სახეზეა ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ხელშეკრულების სავალდებულო ნიშანს, ხელშეკრულების საჯარო-სამართლებრივი მიზნის გარდა, შეადგენს აგრეთვე ხელშემკვრელი მხარის სტატუსი. განსახილველი სამართალურთიერთობის მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის მომწესრიგებელი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით შეადგენდა მიღება-ჩაბარების აქტებს.

მოცემულ შემთხვევაში სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ამ კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან, სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო. ამდენად სახეზეა დავის ადმინისტრაციული წესებით განხილვის ყველა პირობა. უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა შეადგენს ადმინისტრაციული პროცესით (სასკ-ის 25-ე მუხ.) გათვალისწინებული აღიარებითი სარჩელის სახეობას. ამასთანავე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესებით განიხილება აგრეთვე ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები (სასკ-ის 25¹.2 მუხ.).

სასარჩელო განცხადებით მოსარჩელე ითხოვს არა მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის მის კუთვნილ დოკუმენტად აღიარებას, არამედ აგრეთვე მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უძრავი ქონების საჯარო რეესტრში დაზუსტებული მონაცემებით დარეგისტრირებას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 11.05.11წ. №06-8/5107 მიმართვის საფუძველზე ნაკვეთი 19.05.11წ. დარეგისტრირდა ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში. უძრავი ქონების დაზუსტებული მონაცემებით დარეგისტრირების მოთხოვნაზე სარეგისტრაციო წარმოება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 18.01.12წ. გადანყვეტილებით შეჩერდა, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებას საფუძველად დაედო წარმოდგენილი და საჯარო რეესტრში რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდების არსებობა და მიღება-ჩაბარების აქტის ლ. ჩ-ის სახელზე გაცემის დამადასტურებელი სასამართლო აქ-

ტის წარმოდგენის საჭიროება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უძრავი ქონების საჯარო რეესტრში დაზუსტებული მონაცემებით დარეგისტრირების, ფართების გადაფარვის გამო ფართზე ახალი რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნა ასევე ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიათა რიგს განეკუთვნება, ვინაიდან სხვადასხვა დროს მოქმედი უძრავი ქონების რეგისტრაციის მომწესრიგებელი კანონმდებლობა („საჯარო რეესტრის შესახებ“ 19.12.2008წ. კანონი, „უძრავ ნივთებზე უფლებათა რეგისტრაციის შესახებ“ 28.12.06წ. კანონი, „მინის რეგისტრაციის შესახებ“ 14.11.96წ. კანონი) ადმინისტრაციული კანონმდებლობის შემადგენელი ნაწილია, ხოლო ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან წარმოშობილი დავა, სასკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული დავის საგანს ქმნის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმე უნდა განხილულ იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და შესაბამისად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით, 390-ე მუხლით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა ღ გ ი ნ ა:

1. ლ. ჩ-ის სარჩელი ქ. თბილისის მერიისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

ბ ა ნ წ ი ნ ე ბ ა

№ბს-845-829(გ-12)

25 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ნკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატასა და სამოქალაქო პალატას შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების: ქ. მ-ის, ც. ჩ-ასა და ი. ა-ის მიმართ და მოითხოვა მოპასუხეებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, თითოეულს – 2156,22 ლარის გადახდის დაკისრება.

საქმის გარემოებები:

1998 წლის 25 დეკემბერს მოქალაქე გ. კ-ას, როგორც პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლს დაენიშნა სახელმწიფო პენსია – 43 ლარი. პენსიის დანიშვნის საფუძველი გახდა ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1998 წლის 21 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომლითაც გ. კ-ას დედა – ა. მ. ასული ა-ი-კ-ი აღიარებულ იქნა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად. მოსარჩელის განმარტებით, გ. კ-ა პენსიის დანიშვნის მომენტში სასამართლოს მიერ არ იყო აღიარებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად, შესაბამისად, მას არ ჰქონდა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირის პენსიის მიღების უფლება.

ფაქტობრივი გარემოებები:

სოციალური უზრუნველყოფის მთაწმინდა-კრწანისის განყოფილების სპეციალისტებს ც. ჩ-ას, ი. ა-ისა და ქ. მ-ეს ის გარემოება, რომ გ. კ-ა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად არ იყო აღიარებული პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად დარჩათ უყურადღებოდ, რამაც გამოიწვია სახელმწიფო პენსიის უსაფუძვლოდ დანიშვნა და გაცემა. 1998 წლის 25 დეკემბრიდან 2009 წლის 1 ოქტომბრამდე უსაფუძვლოდ გ. კ-ასათვის დარიცხულმა პენსიამ შეადგინა – 6468,66 ლარი. 2009 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გ. კ-ას შეუჩერდა პენსია.

ქ. მ-ე, ც. ჩ-ა და ი. ა-ი წერილობითი ფორმით გაფრთხილდნენ აღნიშნული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ აღდგენის სავალდებულობაში, თუმცა მათი მხრიდან წერილზე რეაგირება არ მომხდარა.

სამართლებრივი საფუძველი:

„საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ 1997 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-3 და მე-6 მუხლები.

მოპასუხებმა შესაგებლებით სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს, რომ გ. კ-ამ 1998 წლის 25 დეკემბერს სოციალური უზრუნველყოფის კრწანისის რაიონულ განყოფილებაში განცხადებასთან ერთად წარადგინა 1998 წლის 21 დეკემბრის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დედა – ა. მ. ასული ა-ი, მიჩნეულ იქნა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად და რეაბილიტირებულ პირად და მასვე დაუნესდა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ 1997 წლის 11 დეკემბრის საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები და შეღავათები. გ. კ-ამ ასევე წარმოადგინა დაბადების მოწმობა, საიდანაც დადგინდა, რომ დაბადებული იყო გადასახლების ადგილას ... წლის 17 იანვარს. ზემოაღნიშნული კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, „პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის მეუღლე, შვილი, (ნაშვილები), მშობელი და პირდაპირი ხაზის ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილას“. მოპასუხეების განმარტებით, გ. კ-ას მიერ წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდებოდა, რომ იგი იყო რეპრესირებულად აღიარებული პირის შვილი და ამასთანავე, თავადაც დაბადებული იყო თავისუფლების აღკვეთის ადგილას, ამდენად, პენსიის დანიშვნის დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით და არსებული პრაქტიკით გ. კ-ას სწორად დაენიშნა პენსია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეებს ქ. მ-ეს, ც. ჩ-ასა და ი. ა-ს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, თითოეულს დაეკისრათ 2156,22 (ჯამურად – 6468,66) ლარის ანაზღაურება.

„საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, „პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად მიიჩნევა: ა) პირი, რომელმაც უშუალოდ განიცადა პოლიტიკური რეპრესია; ბ) პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის მეუღლე, შვილი (ნაშვილები), მშობელი და პირდაპირი ხაზის სხვა ნათესავი, რომელიც მასთან ერთად იმყოფებოდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, გადასახლებაში, გასახლებაში, სპეციალური დასახლების ადგილას, მაგრამ სასამართლოს შეფასებით, მართოდენ ამ გარემოებების (პირის პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების საფუძველების) არსებობა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ პირი ჩაითვალოს პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად; ზემოთ აღნიშნული კანონით განსაზღვრული სპეციალური სტატუსი – პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლის სტატუსი პირს ენიჭება მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს მიერ, სასამართლოში საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის გზით. შესაბამისად, არასწორია მოპასუხეების მოსაზრება, რომ გ. კ-ა მასთან დაკავშირებული მთელი რიგი ფაქტების გამო წარმოადგენდა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლს, ვინაიდან არც პენსიის დანიშვნის მომენტში და არც შემდგომ გ. კ-ა არ ყოფილა ასეთად აღიარებული სასამართლოს მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით.

სასამართლოს დასკვნით, გ. კ-ას „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 12.3 მუხლით გათვალისწინებული პენსია, რომ დანიშნოდა იგი ან თავად უნდა ყოფილიყო სასამართლოს გადაწყვეტილებით პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირი, ან იგი, როგორც პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირის (დედის) პირველი რიგის მემკვიდრე, იმავდროულად უნდა ყოფილიყო ან შრომისუუნარო ან საპენსიო ასაკს მიღწეული პირი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით დადგენილია, რომ პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. აღნიშნული მუხლიდან გამომდინარე, დელიქტით გამოწვეული ზიანი მხოლოდ მაშინ ანაზღაურდება, თუ: 1. პირი მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ; 2. პირის მოქმედება იყო განზრახ ან გაუფრთხილებელი; 3. უშუალოდ ამ მართლსაწინააღმდეგო, განზრახმა ან გაუფრთხილებელმა მოქმედებამ ზიანი მიაყენა სხვა პირს. კერძოდ, შელახა პირის ქონებრივი ან/და არაქონებრივი უფლებები ან/და კანონით დაცული ინტერესები; დელიქტით გამოწვეული ზიანის ასანაზღაურებლად აუცილებელია სამივე პირობის არსებობა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა ზემოთ მითითებული სამივე პირობის ერთობლიობა; კერძოდ, მოპასუხეების – ქ. მ-ის, ც. ჩ-ასა და ი. ა-ის, როგორც კომისიის წევრების, ერთობლივი გადაწყვეტილება-გ. კ-ასათვის პენსიის დანიშვნის თაობაზე წარმოადგენდა უკანონო გადაწყვეტილებას, კერძოდ, ეწინააღმდეგებოდა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 12.3 მუხლს, ანუ მოპასუხეებმა განახორციელეს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, ასევე მოპასუხეები მოქმედებდნენ ბრალეულად, მათთვის მათზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობებისა და ფუნქციების გათვალისწინებით, კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შინაარსი და თანდართული დოკუმენტების საფუძველზე უნდა მიეღოთ კანონშესაბამისი გადაწყვეტილება. რაც შეეხება მიზეზობრივ კავშირს დამდგარ ზიანსა და მოპასუხეების მართლსაწინააღმდეგო ქმედებას შორის, სასამართლოს განმარტებით, რომ არა მოპასუხეთა მიერ მიღებული არასწორი გადან-

ყვეტილება – გ. კ.-ასათვის პენსიის დანიშვნის თაობაზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან არ მოხდებოდა 6468,66 ლარის გაცემა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. მ-ემ, ც. ჩ-ამ და ი. ა-მა და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელი-სათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2012 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით ქ. მ-ის, ც. ჩ-ასა და ი. ა-ის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგი მოტივაციით:

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განმარტებით, კონკრეტულ საქმეზე დავის საგანი მოსარჩელის დისპოზიციური პრინციპის რეალიზაციის შედეგად ეფუძნება რეგრესულ მოთხოვნას, კერძოდ, აპელანტებმა გ. კ.-ას მიანიჭეს უფლება და მისცეს შესაძლებლობა ესარგებლა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კომპენსაციით.

საერთო წესის მიხედვით, მოვალეს, რომელმაც სოლიდარული ვალდებულება შეასრულა, გააჩნია რეგრესული მოთხოვნის უფლება სხვა ვალდებული პირების მიმართ, თანაბარ წილად, მისი პირადი წილის გამორიცხვით. ასევე, რეგრესული მოთხოვნის უფლება ზიანის მიმყენებელი პირის მიმართ. პირს, რომელმაც აანაზღაურა სხვა პირის მიერ მიყენებული ზიანი, გააჩნია რეგრესის უფლება ამ პირის მიმართ.

რეგრესის, როგორც მატერიალური უფლების რეალიზაციის პროცესულურ საშუალებას ემსახურება რეგრესული სარჩელი, როგორც სასამართლოსადმი მიმართვა მოთხოვნით – გამოიტანოს გადაწყვეტილება პირის სუბიექტური უფლების – რეგრესული მოთხოვნის არსებობის აღიარების (ცნობის) და ამ მოთხოვნის ანაზღაურების მოპასუხისათვის დაკისრების თაობაზე.

სააპელაციო პალატის განმარტებით, რეგრესის ინსტიტუტს გააჩნია არა საჯარო-სამართლებრივი კომპეტენციების აღსრულების, არამედ კერძო სამართლებრივი მოთხოვნის სამართლებრივი ბუნება, რამდენადაც იგი თავში თავში მოიცავს მესამე პირის მიერ მოვალე პირისათვის ანაზღაურებული თანხის უშუალოდ ვალდებული პირისაგან უკან დაბრუნების მოთხოვნას. აღნიშნულ სამართლებრივ თვალსაზრისით არ გააჩნია სუბორდინაციული ხასიათი, არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, დამდგარი შედეგი არ ემსახურება ადმინისტრაციული სამართლის ნორმების აღსრულებას.

დავა საჯარო-სამართლებრივი ხასიათის და ადმინისტრაციული წესით განსჯადი ვერ გახდება იმის გამო, რომ რეგრესული მოთხოვნის უფლების რეალიზაციის სუბიექტს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო რეგრესანტებს – ყოფილი თანამდებობის პირები, ვინაიდან საჯარო სამართლებრივი ურთიერთობა კვალიფიცირდება არა ურთიერთობის სუბიექტების, არამედ ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების სისტემის მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის განმარტებით, მოცემული დავა ატარებს არა საჯარო-სამართლებრივ, არამედ კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის ელემენტებს, რის გამოც მოცემული საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების მიღებას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისგან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა 2012 წლის 19 ნოემბრის განჩინებით არ დაეთანხმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის საფუძველზე წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე და საქმე განსჯადობის გადასაწყვეტად გადმოუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

სამოქალაქო საქმეთა პალატამ სრულად გაიზიარა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრება, რეგრესული სარჩელის სამოქალაქო წესით განსახილველ დავათა კატეგორიის მიჩნევის თაობაზე, მაგრამ მიუთითა, რომ განსახილველი სასარჩელო მოთხოვნა არ მიეკუთვნება რეგრესულ სარჩელთა სფეროს.

პალატის განმარტებით, რეგრესულად მიიჩნევა სასარჩელო მოთხოვნა, როდესაც პირი ითხოვს მესამე პირისაგან ამ უკანასკნელის კრედიტორთა მიმართ შესრულებული ვალდებულების სანაცვლო ანაზღაურებას. ამგვარი სარჩელი ემსახურება სხვისი ვალდებულების შესრულებით მიღებული ქონებრივი დანაკლისის აღდგენას. რეგრესული მოთხოვნისას სახეზე უნდა იყოს: ა) სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლით განსაზღვრული კანონისმიერი, ან სახელშეკრულებო ვალდებულება, ორ პირს შორის და ბ) აღნიშნული ვალდებულების შესრულება მოვალის ნაცვლად არავალდებული პირის მიერ. ასეთ შემთხვევაში არავალდებული პირი წარმოადგენს ვალდებულების მოვალის (რეგრესანტის) მიმართ რეგრესული მოთხოვნის უფლების მქონე სუბიექტს.

კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მოპასუხემ ჩაიდინა არამართლობიერი ქმედება, რითაც მას მიადგა ზიანი და ითხოვს ზიანის ანაზღაურებას. აღნიშნულზე დაყრდნობით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე დააკმაყოფილა სასარჩელო მოთხოვნა. კონკრეტულ შემთხვევაში, სახეზე არ არის რეგრესული სარჩელის სავალდებულო პირობა, მოსარჩელის მიერ მესამე პირის წინაშე მოპასუხის ვალდებულების მართლობიერი შესრულება. პირიქით, მოსარჩელე სწორედ იმას ხდის სადავოს, რომ არ არსებობდა მასსა და მესამე პირს (გ. კ-ა) შორის კანონისმიერი ვალდებულების წარმოშობის საფუძველი.

სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებით, ზოგადად, ზიანის ანაზღაურების სარჩელებს განიხილავენ როგორც სამოქალაქო ასევე ადმინისტრაციული სასამართლოები. ამასთან, ადმინისტრაციული სასამართლო ზიანის ანაზღაურების (ადმინისტრაციული ორგანოსაგან) სარჩელის განხილვისას ხელმძღვანელობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლი, რომელიც ბლანკეტური ნორმისა და უთითებს სამოქალაქო კოდექსის, მათ შორის 992-ე მუხლის გამოყენებაზე. დავის სამართლებრივი სისტემის მართებულად განსაზღვრისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს არა ზედაპირულად ის გარემოება, რომ ზიანის ანაზღაურება ხდება სამოქალაქო კოდექსის ნორმის საფუძველზე, არამედ მნიშვნელოვანია განისაზღვროს თვით ქმედების მართლზომიერების დამდგენი ნორმების ხასიათი, ანუ ის, თუ რის საფუძველზე უნდა განსაზღვროს სასამართლომ არსებობს თუ არა ზიანის ანაზღაურების საფუძველი. კონკრეტული დავის ფარგლებში პალატის მოსაზრებით, სავალდებულოა გაირკვეს არსებობს თუ არა მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედება და მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა და მოპასუხის ქმედებას შორის. აღნიშნული გარემოებების დადგენის ფარგლებში სააპელაციო სასამართლომ (მსგავსად პირველი ინსტანციის სასამართლოსი) უნდა იმსჯელოს მხარეთა ქმედებების შესაბამისობაზე „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან. შესაბამისად, სამოქალაქო პალატას მიაჩნია, რომ საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებები უნდა დადგინდეს და მოპასუხეთა ქმედების კანონიერების საკითხი უნდა შეფასდეს საჯარო კანონმდებლობით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისა და ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ ქ. მ-ის, ც. ჩ-ასა და ი. ა-ის სააპელაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს და შესაბამისად, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება დავის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის თაობაზე დაუსაბუთებელია, სასამართლომ არ იმსჯელა, თუ რა სამართალურთიერთობა იყო სახეზე და რა მოსაზრებით მივიდა ამგვარ დასკვნამდე, რის გამოც დარღვეულია სსსკ-ის 394. „ე“ მუხლის მოთხოვნები.

მოცემულ შემთხვევაში განსჯადობის ობიექტს წარმოადგენს ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის მიერ, მოპასუხეების – ქ. მ-ის, ც. ჩ-ასა და ი. ა-ისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, აღნიშნული მოთხოვნის საფუძველია, ის გარემოება, რომ სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის მთანმინელს განყოფილების სპეციალურმა კომისიამ 1999 წლის 5 მარტს მიღებული გადაწყვეტილებით გ. კ-ას დაუნიშნა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირისათვის განკუთვნილი პენსია 1998 წლის 25 დეკემბრიდან, მოპასუხეები წარმოადგენდნენ აღნიშნული კომისიის წევრებს, კერძოდ, ქ. მ-ე იყო კომისიის თავმჯდომარე, ხოლო ც. ჩ-ა და ი. ა-ი კი კომისიის წევრები. აღნიშნული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს, ე.ი. მოპასუხეებმა პენსიის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებით განახორციელონ მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მიაღდა ზიანი.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებაში პრაქტიკულად ციტირებულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 18 იანვრის განჩინების /თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის განსჯადობის თაობაზე დავის (საქმეზე №ბს-1700-1656(გ-10) მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სარჩელისა გამო, მოპასუხის – ა. შ-ის მიმართ, მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე) გადაწყვეტასთან დაკავშირებით/, სასამართლოს შეფასებები და დასკვნები, თუმცა არასწორად. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ არასწორი შეფასება მისცა წინამდებარე საქმის მასალებს, სარჩელის საგანს, როცა სადავო სამართალურთიერთობა მიიჩნია რეგრესული მოთხოვნადან წარმოშობილ სამოქალაქო დავად.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, განსხვავებით ზემომოყვანილი საქმისა, განსახილველ საქმეზე აღრული მოთხოვნა არ განეკუთვნება რეგრესული სარჩელების ტიპს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როდესაც კონკრეტული დავის შემთხვევაში გასარკვევია ადმინისტრაციული ორგანოს ან მისი თანამდებობის პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი, პირველ რიგში უნდა განვიხილოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 თავი, როგორც სპეციალური ნორმები, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ურთიერთობა ვერ წესრიგდება აღნიშნული ნორმებით, შესაბამისად გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი, თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლისა. ამდენად აღნიშნული მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატება პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კო-

დექსზე მითითებით. როგორც აღინიშნა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლი ანესრიგებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველოს ორგანოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების ვალდებულება არ სპობს სახელმწიფოს წინაშე საჯარო მოხელის პასუხისმგებლობის საკითხს.

სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა განასხვავებს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანს. კერძოდ, სახელშეკრულებო ზიანი შეიძლება მიყენებულ იქნეს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების, კანონის ან ადმინისტრაციული აქტის შეუსრულებლობით. ვინაიდან ზიანის მიყენებამდე მხარეები უკვე იმყოფებოდნენ განსაზღვრულ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში, პასუხისმგებლობა ამ ურთიერთობის დარღვევისათვის შესაბამისად, ხელშეკრულების პირობებიდან, ან იმ კანონის დებულებიდან გამომდინარეობს, რომელიც აღნიშნულ სამართლებრივ ურთიერთობას არეგულირებს.

არასახელშეკრულებო ზიანის შემთხვევაში, კი მხარეები არ იმყოფებიან ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობაში და იგი წარმოიშობა უშუალოდ სამართალდარღვევიდან ანუ დელიქტიდან. ვალდებულებითი ურთიერთობა კერძო სამართლის სუბიექტებს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობაა, რომელიც განსხვავდება საჯარო სამართალში არსებული ვალდებულებისაგან, სამოქალაქო კოდექსის 317.1 მუხლის ვალდებულების წარმოშობის წინაპირობად მიიჩნევს როგორც ხელშეკრულებას, ასევე დელიქტს, უსაფუძვლო გამდიდრებასა და კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებს.

დელიქტის დროს, თვით ზიანის მიყენების ფაქტი წარმოადგენს ვალდებულების საფუძველს, რომელიც ვალდებულების ძალითაც დაზარალებულს (მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობას) უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ზიანის მიმყენებლისაგან. ზიანის მიმყენებელი ერთიანად აგებს პასუხს, მიუხედავად იმისა, განზრახი მოქმედებით იყო მიყენებული ზიანი თუ გაუფრთხილებლობით. არსებობს ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც, ზიანი სრულად უნდა აანაზღაუროს ზიანის მიმყენებელმა – ანუ იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება, თანახმად, სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლისა. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუკი ზიანი მიყენებულია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. ვინაიდან კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დადგენილი არ არის ორგანოს მოსამსახურეთა ბრალეული ქმედება /განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა/, მითითებული სამართლის ნორმის გამოყენების არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში სახეზეა მოსარჩელის მოთხოვნა – მოპასუხეთა მიერ კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულების შეუსრულებლობა, რამაც თავის მხრივ გამოიწვია ადმინისტრაციული ორგანოსათვის ზიანის მიყენება. აქედან გამომდინარე, სახეზეა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით დადგენილი ზიანის ანაზღაურების წინაპირობები, რაც გამოიხატება მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში და იგი ზიანის გამომწვევ უშუალო მიზეზს წარმოადგენს. ამდენად სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად არსებობს მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ამ კატეგორიის დავის შემთხვევაში, სახელმწიფო პასუხისმგებელია ბრალის ნებისმიერი ფორმით მიყენებული ზიანისათვის, ხოლო მოპასუხის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (ასეთის დადასტურების პირობებში) სახელმწიფოს უფლებამოსილებას აძლევს რეგრესის წესით მოითხოვოს გარკვეული თანხის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საერთო სასამართლოებმა სამართალწარმოების სახის განსაზღვრის მიზნიდან გამომდინარე უნდა გამოიწვიონ შემთხვევები, როდესაც სარჩელი განეკუთვნება რეგრესულ მოთხოვნათა ტიპს და აღნიშნულთან დაკავშირებით იზიარებს სამოქალაქო სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ რეგრესულად მიიჩნევა სასარჩელო მოთხოვნა, როდესაც პირი ითხოვს მესამე პირისაგან ამ უკანასკნელის კრედიტორთა მიმართ შესრულებული ვალდებულების სანაცვლო ანაზღაურებას. ამგვარი სარჩელი ემსახურება სხვისი ვალდებულების შესრულებით მიღებული ქონებრივი დანაკლისის აღდგენას.

რეგრესული მოთხოვნის წარმოშობის სამართლებრივ წინაპირობად გვევლინება: 1. პირებს შორის კანონისმიერი ან სახელშეკრულებო ვალდებულების არსებობა, და 2. ამ ვალდებულების შესრულება მოვალის ნაცვლად არავალდებული მესამე პირის მიერ. სწორედ ამ წინაპირობების არსებობისას არავალდებულები პირი ვალდებულების მოვალის მიმართ უფლებამოსილია რეგრესული მოთხოვნის აღძვრაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სამოქალაქო სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის რეგრესული სარჩელის აღძვრის სავალდებულო პირობა – მოსარჩელის მიერ მესამე პირის წინაშე მოპასუხის ვალდებულების მართლზომიერი შესრულება, პირიქით, სარჩელის საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ მოსარჩელესა და მესამე პირს (გ. კ-ა) შორის არ არსებობდა კანონისმიერი ვალდებულების (პენსიის დანიშვნა) წარმოშობის საფუძველი, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განსახილველი დავის სპეციფიკიდან გამომდინარე განმარტავს, რომ სადავო სამართალურთიერთობა ვერ მონესრიგდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის (207-ე-209-ე მუხლები) საფუძველზე, ვინაიდან ზემოთითხილული ნორმები განსაზღვრავს სახელმწიფოს პასუხისმგებ-

ლობის შემთხვევებს საქართველოს კონსტიტუციის 42.9. მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, მაშინ, როდესაც სადავო სამართალურთიერთობა წარმოშობილია ადმინისტრაციულ ორგანოსა და მის მოსამსახურეთა შორის, ამ უკანასკნელთა უკანონო გადაწყვეტილებების გამო სახელმწიფოს ბიუჯეტისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

აღნიშნული სამართალურთიერთობის მომწესრიგებელ დებულებებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი საერთოდ არ შეიცავს, შესაბამისად, მათი გამოყენება სსსკ-ის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ) ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევად უნდა დაკვალიფიცირდეს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმები მოძიებულ უნდა იქნას ადმინისტრაციული სამართლის ძირითად პრინციპებში და საჯარო და კერძო სამართლის სხვა ნორმატიულ აქტებში, კერძოდ, ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი – კანონიერების პრინციპი ასახულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 5.1 მუხლში, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების სანაღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. აღნიშნული საკანონმდებლო დანაწესი გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმიანობის სამართლებრივი ფორმების გამოყენებისას სამართლის ნორმებით აბსოლუტურ ბოჭვას, რომლის რეალიზაციის გარეშეც სამართლებრივი სახელმწიფოს ინსტიტუტების ფუნქციონირება წარმოუდგენელია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება და გამოცემა საქართველოს კანონმდებლობით მკაცრად არის რეგლამენტირებული და ყოველ ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია საჯარო ვალდებულება ზედმინევით დაიცვას იგი, თავის მხრივ, აღნიშნული ვალდებულება განაპირობებს დაინტერესებულ პირთა კანონიერ მოლოდინს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო აღიშნავს, რომ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის უფლებამოსილება თანამდებობის პირებს გააჩნია კანონით ან შესაბამისი კანონქვემდებარე აქტის საფუძველზე მინიჭებული უფლებამოსილებით. თავის მხრივ, ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოიცეს საგნობრივად და ტერიტორიულად უფლებამოსილი ორგანოს მიერ.

ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირის მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან უნდა გამომდინარეობდეს და შეესაბამებოდეს მას.

მოსარჩელის მოსაზრებით (რაც ემყარება ძველი თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრის 2009 წლის 30 სექტემბრის №2009/1 გადაწყვეტილებას, რომლითაც გ. კ-ას შეუჩერდა პენსიის გაცემა, უკანონოდ დანიშნის მოტივით), მოპასუხეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც თავის მხრივ, შესაბამის პირის – გ. კ-ასთვის აღმჭურველ ადმინისტრაციულ აქტს წარმოადგენს, არ შეესაბამებოდა მოქმედ კანონმდებლობას, და რამაც გამოიწვია საბიუჯეტო სახსრების არამართლზომიერი ხარჯვა და სახელმწიფოსათვის ზიანის მიყენება.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 1.1 მუხლის მიხედვით საჯარო სამსახური არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში.

ამავე კანონის 2.1. მუხლში დეფინირებულია სახაზინო(საბიუჯეტო) დაწესებულების ცნება, რომლის მიხედვით ამგვარს განეკუთვნება სახელმწიფო ბიუჯეტის ... სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანა საჯარო ხელისუფლების განხორციელებაა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხეებზე – ქ. მეზე, ც. ჩაზე და ი. ა-ზე სრულად ვრცელდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის სახეები კანონით დაკისრებული ვალდებულების არასათანადო შესრულების შემთხვევაში.

საკასაციო სასამართლოს შეფასებით, წინამდებარე საქმეზე აღძრული სარჩელი – ზიანის ანაზღაურების თაობაზე განეკუთვნება სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის I ნაწილით გათვალისწინებულ /ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლიდან/ საფუძვლიდან, კერძოდ, უუკანონო გადაწყვეტილების (რასაკვირველია, ასეთად მიჩნევის შემთხვევაში) გამო სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ხოლო, კლასიკური რეგრესული სარჩელის აღძვრის საფუძველი – მოსარჩელის მიერ მესამე პირის წინაშე მოპასუხის ვალდებულების მართლზომიერი შესრულება, განსახილველ დავაში სახეზე არ არის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული საქმის განხილვა სასამართლოს მხრიდან უცილობლად საჭიროებს მოპასუხეთა ქმედების (ნებისმიერი სამართლებრივი ფორმით გამოხატული) კანონშესაბამისობის თაობაზე მსჯელობას, რაც შეუძლებელია ადმინისტრაციული კანონმდებლობის – საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ; კანონთან შესაბამისობაზე მსჯელობას, სამართლებრივ შეფასებასა და დასკვნას, რის გარეშეც მოთხოვნის იურიდიული საფუძვლიანობა ვერ შემოწმდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ განსახილველი სარჩელი გარკვეულწილად მსგავსია რეგრესული სარჩელის ტიპისა, იგი ვერ იქნება შეფასებული სამოქალაქო რეგრესულ სარჩელად, ასეთად მიჩნევის იურიდიული შემადგენლობის არარსებობის გამო.

ამდენად, წინამდებარე საქმე განსახილველად განსჯადობით უნდა დაუქვემდებარდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2,1; 26.3.; საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, 401-ე მუხლებით და

და ა ა ზ ი ნ ა:

1. ქ. მ-ის, ც. ჩ-ასა და ი. ა-ის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

№ბს-613-601 (გ-12)

19 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა ქ. ლ-ის, ს. ლ-ისა და გ. ქ-ის სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

2012 წლის 1 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართეს ქ. ლ-მა, ს. ლ-მა და გ. ქ-მა მოპასუხე სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიმართ და მოითხოვეს სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2012 წლის 22 მაისის №01/132354/გ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ადმინისტრაციული ორგანოს დავალდებულება დაადგინოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი მათი დედის-ქ. ე. ასული ბ-ის ... წლის ... მარტს სამხრეთ ოსეთის ახალგორის (ყოფილი ლენინგორის) რაიონში დაბადების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 25 ივნისის განჩინებით ქ. ლ-ის, ს. ლ-ისა და გ. ქ-ის სარჩელი განსახილველად განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა, აღნიშნული საკითხი დარეგულირებულია სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის თანახმად, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ საქმეებს სასამართლო იხილავს უდავო წარმოების წესით, მე-11 მუხლის თანახმად კი, სასამართლომ განმარტა, რომ უდავო წარმოების საქმეებს სასამართლო განიხილავს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის საფუძველზე, სარჩელი განსჯადობის წესით უნდა გადაეცეს უფლებამოსილ სასამართლოს-თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 17 ივლისის განჩინებით მოცემული საქმე თანდართული მასალებით გადმოეგზავნა საკასაციო სასამართლოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლზე და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე და აღნიშნა, რომ მოსარჩელე მხარე სასამართლოს არ სთხოვს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ იურიდიული ფაქტების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლში მოცემული ჩამონათვალი ამომწურავია, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვა ფაქტებს სასამართლო ვერ დაადგენს უდავო წარმოების წესით.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგია მიუთითა ასევე „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 90-ე მუხლსა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლზე და განმარტა, რომ სსიპ სამოქალაქო

რეესტრის სააგენტო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებებზე, რომ მომმართველი პირები არიან არა განმცხადებლები, რომლებიც უდავო წარმოების წესით ითხოვენ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენას, არამედ ეს პირები არიან მოსარჩელები, რომლებიც სარჩელით მიმართავენ სასამართლოს და ითხოვენ სასარჩელო წარმოების წესით მის განხილვას.

სასამართლოს მითითებით აღნიშნული სარჩელი არ წარმოადგენს არც უდავო წარმოების წესით და არც სასარჩელო წარმოების წესით, სამოქალაქო სასამართლოს მიერ განსახილველ საქმეს, რამდენადაც მოსარჩელე ედავება მოპასუხეს, როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონის საფუძველზე, მის უშუალო საჯარო კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხზე (დაბადების რეგისტრაციის ფაქტის დადგენა).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, მოცემული დავა თავისი არსით მიეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას და საქმე უნდა გადაგზავნილიყო საკაცო სასამართლოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ ქ. ლ-ის, ს. ლ-ისა და გ. ქ-ის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად დავას წარმოადგენს, შესაბამისად, საქმე საგნობრივი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ კოლეგიას და განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავ კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს და მისგან არის წარმოშობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში, ამასთან აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს დავის საგანზე. მოსარჩელებმა სასარჩელო მოთხოვნით სადავოდ გახადეს სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს 2012 წლის 22 მაისის №01/132354/გ გადაწყვეტილება და ხარვეზის შესახებ 2012 წლის 7 ივნისის განცხადებით მოსარჩელებმა მიუთითეს, რომ მათ მოთხოვნას, გარდა აღნიშნულისა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ პუნქტის საფუძველზე ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე, კერძოდ კი, ადმინისტრაციულმა ორგანომ დაადგინოს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტი მათი დედის – ქ. ე. ასული ბ-ის 1945 წლის 8 მარტს სამხრეთ ოსეთის ახალგორის (ყოფილი ლენინგორის) რაიონში დაბადების შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველოს ან მმართველობის ორგანო, ან დანესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით მოსარჩელეთა მიერ დასახელებული მოპასუხე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო (დღეს მოქმედი კანონმდებლობით – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო) საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირია. იგი „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ასრულებს შემდეგ საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს: სამოქალაქო აქტების რეგისტრაციას, სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების, შესწორების,

დამატების შეტანას, სამოქალაქო აქტის ხელახალ რეგისტრაციას, დაბადებისა და გარდაცვალების სამოქალაქო აქტების ჩანაწერების ბათილად ცნობას, დაბადებისა და გარდაცვალების რეგისტრაციას, აგრეთვე პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადებისა და გარდაცვალების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენას და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემას.

ზემოაღნიშნული კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო აქტის ჩანაწერი, რომელიც ადასტურებს სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტს, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენს. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს გადანყვეტილება იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენაზე უარის თქმის შესახებ, ასევე მის მიმართ ადმინისტრაციულ საჩივარზე მიღებული გადანყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

როგორც უკვე აღინიშნა, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 90-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, რომლითაც მოსარჩელეთა მიერ მოთხოვნილი იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა მათი დედის – ქ. ე. ასული ბ-ის ... წლის ... მარტს სამხრეთ ოსეთის ახალგორის (ყოფილი ლენინგორის) რაიონში დაბადების შესახებ ანუ პირის დაბადების რეგისტრაციის ფაქტის დადგენა წარმოადგენს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხს. აღნიშნულ საკითხის დასადგენად სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო ზემოაღნიშნული კანონის 94-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ატარებს ადმინისტრაციულ წარმოებას, მართავს ზეპირ მოსმენას, რომელზედაც საკითხის გამორკვევის მიზნით მოწვეულ უნდა იქნენ განმცხადებელი, სხვა დაინტერესებული პირები და მოწმეები. საგულისხმოა, რომ თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოებისას სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს მიერ გამოიყენება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI და VIII თავებით დადგენილი წესები, „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონის დებულებების გათვალისწინებით.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოცემული დავის საგანს წარმოადგენს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა, რომელიც დარეგულირებულია სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით, კერძოდ კი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლით დადგენილი უდავო წარმოების წესით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ მართალია სამოქალაქო საქმეთა კოლეგია იხილავს უდავო წარმოების წესით განცხადებებს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლის თანახმად, საქმეებს, რომლებსაც სამოქალაქო საქმეთა კოლეგია იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის შესახებ იხილავს, ამომწურავია და მასში არ მოიაზრება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს კომპეტენციისათვის მიკუთვნებული, პირის დაბადების რეგისტრაციის ფაქტის დადგენა. სამოქალაქო საქმეთა კოლეგია იხილავს იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ უდავო წარმოების წესით პირის განცხადებებს: პირთა ნათესაური კავშირის დადგენის შესახებ; პირის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტის დადგენის შესახებ; მამობის დადგენის, ქორწინების, განქორწინების, სახელის ან/და გვარის შეცვლის რეგისტრაციის ან შვილად აყვანის ფაქტების დადგენის შესახებ; უფლების დამდგენი საბუთის იმ პირისადმი კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ, რომლის სახელი, მამის სახელი ან გვარი, რაც საბუთებშია აღნიშნული, არ ემთხვევა მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს ან გვარს; მემკვიდრეობის მიღების ფაქტისა და მემკვიდრეობის გახსნის ადგილის დადგენას.

საკასაციო სასამართლო ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ ქ. ლ-მა, ს. ლ-მა და გ. ქ-მა, სასამართლოს მიმართეს სარჩელით და არა განცხადებით და მოითხოვეს არა უდავო წარმოების წესით იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა, როგორც ამაზე მიუთითებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, არამედ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით ადმინისტრაციული ორგანოს – სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, რომლის ადმინისტრაციულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა განხილულ უნდა იქნეს სწორედ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2 და 26-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე და 408-ე მუხლებით და

დ ა ა ღ ბ ი ნ ა :

1. ქ. ლ-ის, ს. ლ-ისა და გ. ქ-ის სარჩელი მოპასუხე – სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოო და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

№ბს-704-690(გ-12)

7 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა განსჯადობის შესახებ დავა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და საგარეჯოს რაიონულ სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

07.09.12წ. თ. ჯ-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ, 27.08.12წ. №20/7-680 დადგენილების ბათილად ცნობისა და განუვლი ხარჯების მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელის მითითებით, 08.12.11წ. კუთვნილი ავტომობილით („ოპელ ასტრა“, სახელმწიფო ნომერი ...) თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის საავტომობილო გზაზე თელავის მიმართულებით მოძრაობისას, საგარეჯოს ტერიტორიაზე თანმხვედრი მიმართულებით მოძრავი სატვირთო ავტომობილისათვის გასწრების დროს შეეჯახა საპირისპირო მიმართულებით მოძრავ საპატრულო პოლიციის ავტომანქანას („შკოდა“, სახელმწიფო ნომრით ...). შეჯახების შედეგად მოხდა ავტომობილ ოპელ ასტრას გადაადგილება მარჯვნივ, რის შედეგადაც მას მარჯვნიდან შეეჯახა სატვირთო ავტომობილი („ფარგო“, სახელმწიფო ნომრით ...). აღნიშნული საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შესახებ საპატრულო პოლიციის მიერ შედგა სამართალდარღვევათა ოქმი №115420, რომლის მიხედვით თ. ჯ-ი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125.10 მუხლის შესაბამისად დაჯარიმდა 250 ლარით. აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმი თ. ჯ-მა გაასაჩივრა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში – საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში, მაგრამ 29.12.11წ. №20/7-1657 გადაწყვეტილებით მისი საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა 08.12.11წ. სამართალდარღვევის ოქმი №115420 თ. ჯ-ის დაჯარიმების შესახებ. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 29.12.11წ. №20/7-1657 გადაწყვეტილება თ. ჯ-ის მიერ გასაჩივრდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. სამინისტროს საკადრო და ორგანიზაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს უფროსის 18.01.12წ. №74454 წერილით მოსარჩელეს განემართა, რომ მის მიერ უკვე გამოყენებული იყო ადმინისტრაციული აქტის ერთჯერადად გასაჩივრების უფლება, საჩივრის თაობაზე მიღებულ იქნა 29.12.11წ. №20/7-1657 გადაწყვეტილება, შესაბამისად, მას უფლება ჰქონდა საჩივრით მიემართა შესაბამისი სასამართლოსათვის.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი №115420, საჩივარზე უარის თქმის შესახებ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს 29.12.11წ. №20/7-1657 გადაწყვეტილება, ასევე შს სამინისტროს 18.01.12წ. №74454 წერილი სასამართლოში გაასაჩივრა თ. ჯ-მა.

თელავის რაიონული სასამართლოს 04.04.12წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს 08.12.11წ. სამართალდარღვევის ოქმი №115420, შს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის 29.12.11წ. №20/7-1657 გადაწყვეტილება, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტსა და კახეთის სამმართველოს დაევა-ლათ საქმის გარემოებების არსებითი შესწავლის შედეგად ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ხოლო შს სამინისტროს 18.01.12წ. №74454 წერილის ბათილად ცნობაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს მიერ საქმის ხელახლა განხილვის შედეგად 20.06.12წ. მიღებულ იქნა №20/33/1-9 დადგენილება, რომლითაც თ. ჯ-ის განცხადება დაკმაყოფილდა და შს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და ანალიზის ჯგუფს დაევა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა პატრულ-ინსპექტორის რ. ზ-ის მიმართ, რამელიც მართავდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე საპატრულო პოლიციის ავტომობილს. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს მიერ 21.06.12წ. შედგა სამართალდარღვევის ოქმი №143393, რომლის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125.10 მუხლის შესაბამისად, მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამო ჯარიმა დაეკისრა საპატრულო პოლიციის ავტომობილის მძღოლს რ. ზ-ს. მითითებული სამართალდარღვევის ოქმი გასაჩივრდა რ. ზ-ის მიერ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში. 27.08.12წ. №20/7-680 დადგენილებით რ. ზ-ის საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა სამართალდარღვევის

ოქმი №143393 და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეგზავნა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს.

მოსარჩელემ უკანონოდ მიიჩნია საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 27.08.12წ. №20/7-680 დადგენილება, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო დაეყრდნო რ. ზ-ის მიერ წარდგენილ შპს „...“ მიერ 14.08.12წ. შედგენილ დასკვნას, სადაც არასწორად აღინიშნა, რომ საპატრულო პოლიციის ავტომობილი „შკოდა“, რომელიც მთავარ გზაზე შემოდოდა მეორე ხარისხოვანი გზიდან, შეჯახების დროს იყო გაჩერებული. სასამართლოს 04.04.12წ. გადაწყვეტილებით დადგენილი იყო, რომ „შკოდა“ ახორციელებდა მთავარ გზაზე შემოსვლის მანევრს. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება დაადასტურა ასევე მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე ჩატარებულმა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ავტოტექნიკური ექსპერტიზის 14.08.12წ. დასკვნამაც და სასამართლოს პროცესზე დაკითხულმა ექსპერტმა. კერძოდ, დადგინდა, რომ ავტომობილი „შკოდა“, რომელსაც მართავდა მძღოლი რ. ზ-ი, შეჯახების დროისათვის მოძრაობდა და არ იყო გაჩერებული, რაზეც ასევე მეტყველებდა ავტომობილების დაზიანებებიც. გარდა აღნიშნულისა, მოსარჩელის მითითებით, 21.06.12წ. №143393 სამართალდარღვევის ოქმი რ. ზ-ისათვის ჯარიმის დაკისრების შესახებ არ გასაჩივრებულა კანონით დადგენილი წესით და იგი კანონიერ ძალაში იყო შესული, რამდენადაც რ. ზ-მა საჩივარი შეიტანა 47 დღის შემდეგ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ თ. ჯ-ის სარჩელი მიჩნეულ იქნა საჩივრად და 10.09.12წ. განჩინებით იგი განსახილველად გადაეგზავნა საგარეჯოს რაიონულ სასამართლოს.

საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 3.2, მე-16 მუხლებით, ასევე მიუთითა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლზე, რომლის მიხედვით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას გარდა ამ კოდექსის 159-ე-159-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეებისა, რომელსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მაგრამ სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით საქმის განხილვა სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით – საგარეჯოს რაიონული სასამართლოს მიერ.

საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 17.09.12წ. განჩინებით საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272.1 მუხლზე, რომლის მიხედვით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შეიძლება გასაჩივრდეს: ა) ორგანოს (თამანდებობის პირის) დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234-ე მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა; ბ) გადაწყვეტილება სხვაგვარი ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ – ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან), რის შემდეგაც საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა; დადგენილება ძირითადი და რომელიმე დამატებითი ადმინისტრაციული სახდელის ერთდროულად დადების შესახებ მომჩივანის სურვილით შეიძლება გასაჩივრდეს ძირითადი ან დამატებითი სახდელის გასაჩივრებისათვის განსაზღვრული წესით. რაიონული სასამართლოს მითითებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლი ადგენს, რომ მაგისტრატი მოსამართლე განიხილავს საქმეებს საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით; სასამართლომ წარდგენილი შესაბამისი ოქმის საფუძველზე, სასამართლოს მიერ შეტანილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან სამართალდარღვევა ჩადენილია საგარეჯოს რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე, საჩივარი შეიძლება განხილულ იქნეს საგარეჯოს რაიონულ სასამართლოში. ამასთან, რაიონულმა სასამართლომ მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე-178-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მითითებული ნორმები დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს უფლებას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, მათ შორის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესით, ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, მისთვის მისაღები და ხელსაყრელი ფორმით – სარჩელის ან საჩივრის წარდგენით.

რაიონული სასამართლოს მითითებით, მოსარჩელე სადავოდ ხდის რა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის გადაწყვეტილებას რ. ზ-ს მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული საჯარიმო ქვითრის გაუქმების შესახებ, როგორც ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, მან აირჩია აქტის გასაჩივრების სასარჩელო წესი და განსჯადობის წესის დაცვით სარჩელი წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოში საერთო მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით. რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლით დადგენილი წესი იმპერატიულად არ

გულისხმობს დაინტერესებული პირის ვალდებულებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმესთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული აქტი გაასაჩივროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სამართალწარმოების წესით. გარდა აღნიშნულისა, რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლო ვალდებული იყო განეხილა წარმოებაში მიღებული საქმე. მოსარჩელის – შესაძლო სამართალდამრღვევის საცხოვრებელ ადგილად მითითებულია ქ. თბილისი, შესაბამისად, იმ პირობებშიც კი, თუ მიჩნეულ იქნება, რომ სახეზეა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით განსახილველი საჩივარი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი შესაძლებლად მიიჩნევეს საქმის დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განხილვას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და საგარეჯოს რაიონული სასამართლოს მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ თ. ჯ-ის საჩივარი განსახილველად ტერიტორიული განსჯადობით უნდა დაექვემდებაროს საგარეჯოს რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს რაიონული სასამართლოს დასკვნას იმის თაობაზე, რომ მოქმედი კანონმდებლობა მხარეს ანიჭებს უფლებას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა წარმოების, ასევე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლით დადგენილი წესი იმპერატიულად არ გულისხმობს დაინტერესებული პირის ვალდებულებას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმესთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული აქტი გაასაჩივროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოქმედი კანონმდებლობა ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას ერთჯერადად ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში, ამასთან, სასამართლო, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად, აქტის კანონიერებას ამოწმებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში კანონმდებლობა არ უშვებს სასარჩელო სამართალწარმოების წესით გასაჩივრების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ საქმე განსჯადობის წესების დაცვით სწორად გადააგზავნა სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით – საგარეჯოს რაიონულ სასამართლოში, რომელსაც უნდა ემსჯელა წარდგენილი საჩივრის დასაშვებობის საკითხზე და არასწორია რაიონული სასამართლოს მხრიდან დავის განსჯადობასთან დაკავშირებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლზე მითითება.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს შემდეგს: ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს. მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (მუხლი 26), კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ. ამდენად, საკასაციო სასამართლო არასწორად მიიჩნევს ადმინისტრაციული სამართალწარმოების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლზე მითითებას და თვლის, რომ საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნის შესაბამისად, მართებულად გადაუგზავნა საქმე საგარეჯოს რაიონულ სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს რაიონული სასამართლოს მითითებას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261.2 მუხლზე, რომლის მიხედვით ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა მითითებული ნორმის გამოყენების წინაპირობა და საქმე ექვემდებარებოდა ზოგადი პრინციპის თანახმად სამართალდარღვევის ადგილის მიხედვით განხილვას, რამდენადაც

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261.2 მუხლი უშვებს საქმის განხილვას სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში კი, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამართალდამრღვევი დადგენილი არ არის და შესაბამისად არასწორია სასამართლოს მითითება შესაძლო სამართალდამრღვევზე.

საკასაციო სასამართლო განსჯადი სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს დავის საგანს. განსახილველ შემთხვევაში თ. ჯ-ი სასამართლოში წარდგენილი სარჩელით სადავოდ ხდის ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს – საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ რ. ზ-ის საჩივრის განხილვის შედეგად მიღებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – 27.08.12წ. №20/7-680 დადგენილებას, რომლითაც გაუქმდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შესახებ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი №გვ 143393 და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს.

საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს ზემოაღნიშნული სადავო აქტის შინაარსის განსაზღვრას და მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ შემდეგ გარემოებებზე: საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შესახებ საპატრულო პოლიციის მიერ შედგა სამართალდარღვევის ოქმი №115420, რომლითაც მოსარჩელე თ. ჯ-ი ასკ-ის 125.1 მუხლის შესაბამისად დაჯარიმდა 250 ლარით.

თელავის რაიონული სასამართლოს 04.04.12წ. გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველომ 21.06.12წ. შეადგინა ახალი სამართალდარღვევის ოქმი №143393, რომლითაც ასკ-ის 125.10 მუხლის საფუძველზე, მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის გამო ამჯერად დაჯარიმდა არა თ. ჯ-ი, არამედ საპატრულო პოლიციის ავტომობილის მძღოლი რ. ზ-ი. თავის მხრივ, მითითებული ოქმი გაასაჩივრა რ. ზ-მა. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 27.08.12წ. №20/7-680 დადგენილებით მისი საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა რ. ზ-ის დაჯარიმების თაობაზე საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს მიერ მიღებული სამართალდარღვევის ოქმი №143393 და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეგზავნა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის სამმართველოს.

ამდენად, სადავო აქტის შედეგად წარმოიშვა ურთიერთობა, როცა არ არსებობს სამართალდარღვევის არცერთი ოქმი, ჯერ კიდევ დადგენილი არ არის სამართალდარღვევის ჩამდენი პირი და შესაბამისად, განსაზღვრული არ არის დაზარალებული.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 271-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234¹ მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება შეუძლია გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც გამოტანილია დადგენილება, დაზარალებულმა ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენმა.

მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა საპატრულო პოლიციის მიერ დაკვალიფიცირებული იყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125.10 მუხლით და მიღებული იყო ამავე კოდექსის 234¹ მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. შესაბამისად, აღნიშნული ურთიერთობის მიმართ გამოყენებული უნდა იყოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 271-ე მუხლით დადგენილი რეგულაციები.

როგორც აღინიშნა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 271-ე მუხლი განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, ვისაც გააჩნია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების უფლება. ზემოაღნიშნული მოცემულობის პირობებში, საგარეჯოს რაიონულმა სასამართლომ უნდა იმსჯელოს თ. ჯ-ი მიეკუთვნება თუ არა აღნიშნულ პირთა კატეგორიას იმ ვითარებაში, როდესაც ჯერ რეალურად სახეზე არ არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე მიღებული აქტი, სამართალდამრღვევი გამოვლენილი არ არის და მისი დადგენა მოხდება მხოლოდ საქმის ხელახალი განხილვის შედეგად მიღებული აქტით.

ასეთ პირობებში, საკასაციო სასამართლო საქმის შემდგომი გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით საჭიროდ მიიჩნევს განსჯადმა სასამართლომ ყურადღება მიაქციოს სარჩელის (საჩივრის) დასაშვებობის წინაპირობებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2, 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. თ. ჯ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს საგარეჯოს რაიონულ სასამართლოს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

№ბს-298-290(გ-13)

3 ივნისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა რ. მ-ის სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმომოხილი დავა განსჯადობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და სიღნაღის რაიონულ სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

რ. მ-მა 2013 წლის 1 მაისს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დედოფლისწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 1 აპრილის №54498 გადაწყვეტილების, დედოფლისწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის 2012 წლის 14 დეკემბრის სარეგისტრაციო წარმოების შეჩერებისა და 2013 წლის 16 იანვრის სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა. მოსარჩელემ ასევე მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და დედოფლისწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის დავალდებულება განახორციელოს რ. მ-ის საკუთრების უფლების რეგისტრაცია ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ა. მ-ის სახელზე სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრირებულ უძრავ ნივთზე ს/კ 52.10.32.049.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 1 მაისის განჩინებით რ. მ-ის სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 01.04.13 გადაწყვეტილების, დედოფლისწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის 14.12.12 და 16.01.13 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და დედოფლისწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის დავალდებულება ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელოს მისი საკუთრების უფლების რეგისტრაცია ა. მ-ის სახელზე სარეგისტრაციო სამსახურში რეგისტრირებულ უძრავ ნივთზე, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით მოწესრიგებულია სარჩელის განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს სასამართლოსადმი დაქვემდებარებული კონკრეტული საქმე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელის საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის მიწის ნაკვეთებზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოარჩელეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე რ. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეგზავნოს სიღნაღის რაიონულ სასამართლოს.

რ. მ-ის წარმომადგენელმა ნ. გ-ემ 2013 წლის 17 მაისს განცხადება-შუამდგომლობით მიმართა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს და აღნიშნა, რომ რ. მ-ი არის სოციალურად დაუცველი და მას გადაადგილების მატერიალური საშუალება არ გააჩნია, მის დაცვას ახორციელებს მომსახურების საფასურის გარეშე.

ნ. გ-ემ იშუამდგომლა საქმე გაიგზავნოს რ. მ-ის მიერ არჩეულ განსჯად სასამართლოში, ვინაიდან ვერც ერთი ვერ გამოცხადდებოდნენ სიღნაღის რაიონულ სასამართლოში.

სიღნაღის რაიონული სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებას და მიუთითა, რომ საქართველოს ასკ-ის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებათა გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე განსჯადობის საკითხი წესრიგდება ასკ-ის მე-5, მე-6 და 26-ე მუხლების საფუძველზე. საქართველოს ასკ-ის 26-ე მუხლის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

სიღნაღის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. მ-ის სარჩელი წარდგენილ იქნა განსჯად სასამართლოში, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს მოცემული ადმინისტრაციული საქმე იმის მიუხედავად, სადავო ქონება იქნებოდა თუ არა დედოფლისწყაროს რაიონში.

სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სსკ-ის მე-15 მუხლით მოსარჩელემ სარჩელი უნდა წარადგინოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით, ამავე კოდექსის მე-16 მუხლით განსაკუთრებული განსჯადობა ადგენს წესებს კერძოდ მოსარჩელეს ფაქტობრივად აძლევს არჩევანის შესაძლებლობას წარადგინოს სარჩელი ერთ-ერთი მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ თავად მოსარჩელე მხარემ აირჩია განსჯადობით თბილისის საქალაქო სასამართლო, რაც დასტურდება მის მიერ სარჩელის წარდგენით და სიღნაღის რაიონულ სასამართლოში 2013 წლის 17 მაისს შეტანილი განცხადებით, სადაც მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მან უკვე არჩევანი გააკეთა სსსკ-ის 20-ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან მოსარჩელე არის სოციალურად დაუცველი, იღებს შემწეობას, ცხოვრობს თბილისში და მოსარჩელისა და მისი წარმოდგენლის გამოცხადება სიღნაღის რაიონულ სასამართლოში მოითხოვს დამატებით ხარჯებს რასაც ვერ უზრუნველყოფს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და სიღნაღის რაიონული სასამართლოს შორის განსჯადობის თაობაზე განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ რ. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სიღნაღის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოების განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს განსაზღვრავს საპროცესო კანონი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით მოწესრიგებულია სარჩელის განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს სასამართლოსადმი დაქვემდებარებული კონკრეტული საქმე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელის საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის მიწის ნაკვეთებზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150/2007 გადაწყვეტილებით „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ განისაზღვრა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის, 23-ე მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 28-ე მუხლისა და 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სიღნაღის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება სიღნაღის, დედოფლისწყაროსა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

მოცემულ შემთხვევაში სადავო უძრავი ნივთი – საცხოვრებელი სახლი, მდებარეობს დედოფლისწყაროს რაიონში, სოფელ არხილოსკალოში. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი წესის თანახმად, სასამართლოს მიერ იმ ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განხილვა, რომლებიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ან სამართალურთიერთობას ეხება, შეადგენს იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი. ამდენად, სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელი უნდა იქნეს განხილული იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში განსჯად სასამართლოს წარმოდგენს სიღნაღის რაიონული სასამართლო.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ ვერ მოხდება, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არაუფლებამოსილია განიხილოს სხვა სასამართლოს დაქვემდებარებული საქმე და მიიღოს მასზე გადაწყვეტილება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას და მიაჩნია, რომ საქმე რ. მ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხეების – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დედოფლისწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ სიღნაღის რაიონული სასამართლოს განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა :

1. საქმე რ. მ-ის სარჩელის გამო, მოპასუხეების – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს დედოფლისწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს სიღნაღის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

№ბს-425-414(გ-13)

9 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ნ. სხირტლაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2013 წლის 16 მაისს რ. ბ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, მესამე პირის – გ. პ-ის მიმართ.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 2004 წლის 10 სექტემბრის გადაწყვეტილებით, რ. ბ-ეს უკანონოდ შეძენისა და დაუსაბუთებლობის მოტივით ჩამოერთვა და სახელმწიფოს გადაეცა შემდეგი ქონება: 1. საცხოვრებელი ბინა მდებარე: ბათუმი, ... ქ. №37, ბ. 8; 2. საცხოვრებელი სახლი – ბათუმი, ... ქუჩაზე; 3. მიწის ნაკვეთი ქობულეთის რ-ნის, სოფ. ...; 4. ავტომანქანა „მერსედეს ბენცი“ სახ. №...; 5. ავტომანქანა გაზ. 31-10 სახ. №... ქონების ჩამორთმევის საფუძველი გახდა რ. ბ-ის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც სარჩელი წარადგინა აჭარის ა/რ პროკურორმა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და მისი სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. აღნიშნულ წარმოებაში რ. ბ-ე ან მისი წარმომადგენელი არ მონაწილეობდნენ. გადაწყვეტილება მისთვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთი წლის შემდეგ. აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრების მიუხედავად არ შეცვლილა.

აჭარის ა/რ პროკურატურის 2013 წლის 13 აპრილის დადგენილებით რ. ბ-ის მიმართ შეწყდა სისხლის სამართლებრივი დევნა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

მოსარჩელემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების – საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 ივნისის №285 განკარგულების, ასევე საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2007 წლის 14 ივნისის №1-1/906 ბრძანების და 2007 წლის 16 ივლისის №1-1/1072 ბრძანების ბათილად ცნობა და ზიანის ანაზღაურება (პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა) მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 21 მაისის განჩინებით რ. ბ-ის სასარჩელო განცხადება განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს. ადმინისტრაციულმა კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სარჩელის სასამართლოში წარდგენისას დაცული უნდა ყოფილიყო როგორც საგნობრივი, ისე ტერიტორიული და დარგობრივი განსჯადობის წესები და შესაბამისად, სარჩელი უნდა წარდგენოდა იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილი იყო გადაეწყვიტა ადმინისტრაციული საქმე. განსახილველ შემთხვევაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 და მე-18 მუხლების გათვალისწინებით, რ. ბ-ის სარჩელი წარდგენილი უნდა ყოფილიყო სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით. შესაბამისად, წინამდებარე სარჩელი უნდა გადაეგზავნოდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 3 ივნისის განჩინების საფუძველზე წარდგენილი სასარჩელო განცხადებით რ. ბ-ემ დაზუსტებული სარჩელით მოითხოვა:

1. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 ივნისის №285 განკარგულება;
2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 14 ივნისის №1-1/906 ბრძანება;

3. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 16 ივლისის №1-1/1072 ბრძანება;

4. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გ. პ-ზე გაცემული №352-პ საკუთრების მოწმობა;

5. აღდგეს პირვანდელი მდგომარეობა.

ბათუმის საქალაქო სამამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 18 ივნისის განჩინებით სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ მოპასუხეებმა – საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და მესამე პირმა – გ. პ-მა წარდგინილი შესაგებლებით დააყენეს სარჩელის განსჯადობის საკითხი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 1 სექტემბრის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე რ. ბ-ის სარჩელისა გამო, მოპასუხეების – საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, მესამე პირი – გ. პ-ი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის თაობაზე, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლ ნაწილზე და მიიჩნია, რომ მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ანუ, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი. სასამართლომ ამავე კოდექსის მე-18 მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე რ. ბ-ის მიერ აღძრულ სარჩელში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედება. ასეთ შემთხვევაში კი განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტები და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამოცემის ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად, მით უფრო მაშინ, როდესაც განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედებების – მათ მიერ გამოცემული შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ. ამასთან, როგორც წარმოდგენილი სარჩელის მოთხოვნის არსიდან გამომდინარე ირკვევა, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ, რომლის ადმინისტრაციის ადგილსამყოფელია – ქ.თბილისი, აბდუშელიშვილის ქუჩა №1 და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო) მიერ, რომლის ადგილსამყოფელია – ქ. თბილისი, ჭანტურიას ქუჩა №12. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, მითითებულ ნაწილი შეიცავს სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ორგანოს მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით და შესაბამისად, სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სწორედ ის სასამართლო, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება შესაბამისი მოპასუხის ადგილსამყოფელზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სსსკ-ის მე-18 მუხლის (ნივთობრივი განსჯადობა) პირველი ნაწილზე, რომლის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი

დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთათვის სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 6 ივნისის №285 განკარგულების; საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 14 ივნისის №1-1/906 ბრძანების; „გ. პ-ისათვის (...) ქ.ბათუმში, ... ქ. №37-ში მდებარე ბინა №8-ზე და მასზე წილობრივად დამაგრებულ მიწის ფართობზე საკუთრების დადასტურების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 16 ივლისის №1-1/1072 ბრძანების და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გ. პ-ის სახელზე გაცემული საკუთრების დამადასტურებელი №352-პ მოწმობის ბათილად ცნობა. ასევე პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ. შესაბამისად, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფელია ქ. თბილისი. შესაბამისად, მოცემულ საქმეზე ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურიდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად. აღნიშნულის გამო, გამოყენებულ უნდა იქნეს სსსკ-ის მე-15 მუხლის საფუძველზე დადგენილი საერთო განსჯადობის წესები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, რ. ბ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. რ. ბ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

ბანჩინება

№ბს-372-360(გ-13)

19 სექტემბერი, 2013 წ., ქ.თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

მ. ვაჩაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განიხილა ლ. ხ-ას სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით განსჯადობის შესახებ დავა, წარმოშობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ხაშურის რაიონულ სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. ხ-ამ 30.05.136. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 21.05.136. №20/12-968 და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და ანალიზის განყოფილების უფროსის გ. მ-ის 22.05.136. №ბგ012898 დადგენილებების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 03.06.136. განჩინებით ლ. ხ-ას მიერ წარმოდგენილი სარჩელი მიჩნეულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლით გათვალისწინებულ საჩივრად და მიღებულ იქნა წარმოებაში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.06.136. დადგენილებით ლ.ხ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ ლ. ხ-ას მოთხოვნას შეადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 21.05.136. №20/12-968 და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აღრიცხვისა და ანალიზის განყოფილების უფროსის გ. მ-ის 22.05.136. №ბგ012898 დადგენილებების ბათილად ცნობა. სასამართლომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261.1 მუხლის საფუძველზე დადგენილად მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159⁵-159⁶ მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლ ნაწილზე და ამავე კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით განმარტა, რომ მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ საქმეებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე გამოტანილი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ, ხოლო მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სამართალდარღვევის შესაძლო ჩადენის ადგილს წარმოადგენდა ქარელის რაიონი, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ხაშურის რაიონული სასამართლო წარმოადგენდა ლ. ხ-ას საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 02.07.136. განჩინებით ლ. ხ-ას საჩივარი მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმადაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო გლ. ხ-ას საცხოვრებელ ადგილს, როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, წარმოადგენს ქ. თბილისი. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლზე, რომლის მიხედვითაც სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. ამდენად, ლ. ხ-ას საჩივარი, რადგან ქმედება გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის მე-4 ნაწილით, განხილული უნდა იქნეს მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით – თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ, რომელიც აირჩია საჩივრის ავტორმა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად თვლის, რომ ლ. ხ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასკ-ის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის წესები. სსკ-ის III თავის (განსჯადობა) მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ლი ნაწილი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას, რომლის მიხედვით სარჩელი წარედგინება მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს საერთო განსჯადობას და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონმდებლობით განსხვავებული წესია დადგენილი. მოცემულ საქმეში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგა-

ნოებია: ზემდგომი – შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი და მისი ტერიტორიული ორგანო – შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველო. სა- მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო ამავე კოდექსის მე-20 მუხლის მიხედვით, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. სასკ-ის მე-6 მუხლში 26.04.12წ. კანონით შეტანილი ცვლილებით განი- საზღვრა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალუ- რი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ასევე ამავე კოდექსის საფუძველზე შედგენილი ოქმის კა- ნონიერების შესახებ საქმეებს სასამართლო იხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვე- ვათა კოდექსით დადგენილი წესით. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე და 273-ე მუხლების თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე ორგანოს (თანამდე- ბობის პირის) აქტი შეიძლება გასაჩივრდეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში ან ზემდგომ ადმინისტრა- ციულ ორგანოში საჩივრით. ამასთანავე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხ- ლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექ- სის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძ- ლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამდენად, კანონმდებ- ლობა 116-ე მუხლთან დაკავშირებით ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას, კერძოდ, 116-ე მუხ- ლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია რო- გორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ვი- ნაიდან გასაჩივრებულ აქტებს საფუძველად უდევს 116.4 მუხლი, ხოლო ლ. ხ-ას საცხოვრებელი ადგილი არის ქ. თბილისი და სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში აღიძრა, საქმე ტერიტორიული განსჯა- დობის შესაბამისად, განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხ- ლით, 26-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ლ. ხ-ას საჩივარი მოპასუხეების საქართველოს შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მთავარი სამმართველოს მი- მართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს;
2. განჩინება განსჯადობის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადების განსჯადობა

განჩინება

№ბ-185-6(ა-12) 7 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, 401-ე და 429-ე მუხლების საფუძველზე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ მ. ქ-ს განცხადების წარმოებაში მიღების საკითხი.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :
თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 16 სექტემბრის განჩინებით მ. ქ-ს სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 15 ივლისის გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველი.
აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ქ-მ, რომლითაც მოითხოვა თბილისის სააპელა- ციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ნოემბრის განჩინებით მ. ქ-ს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასა- მართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 16 სექტემბრის განჩინება.
მ. ქ-მ განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალა- ტას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში განმცხადებლის მიერ მითითებულ საკითხზე საკასაციო პალატის მიერ ახალი გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 16 სექტემბრის განჩინებით განუხილველად დარჩა მ. ქ-ს სააპელაციო საჩივარი, ხოლო აღნიშნული განჩინება უცვლელად იქნა დატოვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2011 წლის 14 ნოემბრის განჩინებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424.1 მუხლის საფუძველზე საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განსახილველი განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადია. განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას იხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ქ-ს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადების განსჯადობა

განჩინება

№ბ-271-1(ბ-13)

5 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, 401-ე და 429-ე მუხლების საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა თ. ა-ის, ა. ა-ის, გ. ლ-ის, დ. ხ-ის, მ. ქ-ის, რ. შ-ის, ვ. ს-ის, ჯ. ყ-ის, თ. ყ-ის, დ. ჩ-ის, ა. წ-ის, მ. ყ-ისა და თ. ყ-ის განცხადების დასაშვებობის საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ნოემბრისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის განჩინებების ბათილად ცნობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ა-ემ, ა. ა-მა, მ. ქ-ემ, გ. ლ-მა, ვ. ს-მა, ჯ. ყ-მა, თ. ყ-მა, დ. ჩ-მა, ა. წ-მა, დ. ხ-ამ, რ. შ-ემ, მ. ყ-მა, თ. ყ-ამ და შ. ც-მა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ, რომლითაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, 2006 წლის 1 იანვრიდან საპენსიო დავალიანების გადახდა, მოქმედი მოსამართლის ხელფასის მიხედვით პენსიის გადაანგარიშება და საპენსიო დავალიანებაზე ყოველთვიურად მიუღებელი 3%-ის დარიცხვა მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. ა-ის, ა. ა-ისა და სხვათა სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს თ. ა-ემ, ა. ა-მა და სხვებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 12 თებერვლის განჩინებით თ. ა-ის, ა. ა-ისა და სხვათა სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 12 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს თ. ა-ემ, ა. ა-მა, მ. ქ-ემ, გ. ლ-მა, ვ. ს-მა, ჯ. ყ-მა, თ. ყ-მა, დ. ჩ-მა, ა. წ-მა, დ. ხ-ამ, რ. შ-ემ, მ. ყ-მა, თ. ყ-ამ და შ. ც-მა, რომლითაც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ნოემბრის განჩინებით თ. ა-ის, ა. ა-ის და სხვათა საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად

დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის განჩინება.

თ. ა-ემ, ა. ა-მა, გ. ლ-მა, დ. ხ-ამ, მ. ქ-ემ, რ. შ-ემ, ვ. ს-მა, ჯ. ყ-მა, თ. ყ-მა, დ. ჩ-მა, ა. ნ-მა, მ. ყ-მა და თ. ყ-ამ 2013 წლის 27 თებერვალს განცხადებით მომართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 8 ნოემბრისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 4 ივნისის განჩინებების ბათილად ცნობის თაობაზე.

განმცხადებლებმა გასაჩივრებული განჩინებების ბათილად ცნობის საფუძველად მიუთითეს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის განჩინება მიღებულია მოსამართლე ბ. ა-ის მიერ, რომელიც მათი მოსაზრებით არ იყო უფლებამოსილი მონაწილეობა მიეღო სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ მათ მიერ აღძრული სარჩელის განხილვაში, რადგან 2013 წლის ბოლოს სატელევიზიო საშუალებებით მათთვის ცნობილი გახდა, რომ მოსამართლე ბ. ა-ეს არ გააჩნდა მოსამართლედ მუშაობის სათანადო უფლებამოსილება, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის საფუძველია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო და სააპელაციო სასამართლოების განჩინებების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების საფუძველიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. ა-ის, ა. ა-ის, გ. ლ-ის, დ. ხ-ას, მ. ქ-ის, რ. შ-ის, ვ. ს-ის, ჯ. ყ-ის, თ. ყ-ის, დ. ჩ-ის, ა. ნ-ის, მ. ყ-ისა და თ. ყ-ას განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ნოემბრის განჩინების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის განჩინების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის შესაბამისად სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს. აღნიშნული მუხლის შესაბამისად სასამართლო დასაშვებობის განხილვისას ამომწმებს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლთან შესაბამისობას. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ საფუძველებზე, რომელთა გამოც უნდა მოხდეს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 4 ივნისის განჩინებაზე წარმოდგენილ საკასაციო საჩივარზე საკასაციო პალატის მიერ ახალი გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ნოემბრის განჩინებით (მოსამართლეები: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი), მ. ვაჩაძე, პ. სილაგაძე) საკასაციო საჩივარს მიჩნეულ იქნა დაუშვებლად და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის განჩინება. საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვაში არ მონაწილეობდა მოსამართლე, რომლის არაუფლებამოსილებაზე მითითებითაც ითხოვენ განმცხადებლები 2010 წლის 8 ნოემბრის განჩინების ბათილად ცნობას, შესაბამისად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტთან მიმართებაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ნოემბრის განჩინების შემოწმების საფუძველი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის განჩინების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე, განსახილველი განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადია. განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ, თუ იგი მის მიერ გამომტანილ გადაწყვეტილებას ეხება. განმცხადებლები სააპელაციო სასამართლოს განჩინების ბათილად ცნობის საფუძველად უთითებენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე, რადგან მიიჩნევენ რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის განმხილველ მოსამართლეს არ ჰქონდა უფლებამოსილება მონაწილეობა მიეღო მათი სააპელაციო საჩივრის განხილვაში. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საზედამხედველო წარმოების წესს, გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის შესახებ განცხადების განხილვის დროს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმების საფუძველს წარმოადგენს ისეთი გარემოებებისა და მტკიცებულებების არსებობის დადგენა, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში, გამოიწვევდა სხვაგვარი გადაწყვეტილების გამომტანას. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს კანონი-

ერ ძალაში შესული განჩინების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების განხილვა სააპელაციო სასამართლოში საქმის განმხილველი მოსამართლის არაუფლებამოსილების საფუძველით, სცილდება საკასაციო სასამართლოსათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის განჩინების ბათილად ცნობის შესახებ განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 425-ე, 429-ე მუხლებით და

დ ა ა ლ გ ი ნ ა:

1. თ. ა-ის, ა. ა-ის, გ. ლ-ის, დ. ხ-ას, მ. ქ-ის, რ. შ-ის, ვ. ს-ის, ჯ. ყ-ის, თ. ყ-ის, დ. ჩ-ის, ა. ნ-ის, მ. ყ-ისა და თ. ყ-ას განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 8 ნოემბრის განჩინების ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში მიჩნეულ იქნეს დაუშვებლად;

2. თ. ა-ის, ა. ა-ის, გ. ლ-ის, დ. ხ-ას, მ. ქ-ის, რ. შ-ის, ვ. ს-ის, ჯ. ყ-ის, თ. ყ-ის, დ. ჩ-ის, ა. ნ-ის, მ. ყ-ისა და თ. ყ-ას განცხადება თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 4 ივნისის განჩინების ბათილად ცნობის შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადების განსჯადობა

განჩინება

№3-1182-7(ა-13)

21 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

აღწერილობითი ნაწილი:

08.10.2010წ. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს „...“ მოპასუხის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონული ცენტრის მიმართ. მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონული ცენტრის 14.12.2009წ. №03/746 ბრძანების, 22.12.2009წ. კამერალური შემოწმების აქტის, 28.12.2009წ. №231 საგადასახადო მოთხოვნის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 15.06.2010წ. №751 ბრძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობას.

დავის პირველ ინსტანციაში განხილვისას მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა: სსიპ შემოსავლების სამსახურის ქუთაისის რეგიონული ცენტრის 22.12.2009წ. კამერალური საგადასახადო შემოწმების აქტის, 14.12.2009წ. №3/746 ბრძანების, 28.12.2009წ. №231 საგადასახადო მოთხოვნის ძირითადი თანხის-38550,09 ლარის და შესაბამისი ფინანსური სანქციების ნაწილში ბათილად ცნობა; სსიპ შემოსავლების სამსახურის 15.06.2010წ. №751 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს 20.09.2010წ. გადაწყვეტილების ძირითადი თანხის-38550,09 ლარისა და შესაბამისი ფინანსური სანქციების ნაწილში ბათილად ცნობა და საგადასახადო ორგანოს დავალდებულება შპს „...“ მიმართ გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძირითადი თანხის სახით 9564,33 ლარის და შესაბამისი ფინანსური სანქციის დარიცხვის შესახებ.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 01.11.2010წ. საოქმო განჩინებით მოსარჩელე შპს „...“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და საქმეში მოპასუხედ ჩაება სსიპ შემოსავლების სამსახური, ხოლო მესამე პირად-საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭო. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 31.01.2011წ. გადაწყვეტილებით მოსარჩელე შპს „...“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; შპს „...“ მიმართ 28.12.2009წ. №231 საგადასახადო მოთხოვნით დარიცხული ჯარიმის თანხა – 74418,6 ლარი შემცირდა 8433,34 ლარით და გადასახდელად დარჩა 65985,26 ლარი.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შპს „...“, სსიპ შემოსავლების სამსახურმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.07.2011წ. განჩინებით შპს „...“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 31.01.2011წ. გადაწყვეტილება. აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს შპს „...“, სსიპ შემოსავლების სამსახურმა და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.12.2011წ. განჩინებით შპს „...“, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საკასაციო საჩივრები დაუშვებლად იქნენ ცნობილი.

13.11.2013წ. შპს „...“ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 14.12.2011წ. განჩინების, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 06.07.2011წ. განჩინების, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 31.01.2011წ. გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო შპს „...“ განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი განცხადება განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი ითხოვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 14.12.2011 წ. განჩინების გაუქმებას.

აღნიშნული ნორმის გათვალისწინებით, რადგან საქართველოს უზენაესი სასამართლოს 14.12.2011 წ. განჩინებით უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს 06.07.2011წ. განჩინება, რომლითაც, თავის მხრივ უცვლელად იქნა დატოვებული ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 31.01.2011წ. გადაწყვეტილება, სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“ განცხადება განჩინების გაუქმების შესახებ არა საქართველოს უზენაესი სასამართლოს, არამედ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განსჯადია, რადგან სწორედ ამ უკანასკნელის მიერ არის მიღებული საქმეზე არსებითი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლით და

დ ა ა დ ბ ი ნ ა :

1. შპს „...“ განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

აღსრულების გადადების თაობაზე განცხადების განსჯადობა

განჩინება

№ბს-1226-1212(კ-11)

31 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
მ. ვაჩაძე

დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის წარმოებაში იყო საქმე №1226-1212(კ-11) – კასატორი: მ. კ-ე, მოწინააღმდეგე მხარე: ქ.თბილისის მერია, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახური. მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 20.10.106. №000176 დადგენილებისა და ქ.თბილისის მერიის 09.12.106. №4552 განკარგულების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 28.02.116. გადაწყვეტილებით მ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.06.116. განჩინებით.

საკასაციო სასამართლოს 16.05.2012წ. გადაწყვეტილებით მ. კ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.06.116. განჩინება მ. კ-სთვის დაკისრებული საჯარიმო თანხის 10 000 ლარის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. მ. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 20.10.106. №000176 დადგენილებით განსაზღვრული ჯარიმა 10 000 ლარი შემცირდა 8 000 ლარამდე. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.10.2012წ. განჩინებით მ. კ-ს განცხადება დაკმაყოფილდა, მ. კ-ს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 16.05.12წ. გადაწყვეტილებით დაკისრებული 8000 ლარი გაუნაწილდა განჩინების ძალაში შესვლიდან 1 წლის განმავლობაში და დაევალა ყოველ სამ თვეში ერთხელ 2000 ლარის გადახდა.

15.10.13წ. მ. კ-მ განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და აღნიშნა, რომ მის წინააღმდეგ აღსრულება დაიწყო აგრეთვე ნაგებობის დემონტაჟის ნაწილში და მას მიეცა წინადადება ნაგებობის ნებაყოფლობითი დემონტაჟის შესახებ. განმცხადებელმა მიუთითა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 103¹ მუხლის მე-4 ნაწილზე და აღნიშნა, რომ განხორციელებული ცვლილებით, რომელიც ერთგვარ ამნისტიის აქტს წარმოადგენს, პირებს მიეცათ შესაძლებლობა ჯარიმის გადაუხდელოდ მოახდინონ მათ მიერ წარმოებული მშენებლობის დაკანონება, რითაც შესაძლებელი გახდება ამ პირთა მიერ მშენებლობის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა და სამართალდარღვევიდან გამომდინარე დაკისრებული სახდელისგან განთავისუფლება. განმცხადებლის მოსაზრებით შენობის დემონტაჟის განხორციელების მოთხოვნა ამ ეტაპზე უკანონოა, რადგან მას ჯერ კიდევ აქვს ვადა, რომლის განმავლობაშიც შეუძლია მოახდინოს შენობა-ნაგებობის ლეგალიზება. მ. კ-მ აღნიშნა, რომ მისი ოჯახის ეკონომიური მდგომარეობა მძიმეა, რის გამოც შენობის დემონტაჟი მას და მის ოჯახს არსებითი ხასიათის ზიანს მიაყენებს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სკ-ის 263.1 მუხლზე მითითებით განმცხადებელმა მოითხოვა ქ.თბილისში, ... ქ. №35-ში მდებარე შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შესახებ აღსრულების 3 თვემდე ვადით გადადება ან აღსრულების იმგვარად დადგენა, რომ აღსრულება მოხდეს მიღებული გადაწყვეტილებიდან 1 წლის შემდგომ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მ. კ-ს განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სკ-ის 263-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, რომელმაც გამოიტანა საქმეზე გადაწყვეტილება, უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით, მათი ქონებრივი მდგომარეობისა და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით, ერთჯერადად, 3 თვემდე ვადით გადადოს ან ერთ წლამდე ვადით გაანაწილდოს გადაწყვეტილების აღსრულება, აგრეთვე შეცვალოს მისი აღსრულების საშუალება და წესი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს 16.05.2012წ. გადაწყვეტილებით უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს განჩინება შენობა-ნაგებობის დემონტაჟის ნაწილში. თავის მხრივ სააპელაციო სასამართლოს განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 28.02.116. გადაწყვეტილება, რომლითაც მ. კ-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდა. ამდენად, სკ-ის 263.1 მუხლის მიზნებისთვის სწორედ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია წარმოადგენს საქმეზე გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. კ-ს განცხადება შენობა-ნაგებობის დემონტაჟის აღსრულების გადადების შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია და განსახილველად მას უნდა დაექვემდებაროს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლით და

დაადგინა:

1. მ. კ-ს განცხადება ქ.თბილისში, ... ქ. №35-ში მდებარე შენობა-ნაგებობის დემონტაჟის აღსრულების გადადების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.